

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ინვესტიციების საფუძვლები
სალექციო კურსი

ლექტორი: ედუარდ მიქელაძე
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

ბათუმი–2011 წელი

სარჩევი

თემა 1. საინვესტიციო გარემოს სახელმწიფო რეგულირება -----	3 გვ.
თემა 2. ინვესტიციების მართვისა და რეგულირების ასპექტები -----	13 გვ.
თემა 3. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნის პირობები საქართველოში -----	17 გვ.
თემა 4. საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის დადებითი ეფექტი -----	20 გვ.
თემა 5. საგადასახადო დაბეგვრის გავლენა ინვესტიციების შემოდინებაზე -----	23 გვ.
თემა 6. საინვესტიციო პროექტები რისკის გაზომვა -----	28 გვ.
თემა 7. საინვესტიციო პროცესებზე მოქმედი ადამიანისეული და კულტურული გარემო -----	33 გვ.
თემა 8. საინვესტიციო კანონმდებლობის ჩამოყალიბება და ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი -----	36 გვ.
თემა 9. უცხოური ფულადი ინვესტიციების როლი საქართველოში -----	42 გვ.
თემა 10. ქვეყანაში მიმდინარე საინვესტიციო პროცესები, სტრუქტურა და დინამიკა -----	50 გვ.
თემა 11. უცხოური ფულადი ინვესტიციების მნიშვნელობა -----	55 გვ.
თემა 12. ინვესტირებისათვის საჭირო სამართლებრივი გარემოს ზოგადი დახასიათება -----	57 გვ.
თემა 13. საინვესტიციო გარემოზე მოქმედი პოლიტიკური და მეცნიერულ-ტექნიკური გარემოს გავლენა -----	64 გვ.
თემა 14. პოლიტიკურ-ეკონომიკური სინთეზი და ინვესტიციების მართვის შესაძლებლობები საქართველოში -----	68 გვ.
თემა 15. ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირება, გადასინჯვა და საბროკერო ფირმების ფუნქციონირების მექანიზმი -	71 გვ.

თემა 1. საინვესტიციო გარემოს სახელმწიფო რეგულირება

საინვესტიციო გარემოზე მოქმედ ფაქტორთა გაანალიზების დროს ცალკე განხილვას საჭიროებს სახელმწიფო, როგორც საინვესტიციო პირობებზე მოქმედი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რადგანაც კანონები სახელმწიფოს მიერ მიიღება და მისი იურისდიქცია მხოლოდ ამ სახელმწიფოს საზღვრებში ვრცელდება. გეოგრაფიული ბარიერები, რელიგიური და ეთნიკური განსხვავებანი ხელს უშლის მოსახლეობის შერწყმას ერთ მთლიან სახელმწიფოში. ამიტომ ეროვნული სახელმწიფო საგნებით შეიძლება ჩაითვალოს, როგორც საზოგადოების სრულყოფილი წარმომადგენელი.

ეროვნული მეურნეობის ეკონომიკური ზრდის ტემპების დასაჩქარებლად საჭიროა სახელმწიფომ მასტიმულირებელი გავლენა მოახდინოს საინვესტიციო გარემოს ფორმირებაზე. მაგრამ დროის ხანგრძლივ პერიოდში სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ეს მასტიმულირებელი პოლიტიკა შეიძლება რამდენადმე განეიტრალებდეს, უფრო მეტიც იგი შეიძლება უარყოფით ფაქტორადაც კი გადაიქცეს და დააჩქაროს ინფლაციის ზრდის ტემპები. ამ დროს სახელმწიფომ უნდა გაატაროს რესტრუქციული ღონისძიებები. მაგალითად, ისეთები როგორცაა: მაღალი გადასახადების დაწესება, გადასახადების გადახდევნება პროგრესული შკალით, ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროს გასახელმწიფოებრიობა, ბიუჯეტისმიერი ხარჯების გადიდება, პროტექციონისტური ღონისძიებების გამოყენება და ა. შ. მათი მეშვეობით სახელმწიფო ან უშუალოდ გამოდევნის ბაზრიდან კერძო და კოლექტიურ ინვესტორებს ან ამცირებს დანაზოგების სტიმულირებას და ამით ხელს უწყობს ეკონომიკის მონოპოლიზაციის გაძლიერებას, ინფლაციის ტემპების დაჩქარებას.

§ IV. 1. ა) საინვესტიციო საქმიანობის ანტიმონოპოლისტური რეგულირება. ეფექტიანი ანტიმონოპოლისტური რეგულირების, კონკურენციის ფართოდ გავრცელებისა და ინფლაციის დაბალი ტემპების პირობებში ღონისძიებათა ზემოთ აღნიშნული კომპლექსი საინვესტიციო გარემოს ფორმირებაზე მასტაბილიზირებელ გავლენას ახდენს.

§ IV. 1. ბ) საინვესტიციო გარემოს მონეტარისტული რეგულირება. მონეტარისტული მიმართულების რეკომენდაციებს, კეინზიანურ მოდელთან შედარებით, აქვს უფრო მოქნილი მასტიმულირებელი გავლენა საინვესტიციო გარემოზე. დაგროვების წასახალისებლად სახელმწიფომ შეიძლება გამოიყენოს ისეთი ღონისძიებები, როგორცაა საგადასახადო განაკვეთებისა და მათი

პროგრესული შკალის მართვის აპარატის შეკვეცა, ბიუჯეტის ხარჯებისა და ფულის მასის ზრდის ტემპების შემცირება. სახელმწიფო სექტორის ბიუჯეტისმიერი დაფინანსების შემცირება ხელს შეუწყობს ინვესტირების ობიექტის გაფართოებას.

მონეტარისტების აზრით, ინვესტიციური საქონლის მიწოდების გასადიდებლად საჭიროა შემცირდეს ბაჟი და მოხდეს საფინანსო-საკრედიტო სისტემის დარეგულირება, რასაც შეუძლია ინვესტიციების თავისუფლად გადადინების უზრუნველყოფა. ინვესტიციებზე ზემოქმედების რესტრუქციული მეთოდის თანახმად, საკრედიტო რესტრუქციის შემცირება აძლიერებს სახელმწიფოს მხრიდან კომერციულ ბანკთა საპროცენტო განაკვეთებზე ზემოქმედებას.

მონეტარისტები არ უარყოფენ საინვესტიციო გარემოზე სახელმწიფო რეგულირების შესაძლებლობას და მიაჩნიათ, რომ ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სახელმწიფოს მხრიდან ეფექტური, დაბალანსებული მმართველობითი სისტემის გამოყენების პირობებში, რომლებიც საჭიროებისამებრ აჩქარებენ ან ანელებენ ამა თუ იმ საინვესტიციო პროცესის მიმდინარეობას. ამასთან როგორც საინვესტიციო გარემოს სახელმწიფო რეგულირების დასავლური გამოცდილება ამტკიცებს, მარეგულირებელ ღონისძიებათა კომპლექსის დაბალანსება უნდა ხდებოდეს მოკლევადიან მიზნებთან შედარებით, გრძელვადიანი პრიორიტეტების საფუძველზე.

საინვესტიციო გარემოს სახელმწიფო რეგულირების მეთოდების ურთიერთშედარებითი ანალიზი გვიჩვენებს, რომ საინვესტიციო გარემოს რეგულირების ეფექტიანობას უმთავრესად განსაზღვრავს ინვესტიციური ბაზრის არსებული და მოსალოდნელი კონიუნქტურა. საინვესტიციო ბაზრის კონიუნქტურა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომელთა შორის მთავარი ადგილი უჭირავს ინფლაციას. იგი გვევლინება ეკონომიკის დაბალანსების დონის ინდიკატორად. იმისდამახედვით, თუ როგორია ინფლაციის ტემპი, შეიძლება გამოვიყენოთ საინვესტიციო გარემოს სახელმწიფო რეგულირების ესა თუ ის მეთოდი –მათ შორის ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური პოლიტიკის განსხვავებული მეთოდები.

საქართველოს თანამედროვე საინვესტიციო გარემოს ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენს ქვეყანაში საჭიროა რეგულირების მონეტარისტული მეთოდის გამოყენება, რომელიც შეხამებული იქნება ქართულ რეალობასთან. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საქართველოში თავი იჩინა დაგროვების კეინზიანურმა

პროცესმა, რაც მრეწველობის გადამამუშავებელი დარგების დაბალი ინვესტიციური მიმზიდველობის შედეგია. ამიტომ საჭიროა მოხდეს მრეწველობის სახელმწიფო მხარდაჭერა. მხოლოდ ის უზრუნველყოფს (ეკონომიკის რეგულირების მონეტარისტული მეთოდების გამოყენებასთან შერწყმით) ინვესტიციური გარემოს გამოცოცხლებას და შექმნის ეროვნული მეურნეობის მდგრადი განვითარების წინაპირობებს. თუ ინვესტორი საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული მოგების გარკვეულ ნაწილს ტოვებს ქვეყანაში და ამ მოვლენას თან ახლავს „თანმდები დადებითი ეფექტი“, მაშინ მთავრობამ უნდა წაახალისოს ასეთ ინვესტორთა საქმიანობა მოცემულ ქვეყანაში.

რეციპიენტ ქვეყანაში ხშირად ინვესტორს ართმევენ პოლიტიკური ხმის უფლებას, რათა მან არ მოისყიდოს ადგილობრივი მთავრობა საინვესტიციო გარემოს ფორმირებისას ტენდენციურ გადაწყვეტილებათა მიღებისათვის. მიუხედავად ამისა, რეციპიენტ ქვეყანაში იმდენად დიდია ინვესტორთა მიერ მაღალი მოგების მიღების შანსი, რომ ისინი მაინც მიდიან თანამშრომლობის ასეთ პირობებზე. აქამდე ინვესტორი ითვლებოდა ბაზრიების ქვეყნის წარმომადგენლად. სინამდვილეში ინვესტორთა ეროვნული კუთვნილება ხშირად გაურკვეველი რჩება. ამიტომ ინვესტორებს ხშირად არც ერთ ქვეყანაში არ გააჩნიათ მტკიცე პოლიტიკური საყრდენი.

ბაზირების ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს შესახებ გამართულ პოლიტიკურ დისკუსიებში უცხოელ ინვესტორებს არ აძლევენ მონაწილეობის მიღების უფლებას, რათა მათ არ ჰქონდეთ ფარული მისწრაფება „ხელთ იგდონ მოგება და მერე გაქრნენ, ბედის ანაბარა მიატოვონ მშრომელები და გადასახადების გადამხდელები“. უპირველესად პოლიტიკური ხმის უფლება უნდა წაერთვას მრავალეროვნულ კომპანიებს, სადაც ბევრი ეროვნების მოქალაქე დასაქმებული. მათ ბაზირების ცალკე ქვეყანა არ გააჩნიათ.

თუ ინვესტორი ბაზირების ქვეყანაში განიხილება არა როგორც ეროვნული, არამედ „სხვისი“ მოქალაქე, მაშინ თავისუფალი ინვესტირების შესახებ მკაცრად დაცული პრინციპებით, თვით ბაზირების ქვეყანა დარჩება დაზარალებული. მიუხედავად ინვესტორთათვის ეროვნულ დისკუსიებში მონაწილეობის უფლების წართმევისა, არსებობს ხშირი შემთხვევები, როცა ისინი ბაზირების ქვეყნის მთავრობაში ქმნიან მძლავრ ლობისტურ მხარდაჭერას, რომელთაც შეუძლიათ ამ ინვესტორთა ინტერესების მიხედვით წარმართონ ბაზირების ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა.

ხშირად მძლავრ ლობისტურ ინვესტორთა მიზნები სრულიად ეწინააღმდეგება ბაზირების ქვეყნის რიგითი ამომრჩევლის ინტერესებს. საინვესტიციო პოლიტიკის დამახინჯების საშიშროება სერიოზულ განხილვას საჭიროებს, როგორც ისეთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს ინვესტიციების შერჩევითი შეზღუდვის აუცილებლობას. არსებობს ინვესტიციების საზღვარგარეთ გადინების შეზღუდვის ორი მხარდამჭერი არგუმენტი: 1. ბაზირების მსხვილი ქვეყნები მნიშვნელოვან მოგებას იღებენ ინვესტიციების უცხოეთში გადენაზე ოპტიმალური გადასახადის დაწესებით, რეპატრირებული შემოსავლების ზრდის ხარჯზე; 2. უცხოელ ინვესტორებს შემოაქვთ თანმდევი ტექნოლოგიური ეფექტი. უცხოელ ინვესტორთა დიდი მცდელობის მიუხედავად, მთლიანად მიითვისოს მისი ტექნოლოგიის ყველა შედეგი, ბევრი უპირატესობა შეიძლება მიითვისოს სხვებმაც საინვესტიციო ორგანიზაციებში კადრების მომზადებითა და სამეცნიერო-კვლევითი და საცდელსაკონსტრუქტორო სამუშაოთა შესრულების გზით. სახელმწიფო პოლიტიკისათვის რეკომენდაციების მიცემის თვალსაზრისითაც უცხოელ ინვესტორს მწარმოებლური ხასიათის უპირატესობა აქვს. წაახალისოს, თუ არა მთავრობამ უცხოელ ინვესტორთა საქმიანობა, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მან მიითვისოს სამეწარმეო საქმიანობის შედეგები.

სახელმწიფო ხელს უნდა უწყობდეს სამუშაო ადგილების შექმნასა და შენარჩუნებას. ამისათვის მან უნდა უზრუნველყოს სტაბილური საგადასახადო სისტემა, რადგანაც საინვესტიციო პროცესში ჩართული კომპანიები ერთგვარ რეაქციას იძლევიან ეკონომიკაში გადასახადების ცვლილებაზე. რაც უფრო იზრდება საგადასახადო განაკვეთები, მით უფრო იზრდება ინვესტორთა მხრიდან ამ გადასახადების გადახდაზე თავის არიდების ლეგალური, თუ არალეგალური გზების ძიება. ერთ-ერთი ასეთი საშუალებაა დაბალი საგადასახადო განაკვეთების მქონე ახალი მიმღები ქვეყნის მოძებნა. არსებობს ამ პრობლემის გადაჭრის ორი გზა: 1. დაბალი გადასახადების მქონე ქვეყანაში ფილიალის გადატანა; 2. ფასთა მანიპულირების მეთოდი. ინვესტორებს შეუძლიათ მოგება ხელოვნურად გადაიტანონ მაღალი გადასახადების მქონე ქვეყნებიდან დაბალგადასახადიან ქვეყნებში. ფასწარმოქმნის მანიპულირება ყველაზე იოლი მეთოდია. სახელმწიფო ვალდებულია გამოავლინოს ასეთი შემთხვევები და გაატაროს სათანადო ზომები. რადგანაც საგადასახადო ორგანოებს უძნელდებათ დაუმტკიცონ ფასების მანიპულირების ბრალდება, იძულებულნი ხდებიან შემოიღონ უნიფიცირებული საგადასახადო სისტემა, რომელიც იმას გულისხმობს, რომ რა ფასებიც არ უნდა წარმოადგინოს ფირმამ ამა თუ იმ საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე, იგი

გადასახადებს მაინც ვერ დამალავს, რადგანაც სახელმწიფო კონკრეტული საქონლისა და მომსახურების წარმოებაზე აწესებს წინასწარ ფიქსირებულ საგადასახადო განაკვეთებს, რომელიც არ განისაზღვრება ფასის პროპორციულად.

ნებისმიერი ქვეყანა მიისწრაფვის კონტროლზე აიყვანოს ინვესტორთა საქმიანობა, გამოიყენოს ისინი სამუშაო ადგილთა ფორმირებისათვის. ინვესტიციების მოზიდვის სახელმწიფო რეგულირება სხვა და სხვა ფორმით ხორციელდება. ერთ-ერთი მათგანია ერთობლივი საწარმოების ორგანიზება, რომლებშიც უცხოელ ინვესტორებთან ერთად ადგილობრივი კომპანიებიც მიიღებენ მონაწილეობას. ამ დროს საკუთარი სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის განმტკიცებითა და უცხოური ინვესტიციების რეპატრიაციით საწარმოთა მიერ მიღებული ტექნიკა და ტექნოლოგიური ცოდნა რჩება სახელმწიფო საკუთრებაში და ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა საწარმოებშიც.

სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ისეთი პოლიტიკა, რომელიც წაახალისებს არამარტო მოწინავე უცხოური ტექნოლოგიების მოზიდვას, არამედ ხელს შეუწყობს ქვეყნის შიგნით სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის ამაღლებას. თავის მხრივ, ერთობლივ საწარმოებზე მოწინავე ტექნოლოგიების გადაცემით, კომპანიები ცდილობენ ამ საწარმოებზე კონტროლის მოპოვებას. ასეთი ერთობ-ლივი საწარმოების უცხოურ კაპიტალზე დაქვემდებარების მაღალი დონე საშუალებას აძლევს მთავარ კომპანიას, არა მარტო განახორციელოს მათი კონტროლი, არამედ მოახდინოს წარმოების ინტეგრაცია ტრანსნაციონალური კორპორაციების ერთიან სისტემაში.

საქართველოში უკვე ფეხი მოიკიდა ისეთმა მეთოდმა, რომელიც საშუალებას აძლევს ტრანსნაციონალურ კომპანიებს, თავის კონტროლს დაუქვემდებარონ ეროვნული საწარმოები და იმავე დროს დაიმკვიდრონ კეთილისმყოფელის სახელიც. ტრანსეროვნული კორპორაცია ხშირად საწარმოებს გადასცემს მანქანა-დანადგარებს მრავალწლიანი კონტრაქტის საფუძველზე და იმავე დროს აღწევს შეთანხმებას, რომ საწარმოო ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ მისგან შეიძენს მოწყობილობათა სათადარიგო ნაწილებსა და ნედლეულს, რომელიც საჭიროა ამ დანადგარებით პროდუქციის საწარმოებლად. ზოგჯერ ტრანსნაციონალური კორპორაცია თავის თავზე იღებს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციასაც.

ამით მათ ხელში ექცევა საწარმოთა მთელი კომერციული და მარკეტინგული საქმიანობა. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როცა ინვესტირებული ფირმის მენეჯერი აღმოაჩენს, რომ მათ უფრო ხელსაყრელი

პირობებით შეუძლიათ როგორც ნეფლეულის შექმნა, ისე მზა პროდუქციის გასაღებაც. ისინი უკვე ვეღარაფერს შეცვლიან, რადგანაც „ხელ-ფეხშეკრულნი“ აღმოჩნდებიან დაკაბალებული ხელშეკრულების გაფორმების გამო, რომლისგანაც დათქმულ ვადაზე აღრე თავის დაღწევა, კონტრაქტით გათვალისწინებული უზარმაზარი ფინანსური ჯარიმების გამო, შეუძლებელია. ხელშეკრულებათა ვადის გასვლის შემდეგაც კი საქართველოს საწარმოებს გაუჭირდებათ საგარეო ბაზარზე გასვლა და საკუთარი სეგმენტის მოპოვება, რადგანაც ისინი წლების განმავლობაში იზოლირებულნი აღმოჩნდებიან ყოველგვარი კომერციული საქმიანობისაგან. ამიტომ ხშირად ასეთი საწარმოები იძულებულნი აღმოჩნდებიან ხოლმე, რომ კვლავ დახმარებისათვის მიმართონ თავიანთ „კეთილისმყოფელ“ სათავო კომპანიას.

ასე თუ ისე ტრანსნაციონალური კორპორაციები კვლავ რჩებიან უცხოური ინვესტიციებისა და ტექნოლოგიების მიღების ძირითად საშუალებად საქართველოში. სახელმწიფო კი ვალდებულია შექმნას ისეთი საინვესტიციო გარემო, რომელიც არ მისცემს უცხოელ ინვესტორებს განახორციელონ ადგილობრივ მეწარმეზე საკუთარი ინტერესების თავსმოხვევა ისე, რომ არ გაითვალისწინონ ეროვნული ინტერესები.

ეკონომიკური ზრდის ტემპების დაჩქარება, როგორც წესი, საინვესტიციო გარემოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ეყრდნობა. ბუნებრივია ისმის ასეთი კითხვა: რეგულირდებოდეს უნდა თუ არა საინვესტიციო საქმიანობა სახელმწიფოს მიერ? როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, საინვესტიციო საქმიანობა შეუფერხებლად უნდა ვითარდებოდეს, მაგრამ გარკვეულ ზღვრებში იგი უნდა იმართებოდეს სახელმწიფოს მიერ. მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო უნდა მონაწილეობდეს საინვესტიციო პროცესების განვითარებაში, მასაც არა აქვს იმის უფლება, რომ ზედმეტად ჩაერ-იოს ამ სფეროში. ასე, რომ ინვესტირება და სახელმწიფო მხოლოდ გარკვეული პროპორციით არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი.

საინვესტიციო გარემოს სახელმწიფო რეგულირება საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე უნდა ხორციელდებოდეს, რომელიც სხვადასხვა ფორმით ვლინდება: 1. სახელმწიფო კრძალავს ზოგიერთი სახეობის პროდუქციის წარმოებას (ნარკოტიკულ, ფსიქოტროპულ ნივთიერებებს და სხვა); 2. აყალიბებს სამართლებრივ ბაზას და უზრუნველყოფს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას; 3. იცავს კონკურენციას; 4. ასტიმულირებს სახელმწიფოსათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე საქონლისა და მომსახურების წარმოებას; 5.

ახდენს აგრარულ ნაწარმზე ფასობრივ მხარდაჭერას, სახელმწიფო შესყიდვების გზით, როცა აგრარული პროდუქცია (ხორბალი, კარაქი, კარტოფილი, ხორცის, რძის ნაწარმი და ა. შ.) ბაზარზე ვეღარ საღდება; 6. ადგენს საგადასახადო ნორმებსა და განაკვეთებს; 7. ახდენს ადრე უთანასწოროდ გადანაწილებული შემოსავლების ხელახალ გადანაწილებას; 8. აკონტროლებს დასაქმებისა და ინფლაციის დონეს. 9. იცავს სოციალურ და ეკოლოგიურ წონასწორობას.

სახელმწიფოს ჩარევა ინვესტირების პროცესში იმაში გამოიხატება, რომ ეკოლოგიური ვითარების გასაჯანსაღებლად არეგულირებს ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, წყალმომარაგების, სანიტარული სამსახურებისა და სხვათა განვითარებას. საზოგადოებას ჭირდება ბევრი ისეთი დარგი (განათლება, თავდაცვა, ჯანდაცვა და ა. შ.) რომლებიც ეკონომიკურად არ არიან მომგებიანი, მაგრამ მათი განვითარების გარეშე საზოგადოება ვერ იარსებებდა სრულფასოვნად თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. ასეთი დარგების დაფინანსება სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს. სახელმწიფომ უნდა წაახალისოს საფინანსო ინსტიტუტების (ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, ფასიანი ქაღალდების ბაზრების, საკრედიტო დაწესებულებებისა და სხვათა) საქმიანობა, რათა მათ დააფინანსონ ეკონომიკა. სახელმწიფო თავის წამახალისებელ, ან შემზღუდავ პოლიტიკას სწორედ გადასახადების მანიპულირებით ახდენს, რომლის მთავარი მიზანია ბიუჯეტი შეივსოს სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად.

საგადასახადო სისტემა პერიოდულ გადახედვას უნდა ექვემდებარებოდეს, რათა იგი მიესადაგოს რეალობას. სწორედ მან უნდა დაარეგულიროს ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობა. სახელმწიფოს მხრიდან საინვესტიციო გარემოს მართვის ძირითადი ბერკეტებია ფულად-საკრედიტო და საბიუჯეტო პოლიტიკა. სახელმწიფომ ინვესტიციები უნდა წაახალისოს იმ დარგებში, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, გარემოს დაცვისა და სოციალური კლიმატის გაუმჯობესებისათვის. სახელმწიფოს როლი უნდა გამოვლინდეს ინფლაციის გამანადგურებელი შედეგების თავიდან აცილებაში. ამისათვის მან უნდა უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და რესურსების რაციონალიზაცია.

საინვესტიციო გარემოზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსური რესურსების საერთაშორისო მიგრაცია, რომელიც თავის მხრივ მრავალი სტრუქტურული ელემენტებისაგან შედგება. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი ფინანსური ფაქტორია მეგა-სავალუტო გარემო. რამდენი ქვეყანაცაა მსოფლიოში

იმდენი განსხვავებული ეროვნული სავალუტო გარემო ფუნქციონირებს მსოფლიოში. ყოველი ქვეყნის ეროვნული სავალუტო გარემო სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის საერთაშორისო ინვესტორებს. საერთაშორისო სავალუტო გარემო ორიენტირებულია სწორედ ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

მსოფლიო სავალუტო გარემოს ძირითადად არეგულირებენ მსოფლიოს წამყვანი, მაღალგანვითარებული ქვეყნები, რომელთა ვალუტაც ასრულებს საერთაშორისო ანგარიშსწორებისა და სარეზერვო ვალუტის ფუნქციას. თანამედროვე მსოფლიოში სავალუტო გარიგებისას გამოსაყენებელი აქტივების უმეტეს ნაწილს დეპოზიტის სახე აქვს. სხვა და სხვა ქვეყნის სავალუტო გარემოებანი იყოფა ფიქსირებულ და მცურავ სავალუტო სისტემებად, რომელთა უპირატესობას განსაზღვრავს სავალუტო ლიკვიდობა. ლიკვიდური აქტივებით შესაძლებელია შეუფერხებლად განხორციელდეს ნებისმიერი ქვეყნის წინაშე წამოჭრილი ფინანსური ვალდებულებები. ლიკვიდური აქტივები მსყიდველუნარიანია მსოფლიო მასშტაბით ყველა ქვეყანაში.

სავალუტო გარემოს მახასიათებელ ერთ-ერთ მთავარ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს სავალუტო ბაზარი. იგი მოიცავს სხვა და სხვა ქვეყნის ბანკთა საკორესპოდენციო კავშირებს, სადაც ხორციელდება ჰეჯირების, სპეკულაციისა და სავალუტო რეზერვების დივერსიფიკაციისა და სავალუტო ლიკვიდობის გადაადგილების ოპერაციები. სავალუტო ოპერაციები შეიძლება განხორციელდეს სპოტ-ბაზარზე, ანუ დაუყონებლივ (მაქსიმუმ ორი სამუშაო დღის განმავლობაში) და ვადიან ბაზარზე (გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, მაგრამ იმ სავალუტო კურსით, როცა დაიღო გარიგება).

სავალუტო ბაზარს ძირითადად ქმნიან და აკონტროლებენ კომერციული ბანკები. ამ სფეროში ერთგვარ „ამინდს“ ქმნიან ბროკერებიც. ვადიან გარიგებათა პროგრესული ფორმებია ოფციონი და ფიუჩერსული გარიგება. ოფციონი არის უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე უფლების შექმნა, რითაც მყიდველი ფირმა იძენს უფრო მეტ ტექნიკურ მოქნილობას. ფიუჩერსული გარიგება ოფციონთან შედარებით შეზღუდულია კონკრეტული ვადებითა და კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულებებით.

სავალუტო ოპერაციების გაკონტროლების მიზნით მთავრობა ერევა სავალუტო ბაზარზე, ვალუტების ღია ბაზარზე ყიდვა-გაყიდვის გზით. განვითარებადი ქვეყნები ხშირად განიცდიან სავალუტო დეფიციტს, რომლის აღმოსაფხვრელად ისინი იყენებენ შემხვედრ ვაჭრობას. იგი გამოიყენება მაშინ, თუ

ფირმებს უჭირთ მყარი ვალუტის მოძიება შექმნილი საქონლისა და მომსახურების საფასურის გადასახდელად. უცხოური ვალუტა გამოიყენება არბიტრაჟისა და რისკის შემცირებისათვის. კომერციულ ბანკთა საერთაშორისო განყოფილებები ახდენენ ინკასაციასა და უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვას. არბიტრაჟის დროს კაპიტალის დაბანდება ხდება ფინანსურ ორგანიზაციებში, რომელიც გამოიყენება ფინანსური რისკისაგან თავის დასაცავად. სპეკულიანტები პირადი მოგების მიღების მიზნით რისკავენ და თავიანთ აქტივებს უნარჩუნებენ ღია პოზიციას.

საინვესტიციო გარემოს ფორმირებაზე მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ახდენს საერთაშორისო ლიკვიდობის არაეფექტური სტრუქტურა. არცერთი ლიკვიდური საშუალება არ აღმოჩნდა იმის უნარის მქონე, რომ შეესრულებინა საერთაშორისო ანგარიშსწორების ეფექტური ფუნქცია. ამ მიზნით შეიქმნა ევროპის სავალუტო სისტემა, რომლის მიზანი იყო უზრუნველყო მისი წევრი ქვეყნები სავალუტო სისტემის სტაბილურობა. ამ მიზნით შეიქმნა ეკიუ, რომელშიც შედიოდა ევროპის სავალუტო სისტემის წევრი ქვეყნების ყველა ვალუტა. ყველა ქვეყანა ცდილობს მისი ცენტრალური ბანკის მიერ ღია ბაზარზე ინტერვენციის გზით შეძლოს ეროვნული ვალუტის კურსის საბაზრო, წონასწორულ დონეზე შენარჩუნება. ამ ბანკების საქმიანობას თავის მხრივ არეგულირებს საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკი. იგი აკონტროლებს სავალუტო კურსებზე მსოფლიო მასშტაბით მოქმედ ყველა უმთავრეს ფაქტორს -- ისეთებს, როგორცაა: მსყიდველუნარ-იანობის პარიტეტი, სარგებლის განაკვეთი, სახელმწიფოს მიმართ გამოცხადებული ნდობა და ა. შ.

საერთაშორისო საფინანსო ბაზრები და საფინანსო ინსტიტუტები წარმოადგენენ სხვა და სხვა ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ სუბიექტებს შორის დამყარებულ სავალუტო, საკრედიტო და საფინანსო ურთიერთობათა ერთიან სისტემას. ფინანსური ბაზრები განსაზღვრავენ ფინანსური აქტივების გაცვლის სფეროს სამი ძირითადი ბერკეტის – სახელმწიფოს, ფირმებისა და საოჯახო მეურნეობათა მეშვეობით. სახელმწიფო თავის ფინანსურ საშუალებებს ღებულობს არა კომერციული საშუალებებით, არამედ გადასახადების აკრეფის გზით.

საწარმოები ფინანსებს ივსებენ კრედიტებით, ფასიანი ქაღალდებითა და სასაქონლო ბაზარზე პროდუქციის რეალიზაციის გზით. საოჯახო მეურნეობები ფინანსურ სახსრებს ივსებენ საწარმოო ფაქტორთა ბაზრებზე მათ ხელთ არსებული ფაქტორების შეთავაზების გზით. მიუხედავად ამისა, სხვა და სხვა ქვეყნის საფინანსო ბაზრები მაინც მნიშვნელოვანი სპეციფიკური თავისებურებებით

ხასიათდებიან. არსებობს მათი რეგულირების სხვა და სხვა ფორმები და მეთოდები.

ორგანიზაციული ნიშნის მიხედვით არსებობს სრულიად კონკურენციული, მონოპოლისტური კონკურენციის, ოლიგოპოლიური, და წმინდა მონოპოლისტური საფინანსო ბაზარი. სივრცობრივი ნიშნის მიხედვით საფინანსო ბაზრები იყოფიან ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო ბაზრებად. ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით – საქონლისა და მომსახურების, წარმოების ფაქტორთა, ფინანსურ და ინფორმაციულ ბაზრებად. ამ ნიშნების გარდა საფინანსო ბაზრები იყოფიან საბითუმო და საცალო, ფიზიკურსულ, რეგულირებად და არარეგულირებად, გაწონასწორებულ და დეფიციტურ, ლეგალურ და „შავ“ ბაზრებად. ბაზრის კონკურენტობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოს ფორმირებაზე. რაც უფრო მეტი ფირმაა ჩართული ბაზრის ფუნქციონირებაში, მით უფრო თანასწორუფლებიანი გარემოა შექმნილი საფინანსო ბაზრებზე.

ფინანსური ბაზარი ასახავს ფულის, ვალუტის, აქციების, ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების მოძრაობას. ამ დროს „დღევანდელი“ ფულის გაყიდვა ხდება „ხვალინდელზე“ ვალად ან კრედიტში, სასესხო კაპიტალის ბაზრის მეშვეობით. აქციები, ვაუჩერები, ობლიგაციები, ვექსილები და თამასუქები იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე, რომელსაც საფონდო ბირჟებსაც უწოდებენ. მათი მონაწილეები არიან ბანკები, სავალუტო პუნქტები.

ფასიანი ქაღალდების ბაზარი იყოფა პირველად და მეორად ბაზრებად. პირველად ბაზარზე ხდება ახალი ფასიანი ქაღალდების გამოშვება, მეორად ბაზარზე კი – მისი ახალ მესაკუთრეზე გადაყიდვა. პირველადი ბაზრის სუბიექტები არიან ინვესტორები, შემნახველი ბანკები, ფირმები და იმიტენტები, მეორადი ბაზრის სუბიექტები კი არიან შუამავლები და ბროკერები.

სასესხო კაპიტალის ბაზარზე კრედიტებს „ყიდვიან“ ბანკები, ხოლო მათი მყიდველები კი არიან ფირმები, მოსახლეობა და სახელმწიფო. ფულის ბაზარზე გამყიდველის როლში გამოდის ცენტრალური ბანკი, მყიდველის როლში კი – საწარმოები, მოსახლეობა და სახელმწიფო. ფულზე მოთხოვნა განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების ყიდვის სურვილით. ამიტომ იგი პირდაპირპროპორციულ კავშირშია საქონლის ფასთან. ამიტომ სწორედ ფასები განსაზღვრავს ფულის მსყიდველუნარიანობას.

თემა 2. ინვესტიციების მართვისა და რეგულირების ასპექტები

ინვესტიციები წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ფინანსური უზრუნველყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს, რითაც უნდა მოხდეს სამამულო პროდუქციის წარმოების დაფინანსება და სანედლეულო ბაზის გაფართოება. სწორი საინვესტიციო პოლიტიკის წარმართვის შემთხვევაში მან უნდა უზრუნველყოს ფირმების მწარმოებლურობის ამაღლება, ქვეყნის სამეწარმეო პოტენციალის სრული ათვისება. ეროვნული ეკონომიკის დანარჩენ სამყაროსთან ინტეგრაციის მთავარ ხერხემალს და მამოძრავებელ ძალას სწორედ ინვესტიციები წარმოადგენს, რომელიც თეორიულად და პრაქტიკულად სწორად განსაზღვრულ ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა დაექვემდებაროს.

ინვესტირების მთავარი **ფუნქციაა** ხელი შეუწყოს ეროვნული ეკონომიკის ზრდის ტემპების დაჩქარებას, გამოაცოცხლოს და წაახალისოს კრიზისში მყოფი საწარმოები, უზრუნველყოს შიდა წარმოება აუცილებელი ფინანსური სახსრებით, ხელი შეუწყოს ქვეყნის ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვასა და ადგილობრივი კადრების კვალიფიკაციის ამაღლებას. ინვესტიციების მოზიდვისა და განთავსების მიზნით საჭიროა გამოიკვეთოს ინვესტირების საგანი, მიზანი, ამოცანები, ობიექტები და სუბიექტები. ინვესტირების კვლევის საგანია თვით ინვესტიცია, ფასიანი ქაღალდი, რომელიც ბრუნავს ქვეყნის საფინანსო ბაზარზე.

ინვესტირების ძირითადი **მიზანია** განსაზღვროს კაპიტალ-დაბანდების მოცულობა და სტრუქტურა, ხოლო მისი მთავარი ამოცანაა ინვესტიციური საქმიანობის საფუძვლების შესწავლა, ინვესტიციების მოზიდვა და მათი ეფექტურად გამოყენება, მისი ფინანსური ანალიზი, ინვესტიციური მენეჯმენტის გამოყენების დაუფლება, ინვესტიციური ბაზრისა და ინვესტიციური ინსტრუმენტების გაცნობა *ინვესტიციების მართვისა და რეგულირების ასპექტების*, ბანკების საინვესტიციო საქმიანობის შესწავლა.

ინვესტირების **ობიექტია** საწარმო, ფირმა და ორგანიზაცია, რომლებიც განიცდიან ფინანსური სახსრების უკმარისობას, ხოლო მისი **სუბიექტები** კი არიან ინვესტორები და ინვესტიციების მიმღები პირები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ საინვესტიციო და ეკონომიკურ საქმიანობას. რეალური ინვესტიციები შეიძლება დაფინანსდეს პირველად ბაზრებზე ახალი აქციების გაყიდვით, ხოლო აქციების მყიდველს თავიანთი სააქციო პაკეტების გაყიდვა შეუძლია მეორად ბაზარზე.

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ამოცანები დიდადაა დამოკიდებული ინვესტიციების შერჩევის მეთოდებსა და მისი დაბანდების სიჩქარეზე. საინვესტიციო აქტივობა თავის მხრივ დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მიუხედავად რუსეთთან საომარი მდგომარეობისა, საქართველოს ეკონომიკაში გარკვეული დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა. კერძოდ, ინფლაციის ზრდის ტემპი მკაცრად რეგულირებადია ცენტრალური ბანკის მიერ და იგი არ სცილდება ერთეულოვან ნიშნულს.

ყოველივე ეს მოითხოვს ინვესტიციების მართვის თეორიისა და პრაქტიკის ახლებურად ხედვას. თანამედროვე ეტაპზე პროექტებით გათვალისწინებული მატერიალური ინვესტიციები, ანუ საინვესტიციო პროექტებში კაპიტალდაბანდება და საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღება ეკონომიკური საქმიანობის ნებისმიერ სფეროს მოიცავს. ზოგიერთ მათგანში (მშენებლობა, მრეწველობა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოთა დაფინანსება და ა. შ.) მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ.

ინვესტიციების მართვის მეთოდები ეს არის ინვესტიციების კომპლექსური გეგმის რეალიზაციასთან დაკავშირებულ საინვესტიციო გადაწყვეტილებათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია საქონლისა და მომსახურების ახალი წარმოების მოწყობისაკენ ან ძველის გაუმჯობესებისაკენ. ინვესტიციების მართვის მეთოდები მოიცავს საინვესტიციო ციკლის შემდეგ ეტაპებს:

1. წინასაინვესტიციო ეტაპი; 2. ინვესტირების ეტაპი, რომელიც ყველაზე უფრო კაპიტალტევადია. მისთვის დამახასიათებელია ფინანსური რესურსების ინტენსიური ათვისება; 3. საინვესტიციო პროდუქციის უშუალოდ გამოყენების ეტაპი. საინვესტიციო პროექტების შეფასებაში არსებული ნეგატიური პრაქტიკა ამტკიცებს ინვესტიციების მართვის მეთოდების ეფექტიანობის ანალიზის აუცილებლობას. ინვესტიციების მართვის შეფასების არსებული მეთოდები ორ ჯგუფად იყოფა: უბრალო, ანუ ელემენტარული და დისკონტირებული, ანუ ინტეგრალური. უბრალო მეთოდის გამოყენებისას ფულად ნაკადებს მხოლოდ მათი ფიზიკური სიდიდის მიხედვით (დისკონტირების გარეშე) აფასებენ. ამის საპირისპიროდ დისკონტირების მეთოდი დროის ფაქტორსაც ითვალისწინებს.

2. ინვესტიციების მართვის შეფასების უბრალო მეთოდი მოიცავს ინვესტიციების გამოსყიდვის პერიოდის განსაზღვრისა და ინვესტიციების საბუღალტრო რენტაბელობის ანგარიშის მეთოდს.

ინვესტიციების მართვაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყანაში შექმნილი საინვესტიციო გარემო. რაოდენ პარადოქსალურადაც არ უნდა

მოგვეჩვენოს, ინვესტირების მოცულობა არაა „მგრძობიარე“ სარგებლის განაკვეთის ცვლილების მიმართ. ამიტომ ინვესტიციების მოცულობა შეიძლება უკუპროპორციულ კავშირშიც კი აღმოჩნდეს სარგებლის განაკვეთთან მიმართებაში. როგორც დაზოგვის, ისე ინვესტიციების მოცულობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია ეროვნული შემოსავალი.

ინვესტიციების მოტივაცია ერთობ რთული პროცესია. სარგებლის განაკვეთი, რომელიც წარმოადგენს ფულადი კაპიტალის შექმნის საფასურს, გაითვალისწინება ინვესტიციების მართვისა და საინვესტიციო გეგმის შედგენის დროს. მაგრამ სარგებლის განაკვეთი არ წარმოადგენს ერთადერთ ფაქტორს. ინვესტიციების მართვის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია მოგების ნორმაც, რომლის მიღებასაც ვარაუდობენ ფირმები ამ ინვესტიციების გამოყენების ხარჯზე. ეკონომიკური სტაგნაციის პირობებში ინვესტიციებზე მოთხოვნა მცირდება, სარგებლის დაბალი განაკვეთის არსებობის მიუხედავად, რადგანაც არ არსებობს მეწარმეობიდან მოგების მიღების იმედი და პირიქით, ბუმის დროს ინვესტიციებზე მოთხოვნა იზრდება განაკვეთის ზრდის მიუხედავად.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკის სტრუქტურული დისპროპორციების პირობებში, სახელმწიფომ უდიდესი ძალისხმევა უნდა მიმართოს მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ჩამოსაყალიბებლად და მოსახლეობის ანაბრების ინვესტიციებად გარდასაქმნელად.

საინვესტიციო პროცესების სტიმულირება საქართველოში, უნდა დაიწყოს ადგილობრივ სამეწარმეო საქმიანობაში საამორტიზაციო ანარიცხების პოლიტიკის შეცვლით.

ამორტიზაცია – ფულად ერთეულში გამოხატული ძირითადი ფონდების ცვეთაა მათი სამეწარმეო გამოყენების შედეგად. საამორტიზაციო ნორმები წარმოადგენენ კვლავწარმოებისა და ძირითადი ფონდების დაფინანსების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს.

სახელმწიფოს მიერ დადგენილი საამორტიზაციო ნორმები განსაზღვრავენ მოქმედი ძირითადი ფონდების შეცვლის ინტენსივობას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ინფლაციის პირობებში საამორტიზაციო ანარიცხების ნორმები აზრს კარგავს, რადგან ფულად ერთეულში გამოხატული ძირითადი ფონდების ღირებულება ინფლაციის პერიოდში ძლიერ უფასურდება. ამიტომ აუცილებელი ხდება ძირითადი ფონდების შეფასების კორექტირება. კორექტირების ამგვარი ფორმაა დაჩქარებული ამორტიზაცია, თუმცა გარდამავალი ეკონომიკის პირობებში ამგვარი ნაბიჯის გადადგმა საფრთხილოა, ვინაიდან სასაქონლო დეფიციტისა და წარმოების

საშუალებების წარმოების არაელასტიურობის პირობებში, დაჩქარებული სამორტიზაციო ანარიცხები შეიძლება სერიოზული ინფლაციური პროცესების სტიმულად იქცნენ. რადგანაც საამორტიზაციო ანარიცხები წარმოადგენენ ფულად მასას, რომელიც ქვეყნის სასაქონლო ბაზარზე ზედმეტ ტვირთად აწვება გადახდისუნარიან მოთხოვნას. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ეროვნული წარმოების დაჩქარებული განვითარების პროტექციონისტული პროგრამის განხორციელება, რასაც კოორდინირებას ქვეყნის მთავრობა გაუწევს.

სახელმწიფოს მხრიდან საამორტიზაციო ანარიცხების კოორდინირება გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ მის მიზნობრივად ხარჯვას, ხოლო არამიზნობრივი ხარჯვის შემთხვევაში ფულადი თანხა უნდა დაექვემდებაროს დაბეგვრას მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მეორეს მხრივ, სასურველია თუ სახელმწიფო წაახალისებს მოძველებული ძირითადი ფონდების შეცვლას ადგილობრივად წარმოებული წარმოების საშუალებების შექმნით, რაც ჩვენი ქვეყნის პირობებში შორეულ პერსპექტივად შეიძლება ჩაითვალოს.

საინვესტიციო პროგრამების დაფინანსების შემდეგი მნიშვნელოვანი წყაროა **მოგება**. საამორტიზაციო ანარიცხებისაგან განსხვავებით, რომელთა დანიშნულებაა ძირითადი საწარმოო ფონდების კვლავწარმოება, მოგება წარმოადგენს ფინანსური ნაკადების დამატებით წყაროს, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გაფართოებული კვლავწარმოების მოთხოვნილებების დასაფარად. მოგების ინვესტიციებად გარდასაქმნელად დიდი როლი სახელმწიფოს აკისრია. მხოლოდ სახელმწიფოს მიზანმიმართულ პოლიტიკას ძალუძს სტიმული მისცეს მოგების გადანაწილებას საინვესტიციო პროექტების დაფინანსებაზე. ასეთ სტიმულებს შეუძლიათ საქართველოში დააბრუნონ ის ფულადი სახსრებიც, რომელთაც დატოვეს ქვეყნის ტერიტორია და ფუნქციონირებას განაგრძობენ სხვადასხვა დასავლურ საბანკო ანგარიშებზე, ან ჩართულნი არიან სხვა ქვეყნების ეკონომიკაში. ერთ-ერთ გზას ეროვნული რესურსების მოსაზიდად საინვესტიციო პროცესების წარსამართად ასევე წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის აქციონირება.

თემა 3. ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნის პირობები საქართველოში

ინვესტორის მიერ დებიტორი ქვეყნის შერჩევა იმ ფაქტორების მიხედვით ხდება, რომლებიც საინვესტიციო კლიმატის ელემენტები არიან. ესენია: მაკროეკონომიკური მაჩვენებლები, ფინანსური მდგომარეობა, საგადასახადო სისტემა, ვალები და მათი მომსახურეობა, კერძო საკუთრება, პოლიტიკური რისკები, გეოპოლიტიკური მდგომარეობა და სხვა. მიუხედავად ფაქტორების სიმრავლისა საინვესტიციო კლიმატი ერთიან სისტემას წარმოადგენს, რომლის ცალკეულ ელემენტებს დამოუკიდებლად არ შეუძლიათ გავლენის მოხდენა უცხოელ ინვესტორებზე.

გარდამავალი ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყნები დღესდღეობით მწვავედ განიცდიან პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია საკუთარი სახსრების მობილიზაციასთან. აღნიშნულ ქვეყნებში ნაყოფიერების დონე საკმაოდ დაბალია, რაც იწვევს შრომის ანაზღაურების ნაკლებობას. შემოსავლების სიმცირე კი თავის მხრივ განაპირობებს დაბალ დანაზოგებს, რაც ინვესტიციების სიმწირეს ნიშნავს. ამ “მოჯადოებული წრის” გარღვევა შეიძლება მხოლოდ უცხოეთიდან მიღებული ინვესტიციების საშუალებით, რაც ადგილობრივი კომპანიებისთვის ახალი კაპიტალის, მოწინავე ტექნოლოგიების, თანამედროვე მენეჯმენტისა და მარკეტინგის პრაქტიკული გამოცდილების გადაცემას გულისხმობს.

გავრცელებულ ფაქტორს წარმოადგენს **ბაზრის სიდიდე**. სატრანსპორტო და სამრეწველო საწარმოების წარმომადგენლები მნიშვნელოვან ფაქტორად თვლიან **ქვეყნის სიახლოვეს**, სადაც მოქმედებენ მშობელი კომპანიები. შემდეგია – **სავაჭრო ბარიერების გადალახვის შესაძლებლობა**, იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ახდენენ პროდუქციის გასაღებას. ქვეყანაში **კვალიფიციური კადრების** ოდენობას, ამავედროულად **სამუშაო ძალის სიიაფეს** დიდი მნიშვნელობა აქვს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება **ინფრასტრუქტურულ და საწარმოო პოტენციალს**, მაგრამ უკანასკნელის როლი შემცირდა. ძირითადად ხდება მოძველებული ტექნოლოგიების და მაღალი ცვეთის მქონე საწარმოების გამოცოცხლება, რომელთა საინვესტიციო პროექტების ძირითადი ნაწილი გათვლილია დაკრედიტებაზე და არა პირდაპირ ინვესტორზე. ამიტომ სტრატეგიული ინვესტორი უპირატესად მიდის რეგიონში თავისი პროექტებით. ამიტომ რეგიონის ინსტიტუციურ პოტენციალს მათთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. და ბოლოს, პოტენციური ინვესტორები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ **საკანონმდებლო რისკს**,

რითაც რეგიონები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისგან და რაც აფიქრებს ინვესტორს, რომელს მიანიჭოს უპირატესობა.

როგორც აღმოჩნდა, ზოგიერთი ფაქტორი საერთოდ არ აინტერესებს პოტენციურ ინვესტორს. განუხრელად იკლებს ინტერესი რეგიონის ინოვაციური შესაძლებლობისადმი. რეგიონში ინვესტორი მიდის თავისი, უკვე შემუშავებული და გათავისებული ტექნოლოგიებით, არ სურს ჩადოს სახსრები სტაგნირებულ ადგილობრივ სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში. ასევე დიდ როლს არ თამაშობს სატრანსპორტო ხარჯების შემცირების შესაძლებლობა, გარდა იმ კომპანიებისთვის, რომლებიც ახდენენ პროდუქციის გასაღებას. იგივე შეიძლება ითქვას საგადასახადო შეღავათებზე, ნედლეულის ხელმისაწვდომობაზე. გამოკითხვის შედეგად მეორეხარისხოვანი როლი აქვს ფულად ნაკადებსაც. გამონაკლისს ამ შემთხვევაში წარმოადგენენ ბანკები და სატრანსპორტო კომპანიები. და ბოლოს, ეკოლოგიური ნორმების სიმსუბუქე არ თამაშობს არავითარ როლს საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაში.

როგორც ცნობილია, უცხოელი ინვესტორი კაპიტალურ რესურსებს აბანდებს მხოლოდ სტაბილური ეკონომიკის მქონე ქვეყნებში, რომლებიც თავის მხრივ ადგილობრივი ინვესტორის ნდობითაც ხასიათდებიან. აქედან გამომდინარე, მისი შემოსვლა მოხდება მხოლოდ ადგილობრივი კაპიტალის რეალურად ამოქმედების პირობებში.

მთელი რიგი ქვეყნების გამოცდილებამ დაადასტურა, რომ უცხოური კაპიტალის ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდის სამსახურში ჩაყენება მხოლოდ საინვესტიციო ნაკადების სწორი მართვის საფუძველზეა შესაძლებელი.

მსხვილი საინვესტიციო კომპანიების გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ პრობლემებს შორის უმთავრესია არაადექვატური და მუდმივად ცვალებადი საგადასახადო კანონმდებლობა. მომდევნო – საკუთრების უფლებისა და კრედიტორთა უფლებების სუსტი უზრუნველყოფა, საბაჟო საქმიანობასა და პოლიტიკურ სფეროში მიმდინარე ცვლილებები, არამდგრადი მაკროეკონომიკური მდგომარეობა, განუვითარებელი საბანკო სექტორი.

საკუთრების ჩამორთმევის რისკი და ხელისუფლების მხრიდან თვითნებობა – არა პირველხარისხოვანს წარმოადგენენ. იგივე ითქმის დამკვეთთა გადაუხდელობასა და ინტელექტუალური საკუთრების უფლებების არაადექვატურ დაცვაზე. ზოგიერთისათვის ზოგადად საკუთრების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ინტელექტუალური საკუთრებისა. რაც შეეხება შრომით რესურსებსა და მომწოდებელთა ხარისხს – უცხოური ინვესტორი კომპანიისთვის არ წარმოადგენს

პრობლემას. რესპოდენტებს აკმაყოფილებს მუშაკთა კლვალიფიკაცია და საწარმოთა მიერ საქონლის მიწოდების ხარისხი. ეს მოწმობს, რომ ადგილობრივი კადრები შესაბამისი სტიმულირებითა და პროფესიული მომზადებით დააკმაყოფილებს დასავლურ სტანდარტებს.

პრობლემებს შორის უმთავრესის გამოყოფა ყველა სექტორში სხვადასხვანაირია. კომპანიები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ სამრეწველო საწარმოებში, უმთავრესად თვლიან საბანკო სექტორის განუვითარებლობას. პირიქით, ბანკები პირველხარისხოვნად მიიჩნევენ კრედიტორთა უფლებების არაადეკვატურ დაცვას. საკონსულტაციო ფირმებისთვის უმნიშვნელოვანესია საკუთრების უფლებების არასაკმარისი დაცვა. ისინი, როგორც ბანკები განიცდიან კლიენტებისგან არათავისდროულ გადახდებს და ბუღალტრული სისტემის ნაკლოვანებებს. პროდუქციის გასაღებით დაკავებული კომპანიები სერიოზულად თვლიან საბაჟო ორგანოებთან დაკავშირებულ პრობლემებს. იგივეა სატრანსპორტო კომპანიებისთვის.

ჩვენთან არსებული კანონმდებლობა ჯერაც არ შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებსა და უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვის რეჟიმის ლიბერალიზაციის ტენდენციებს, რითიც კონკურენტ ქვეყნებს უთმობს ადგილს.

ქვეყნაში საინვესტიციო კლიმატის შექმნა ბევრად და მოკიდებული თვით სახელმწიფოს მიერ არჩეულ კურსზე. ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა სწორედ, თუ რამდენად ხელსაყრელი საგადასახადო სისტემა გააჩნია მას. საინვესტიციო საქმიანობის გასააქტიურებლად სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა რამდენიმე ეტაპად იყოფა. მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უკავია ინვესტიციების სტიმულირების კომლექსურ ნაბიჯებს, რომლებიც მიმართულია კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებისა და გააქტიურებისაკენ, ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და გაკოტრების შესახებ კანონის განხორციელებისა და მცირე მეწარმეობის მხარდაჭერისაკენ.

საზღვარგარეთის ქვეყნებში XX საუკუნის 80-90-იან წლებში გატარებული საგადასახადო რეფორმების შედეგად გამოიკვეთა ორი ძირითადი ტენდენცია. სახელმწიფოთა ერთმა ჯგუფმა (აშშ, კანადა, ავსტრალია, იაპონია და სხვა) ძირითადი აქცენტი გადაიტანეს პირდაპირი გადასახადების სისტემის გარდაქმნაზე, ქვეყნის მეორე ჯგუფმა კი (ევროპის) ძირითადად არაპირდაპირი გადასახადების მნიშვნელობის ამაღლებაზე.

საინვესტიციო რესურსების მწვავე დეფიციტის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ დაბალანსებული სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკით. საჭიროა სწორედ ბიუჯეტში სახელმწიფოს, როგორც ინვესტორის, მიზნების განსაზღვრა – შესაბამისი თანხების მობილიზაცია. ყოველივე ამის მიზეზებად სახელდება ის, რომ არ არსებობს ბიუჯეტის საინვესტიციო ნაწილის ფორმირების სრულყოფილი მეთოდოლოგია; შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებიდან გამომდინარე მიმდინარე ხარჯების მაქსიმალური გაწერა და მხოლოდ “ნარჩენი” თანხების მიმართვა ხდება ინვესტიციების დასაფინანსებლად.

თემა 4. საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის დადებითი ეფექტი

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინვესტიციების განხორციელება შეუძლია როგორც რეზიდენტ, ისე არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორი. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ უმუშევრობის მაღალ დონეს, მხოლოდ მკაცრი საბანკო-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით შენარჩუნებული ეროვნული ვალუტის დაუსაქონლებელი მასის მოსალოდნელი ინფლაციური რყევების შიშს, მაშინ ყოველმხრივ უნდა შევეცადოთ, რომ იგი გადავაქციოთ ინვესტიციებისათვის მიმზიდველ ქვეყნად, რათა საინვესტიციო საქმის გაშლის ხელშეწყობისათვის გზა გაეხსნათ როგორც ეროვნულ, ისე უცხოელ ინვესტორებს.

ინვესტიციების ქვეყანაში მოზიდვისათვის საჭიროა ინვესტორთა ინტერესების დაკმაყოფილება, რასაც შემდეგი ოთხი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს: 1) ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება; 2) კრიმინოგენული სიტუაციის რეგულირების დონე; 3) მყარი საკანონმდებლო ბაზა, რამაც უნდა დაიცვას ინვესტორის საკუთრების უფლება; 4) საგადასახადო ტვირთის სიმსუბუქე. ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ ჯერ კიდევ საომარი ვითარებაა, არასტაბილურია პოლიტიკური ვითარება, გაუარესებულია სოციალური ფონი, დაბალია მოსახლეობის გადახდისუნარიანობა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საინვესტიციო რისკს და ზღუდავს ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის სფეროში შექმნილია სათანადო საკანონმდებლო ბაზა, სადაც რეგულირდება ინვესტორთა უფლება-მოვალეობების ფართო სპექტრი, უცხოური ინვესტიციების დაცვის სახელმწიფო გარანტიები და „დამატებითი ხელშეწყობის პირობები“, როგორცაა ინვესტირებული საწარმოს საჭიროებისათვის შემოტანილი ძირითადი საშუალებების, საწარმო მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და ნედლეულის საბაჟო გადასახდელებისა და მასთან გათანაბრებული მოსაკრებლების გათავისუფლება. იმავდროულად თუ სამომავლოდ გამკაცრდა ინვესტირების პირობები და არსებული შეღავათები გაუქმდა, კანონს უკუქმედების ძალა არ ექნება და კანონის შემოღებამდე დაბანდებულ ინვესტიციებზე მინიჭებულ შეღავათებზე იგი არ გავრცელდება, აქტის მიღებიდან ხუთი წლის განმავლობაში. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დაბეგვრის რეჟიმსა და მის ხელშემწყობ პირობებს არეგულირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი. დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი რეგიონში შემაგალი აღტერნატიული (აზერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, თურქეთის და სხვა) ქვეყნების კოდექსებთან შედარებით საკმაოდ მძიმეა. ამას ემატება არასტაბილური სამხედრო და პოლიტიკური ვითარება, რის გამოც მსხვილი ინვესტორები ჯერ კიდევ თავს იკავებენ საქართველოში მსხვილი კაპიტალის დაბანდებაზე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ინვესტიციურ დანახარჯებზე მოქმედი ფაქტორები. ინვესტიციურ დანახარჯებს განსაზღვრავს წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა და ბანკის საპროცენტო განაკვეთი. როგორც წესი, ინვესტიციურ დანახარჯთა მინიმუმაციის მამოძრავებელი მოტივი მოგების ზრდაა. ყოველი ინვესტორი აკეთებს გათვლას წმინდა მოგების მოსალოდნელ ნორმაზე. ინვესტიციებზე არსებული საერთო მოთხოვნა პირდაპირპროპორციულ კავშირშია წმინდა მოგების მოსალოდნელ ნორმასთან და უკუპროპორციულ კავშირშია ბანკის პროცენტთან.

მაშასადამე ინვესტირებას მაშინ აქვს აზრი, როცა კაპიტალდაბანდება უფრო მეტ მოგებას იძლევა, ვიდრე მისი ბანკში დეპოზიტად განთავსება. ე. ი. ინვესტირება მომგებიანია მხოლოდ იმ მომენტამდე, ვიდრე ინვესტირებიდან მისაღები წმინდა მოგების ნორმა მეტია ან ტოლია ბანკის პროცენტის განაკვეთზე. ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც ზრდის ინვესტიციების მოსალოდნელ წმინდა მოგებას, იწვევს საინვესტიციო მოთხოვნის ზრდას და პირიქით. მაშასადამე ინვესტიციებზე ყოველგვარი გადასახადის დაწესება უარყოფითად იმოქმედებს წმინდა მოგების ნორმაზე მაგრამ ინვესტიციების მოზიდვას ქვეყნისათვის გააჩნია

სხვა მრავალი თანმდები უარყოფითი შედეგიც. კერძოდ, 1) იზრდება სამამულო ბაზრებისა და საწარმოების უცხოელ ინვესტორთა მხრიდან კონტროლი; 2) იზრდება უცხოელ ინვესტორთა მხრიდან დაფინანსებულ ფირმებში დასაქმებულ მუშაკებზე ექსპლოატაციის საშიშროება; 3) იქმნება მიმღები ქვეყნის ეროვნული რესურსების გაფლანგვის საშიშროება; 4) საზღვარგარეთ გაიტანება უცხოელ ინვესტორთა მიერ მიღებული მოგებისა და მიმღები ქვეყნის ეკონომიკური ზრდის უდიდესი ნაწილი. იხშობა კონკურენცია შიდა ბაზარზე, ძნელდება ეკონომიკური მოვლენების შორიდან მართვა. იზრდება ადგილობრივ მოსახლეობასთან უცხოელ ინვესტორთა გაუგებრობის საშიშროება. უცხოელთა ხელში გადადის დაფინანსებული ობიექტის საკუთრების უფლება.

იწყება უცხოელ ინვესტორთა მიერ თავიანთი საქმიანობის ურთიერთბლოკირება. ვითარდება ოლიგოპოლისტური ქცევის ელემენტები. ძლიერდება შიდა ბაზრის დაცვის ტენდენცია. იზრდება უცხოელ ინვესტორთა მხრიდან გადასახადებზე თავის არიდების ლეგალური თუ არალეგალური გზების ძიება. ფასწარმოქმნის მანიპულირებით ხდება გადასახადებზე თავის არიდება. იზრდება უცხოელ ინვესტორთა მიერ მოგების საზღვარგარეთ გატანისა და შემდეგ „გაქრობის“ მცდელობა, იქმნება მიმღები ქვეყნის მთავრობაში უცხოელ ინვესტორთა მძლავრი, ლობისტური დაჯგუფებები, იზრდება კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები, ადგილობრივ პოლიტიკოსთა მოსყიდვის მცდელობა, უცხოელ ინვესტორთა მხრიდან მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების დაფინანსების საშიშროება.

ხშირად ინვესტორების შემოსვლას ქვეყანაში სპეკულაციური ხასიათი აქვს ამასთან დაკავშირებით მიღწონ ფრიდმენი გვაფრთხილებს „უცხოელი ინვესტორები თქვენს ქვეყანაში ინვესტირებას ახდენენ არა იმიტომ, რომ თქვენ დაგეხმაროთ, არამედ იმიტომ, რომ თავიანთ თავს დაეხმარონ“. ქვეყანაში შემოსულ ინვესტორთა დიდი ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს სტრატეგიული აქტივების მაძიებელთა ჯგუფად. ეს ინვესტიციების მიმღები ქვეყნისათვის გარკვეული საფრთხის მომცველია, რადგანაც ისინი ქვეყნიდან გაიტანებენ შემოსავლების უდიდეს ნაწილს. ამდენად, საინვესტიციო პოტენციალი მიმღები ქვეყნიდან ერთგვარად გადაადგილდება საზღვარგარეთ და არ ხდება მოგების რეინვესტირება.

თემა 5. საგადასახადო დაბეგვრის გავლენა ინვესტიციების შემოდინებაზე

საგადასახადო დაბეგვრის სისტემა წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს, რომელიც გავლენას ახდენს ინვესტიციების გადაწყვეტილებაზე, განსაკუთრებით პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე. საერთოდ, უცხოურ პირდაპირ ინვესტიციაზე გავლენას ახდენენ როგორც საგადასახადო, ისე არასაგადასახადო ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც ხორციელდება ინვესტიციებისაგან მისაღები პოტენციური მოგებისა და რისკის შედარება.

საგადასახადო სისტემის თავისებურებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტიციების საკითხებთან:

ა) **საამორტიზაციო რეჟიმი** – ინფლაციის დროს ამორტიზაცია, რომელიც ეფუძნება თავდაპირველ ღირებულებას, არასაკმარისია, რადგანაც აქტივების ბაზის ნომინალური ფულადი ერთეულის ღირებულებით გაზომვისას აქტივების რეალური ღირებულება ამ მომენტში სათანადოდ არ ფასდება. ამიტომ საჭიროა აქტივების ღირებულების საფუძვლის სპეციალური კორექტირება ინფლაციის პირობებში რეალური ამორტიზაციის არასაკმარისად შეფასების კომპენსირების მიზნით. თუკი ამგვარი კორექტირება ხდება თავისთავად, ეს ართულებს საწარმოში საგადასახადო დაგეგმვის დროს მათ სწორ აღრიცხვას. ზოგ შემთხვევაში, როცა საერთო საინვესტიციო შედეგათები დიდი ზომისაა, მაშინ ინვესტირებული თანხები აჭარბებენ დაგროვილ ამორტიზაციას. სტაბილური ფასების დროს ეს გულისხმობს, რომ დამატებითი შედეგათები, რომლებიც აჭარბებენ ამორტიზაციას, დაიშვება ინვესტიციის საერთო თანხის გაზრდის დროს. ინფლაციის პირობებში ასეთი შედეგათის სიდიდე იზრდება, როცა ხდება მიმდინარე ინვესტიციების შედარება წინასთან, რაც იზომება ნომინალურ და არა რეალურ ფასებში.

ბ) **ხარჯებთან გამოყენებული რეჟიმი** – ხარჯებზე დაქვითვების შეზღუდვა დგინდება შემდეგისთვის:

- საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სამართლიანობის გასაუმჯობესებლად;
- სახელმწიფო საწარმოთა საქმიანობაზე კონტროლისთვის;
- არაპირდაპირი შეზღუდვები, რომლებიც გამოწვეულია იმით, რომ ჩვეულებრივ, არ დაიშვება ხარჯების დაქვითვა ზუსტი მითითებების არ არსებობისას.

ინვესტიციურ პროცესზე გავლენას ახდენენ საგადასახადო ფაქტორები, როგორებიცაა:

I. გადასახადის დონე და საგადასახადო სისტემის საჯაროობა.

საგადასახადო დაბეგერის საერთო დონე წარმოადგენს ეკონომიკური ეფექტურობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს. მასში იგულისხმება ყველა სახის გადასახადები. ის გავლენას ახდენს ქვეყნის მიმზიდველობაზე უცხოური ინვესტორისათვის. თუმცა, სხვადასხვა ქვეყნის მიმზიდველობის განსაზღვრისთვის არაა საკმარისი მათი საგადასახადო დაბეგერის ტვირთის უბრალოდ შედარება. რადგანაც: პირველ რიგში, საგადასახადო შემოსავლები სახელმწიფო ხარჯების უმთავრეს წყაროს წარმოადგენენ. ამიტომ დაბალი შემოსავლები იწვევენ ბიუჯეტის დეფიციტს და უარყოფით გავლენას ახდენენ ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. მეორე რიგში, თუკი შემოსავლები იხარჯება ხარჯების შემცირების მიზნით და შემოსავლების შექმნის ხელშეწყობისთვის, მაშინ ხარჯები ეფექტურად აკომპენსირებენ საგადასახადო დაბეგერაზე უარყოფით გავლენას.

დიდი მნიშვნელობა აქვს გრძელვადიანი კაპიტალტევადი ინვესტიციებისთვის საგადასახადო შედეგების წინასწარმეტყველების შესაძლებლობას საინვესტიციო და სხვა გადაწყვეტილებებში.

პრობლემები, რომლებიც ართულებენ ფირმისთვის მათი მოქმედების საგადასახადო შედეგის წინასწარ გათვლას, შემდეგია:

პირველი პრობლემა დაკავშირებულია კანონმდებლობასთან. ბევრ შემთხვევაში ის არაზუსტი და გაურკვეველია. კანონი არ ასახავს კონკრეტულ სიტუაციას, რაც იწვევს საგადასახადო დაბეგერის შედეგების არასისრულეს.

მეორე პრობლემა არის კანონებისა და წესების ხშირი და მნიშვნელოვანი შეცვლა. თუმცა დაწვრილებითი კორექტირება გარდაუვალია ისეთი რთული კანონებისთვის, როგორცაა საგადასახადო დაბეგერის კანონები. საქმიანი ადამიანების რეაქცია ემთხვევა საწარმოთა რეაქციას, რომლებიც –ის ქვეყნებში ფუნქციონირებენ, სადაც ხშირი ცვლილებები ზრდის საგადასახადო სისტემის სიმძიმეს, მისი დაგეგმვისა და შესრულების სირთულეს.

მესამე – კანონის საჯაროობისა და მდგრადობის პრობლემები მწვავედება მათი დანერგვის სირთულის გამო.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ გაზარდა გადასახადის გადამხდელთა რაოდენობა. ამავდროულად, იცვლება მათი ურთიერთობა ხელისუფლებასთან.

II. გადასახადის განაკვეთი და საგადასახადო დაბეგერის ბაზა.

გადასახადის განაკვეთს დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო საგადასახადო ტვირთის განსაზღვრისას, ასევე ის გაითვალისწინება კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრისა და საგადასახადო დაგეგმვის დროს. გადასახადის მაღალ განაკვეთს

ყოველთვის არ მიყვაროთ სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლების გაზრდისაკენ, განსაკუთრებით იმ ფორმებში, რომლებიც რამდენიმე ქვეყანაში მუშაობენ. ჩვეულებრივ, კომპანიები ამათუიან პროექტის არჩევისას, ითვალისწინებენ კანონმდებლობაში არსებული გადასახადების განაკვეთებს შორის განსხვავებას, მიმართავენ რა შემოსავლებს იმ ქვეყანაში, სადაც დაბალია საგადასახადო განაკვეთი, ხოლო ხარჯებს – იმ ქვეყანაში, სადაც მაღალი საგადასახადო განაკვეთია.

საინვესტიციო მიმზიდველობის თვალსაზრისით, გადასახადების განაკვეთების შემცირება, თავის არიდების ფართო მასშტაბების პირობებში, ყოველთვის არ არის გამართლებული, რადგანაც განაკვეთების შემცირების საპასუხოდ შესაძლებელია როგორც თავის არიდების მასშტაბების შემცირება, ასევე გაზრდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საგადასახადო განაკვეთების ზრდა იწვევს ეკონომიკური აქტივობის ვარდნას და გადასახადებისგან თავის არიდება მასობრივ ხასიათს იძენს. შესაბამისად, საგადასახადო განაკვეთების ზრდის მიუხედავად, მცირდება ბიუჯეტის შემოსავლები, ვინაიდან მცირდება საგადასახადო ბაზა. სწორედ აღნიშნულთან დაკავშირებით აქტუალურია კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორის ა. ლაფერის გამოკვლევა, რომელიც ეკონომიკურ ლიტერატურაში ლაფერის მრუდის სახელითაა ცნობილი. მისი ეფექტი იმაში მდგომარეობს, რომ ბიუჯეტის შემოსავლები იზრდება გადასახადების ზრდასთან ერთად, თუ გადასახადის განაკვეთი 50%-ს არ აღემატება, ხოლო მცირდება - თუ განაკვეთი 50%-ზე მაღალია.

საგადასახადო ტვირთის განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა აქვს დასაბეგრი შემოსავლის კალკულაციას. შემოსავლების და ხარჯების დაბეგრის სხვადასხვა რეჟიმი გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობის ორგანიზაციაზე. თავის მხრივ, საწარმოს სტრუქტურაზე გავლენას ახდენს საგადასახადო დაბეგრის შესაბამისი რეჟიმი, მიუხედავად საწარმოს ფორმისა.

დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილებაზე დიდ გავლენას ახდენს გადახდის მეთოდი, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის საგადასახადო დაბეგრის რეჟიმზე. საგადასახადო დაბეგრის ბაზის გამოთვლა მოიცავს უამრავ სიტუაციას, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან მათი მიღების და შესრულების უზრუნველყოფით.

V. საბაჟო გადასახადები (მოსაკრებლები) – ინვესტირებული საქონლიდან საბაჟო გადასახადების აკრეფა ყველაზე მიმზიდველი არის ქვეყნისთვის, რომელიც მისწრაფის შემოსავლების გაფართოებისკენ. საბაჟო გადასახადები წარმოადგენენ

შემოსავლების უშუალო ან მსუბუქად მართვად წყაროს, თუმცა ისინი ზრდიან ინვესტიციის ღირებულებას.

საბაჟო გადასახადები უცხოური პირველადი ინვესტიციებისთვის შეზღუდვას წარმოადგენს, რადგან უკიდურესად ამძიმებს გრძელვადიან კაპიტალურ პროექტებს, რომლებიც მიმართულია სამრეწველო ბაზის მოდერნიზაციისათვის. აზიის ქვეყნების გამოცდილებით კომპანიისთვის უმთავრეს საგადასახადო შეღავათს, წარმოადგენს საკუთარი მოხმარებისთვის გათვალისწინებული კაპიტალური მოწყობილობების იმპორტის გათავისუფლება საბაჟო გადასახადისგან.

აღსანიშნავია, რომ საქართველოსათვის მიუღებელია ცალკეული დარგებისა თუ რეგიონებისათვის უპირატესობის მინიჭება, რადგან პერსპექტიული დარგები თავისუფალმა ბაზარმა უნდა განსაზღვროს. უმჯობესია გავითვალისწინოთ სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება უცხოური ინვესტიციებით შექმნილი საწარმოებისადმი პრეფერენციული მიდგომებისა და შეღავათების სისტემების გამოყენების ეფექტურობაზე.

საგადასახადო შეთანხმებები ეს არის სისტემა, რომლის ფარგლებში კომპანიამ, რომელსაც კავშირი აქვს უცხოეთთან, შეუძლია დაგეგმოს თავისი გადასახადები. საგადასახადო შეთანხმებების ძირითადი მიზანია საგადასახადო დაბეგვრის უცხოური და ადგილობრივი სისტემების კოორდინაცია. საგადასახადო შეთანხმებების მეშვეობითა ხდება შემოსავლების ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება და ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც წარმოიშევა ორ ქვეყანას შორის შემოსავლების გადანაწილებისას.

სწორედ ორმაგი დაბეგვრის თავიდან ასაცილებლად ქვეყნაში აქტიურად მიმდინარეობს ხელშეკრულებების გაფორმება მსოფლიო გამოცდილების გათვალისწინებით. მათ შორის ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა:

ერთ-ერთ უმთავრეს საგადასახადო სტიმულს, რომელსაც სახელმწიფო იძლევა, არის მის მიერ უარის თქმა საგადასახადო მოგებაზე ანუ ბიუჯეტში შესატან შემოსავლის ნაწილზე. იგი 80-იანი წლების შუამდე ყველა ქვეყანაში ფართოდ გამოიყენებოდა. ამ სტიმულებს ჰქონდათ საგადასახადო შეღავათების ან კრედიტების ფორმა, გამოიყენებოდა ყველა სახის ფონდის მიერ და დიფერენცირდებოდა მოწყობილობების, საქმიანობის და რეგიონების მიხედვით.

საინტერესოა ეკონომისტთა მიერ ჩამოყალიბებული განმარტება – “საგადასახადო შეღავათი” არის საგადასახადო კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობა გადასახადებისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების

შესახებ საგადასახადო დაბეგვრის ობიექტის არსებობის შემთხვევაში, აგრეთვე საგადასახადო ტვირთის შემსუბუქება გადასახადის გადამხდელებზე.

უმნიშვნელოვანესი როლი უკავია საგადასახადო ამნისტიას, რომლის ძირითადი მიზანია მთავრობის შემოსავლების გაზრდა, რადგანაც ურჩ გადამხდელებს სთავაზობს დააბრუნონ ბიუჯეტში დამალული გადასახადები იმ პირობით, რომ არ დაეკისრებათ სანქციები და ჯარიმები. ამასთან ერთად, იგი იძლევა არა როგორც ერთჯერადი შემოსავლის აკუმულირების შესაძლებლობას, არამედ მექანიზმს, რომელიც უზრუნველყოფს გადამხდელთა გამოსწორებას.

ხოლო მესამე ჯგუფი მოიცავს საგადასახადო კრედიტს, რომლის ზუსტი განმარტება არ არსებობს ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობაში. მასში მოიაზრება ისეთი შეღავათები, რომელიც მიმართულია საგადასახადო განაკვეთების ან საგანაკვეთო თანხების შემცირებაზე მთლიან გადასახადში.

ასეთი სტიმულების ორ უმთავრესი ეფექტი გახდა ის, რომ ინვესტიცია კაპიტალში, განსაკუთრებით მანქანებში ან მოწყობილობებში, სუბსიდირდებოდა გარკვეულწილად და რეალური საგადასახადო განაკვეთები საკმაოდ დაშორდნენ ერთმანეთს კონკრეტული საწარმოს მიხედვით.

საგადასახადო ორგანოებს გააჩნიათ სიძნელეები გადასახადებისგან თავის არიდების აღმოჩენისა და აღმოფხვრის თვალსაზრისით. ეს სირთულეები განსაკუთრებით დიდია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების საგადასახადო ორგანოებისთვის, სადაც ნაკლებია საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელი მეთოდები და ოპერაციების გამოცდილება, რის შედეგადაც მცირდება გადასახადები.

ინვესტიციების მოზიდვაზე გავლენას ახდენს გადასახადები, რომლებიც არაა დაკავშირებული შემოსავლებთან. ბევრ ქვეყანაში, რომლებიც ეკონომიკური რეფორმის საწყის სტადიაზე იმყოფებიან, გადასახადები გადაიხდება მაშინაც კი, როცა ფირმა არ იღებს მოგებას. ეს, როგორც წესი, ზრდის ძირითად დანახარჯებს, რაც დაკავშირებულია ინვესტიციის საწყის ეტაპზე რისკის გაზრდასთან ან კომპანიის საოპერაციო ხარჯების გაზრდასთან. ისეთი გადასახადები, როგორებიცაა: სოციალური დაზღვევის გადასახადი ხელფასიდან, ასევე საბაჟო მოსაკრებლები ან საქონელზე საერთო გადასახადები, გარდამავალი ეკონომიკის დროს ითვლება უმთავრესად, გამოყენებულ იქნას ინვესტირებულ საქონელზე.

თემა 6. საინვესტიციო პროექტები რისკის გაზომვა

რისკის თეორიამ ინტენსიური განვითარება დაიწყო მეოცე საუკუნის 50-იან წლებში. რისკის ანალიზისადმი მიძღვნილი გამოკვლევების ყველაზე დიდი რაოდენობა ამერიკულ მეცნიერებს ეკუთვნის, თუმცა ეს საკითხი დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც მუშავდებოდა.

საჭიროა განვასხვავოთ ცნებები „რისკი“ და „განუსაზღვრელობა“. განუსაზღვრელობა ეს არის არასრული ან არაზუსტი ინფორმაცია პროექტის რეალიზაციის პირობებზე. განუსაზღვრელობის ფაქტორები იყოფა შიდა და გარე ფაქტორებად. გარე ფაქტორებია – ფირმის პერსონალის კომპეტენტურობა, პროექტის მახასიათებლების განსაზღვრის მცდარობა და ა.შ. რისკი ესაა – პოტენციური, რიცხობრივად გაანგარიშებადი დანაკარგის შესაძლებლობა.

განუსაზღვრელობა არ შეიძლება განმარტოთ როგორც პროექტის განხორციელების პირობების შესახებ ინფორმაციის უქონლობა, აქ იგულისხმება არსებული ინფორმაციის უკმარისობა და უზუსტობა. ყურადღება უნდა მიექცეს არა ინფორმაციის არსებობას, არამედ მის არსებობას. განუსაზღვრელობა შეიძლება ეხებოდეს არა მარტო ინფორმაციას პროექტის რეალიზაციის სამომავლო პირობების შესახებ, არამედ დაპროექტებისას უკვე გამოყენებული ინფორმაცია განხორციელებულ ინფორმაციას განხორციელებული მოქმედებების შესახებ.

რისკის უფრო სრული დახასიათებისათვის, მიზანშეწონილია დავაზუსტოდ ცნება რისკის სიტუაცია. ცნება სიტუაცია შეიძლება განისაზღვროს, როგორც სხვადასხვა გარემოებათა და პირობათა ერთობლიობა, რომელიც შექმნის გარკვეულ მდგომარეობას საქმიანობის ამა თუ იმ სახეობისათვის. ხშირად ეკონომიკური პროცესების ფუნქციონირებას და განვითარებას ახლავს განუსაზღვრელობის ელემენტები. ეს განაპირობებს სიტუაციის წარმოშობას, რომელსაც არა აქვს ერთნიშნა გადაწყვეტა. თუ არსებობს შესაძლებლობა რაოდენობრივად და ხარისხობრივად განვსაზღვროთ ამა თუ იმი ვარიანტის ალბათობის ხარისხი, სწორედ ეს იქნება რისკის სიტუაცია. ამგვარად, რისკის სიტუაცია – ეს არის განუსაზღვრელობის სახესხვაობა, რომლის დროსაც გადაწყვეტილებათა და მოვლენათა შედეგების ალბათობა შეიძლება განისაზღვროს. რისკის და განსაზღვრელობის ფაქტორების გავლენას ახდენენ საინვესტიციო პროექტის შინაარსზე, ასევე მისი გავლენით ინვესტიციების ეფექტიანობის შეფასების მეთოდი იცვლება. პროექტები, რომლებიც დამუშავდებიან

და შეფასდებიან განუსაზღვრელობის გათვალისწინებით, გამოირჩევიან იმით, რომ მათი რეალიზაციის პირობები და შესაბამისი დანახარჯები და შედეგები ზუსტად ცნობილი არ არის.

ინვესტირება ნებისმიერ პროექტში შეიცავს გარკვეულ რისკს, რაც აისახება საპროცენტო განაკვეთის ოდენობაში. პროექტი შეიძლება წარუმატებლად დასრულდეს, ე.ი. არ განხორციელდეს, იყოს არაეფექტური ან ნაკლებად ეფექტური ვიდრე იყო მოსალოდნელი. რისკი უკავშირდება იმას, რომ შემოსავალი პროექტიდან არის შემთხვევითი და არა განუსაზღვრელი სიდიდე, ისევე როგორც ზარალის ოდენობა. მონაცემების დიდი ნაწილი, რომელიც აუცილებელია პროექტის ანალიზისათვის გაურკვეველია. მომავალში პროგნოზი შესაძლებელია შეიცვალოს როგორც უარესობისაკენ, ისე უკეთესობისაკენ. რისკის ანალიზი ითვალისწინებს ყველა სახის ცვლილებებს. პროექტის რეალიზაციის პროცესში ცვლილებებს განიცდიან შემდეგი ელემენტები: ნედლეულის და მასალების ღირებულება, კაპიტალური დანახარჯების ღირებულება, მომსახურების ღირებულება, გაყიდვების ღირებულება, მომსახურების ღირებულება, გაყიდვების ღირებულება, ფასები და ა.შ. რაც უფრო დიდია პროექტის ფაქტორთა ცვლილებების დიაპაზონი, მით უფრო დიდ რისკთანაა დაკავშირებული პროექტის. საინვესტიციო პროექტის ანალიზისას საჭიროა რისკების ყოველგვარი სახეობის გათვალისწინება და პროექტის მთლიანი რისკის მინიმუმამდე დაყვანა.

რისკთან მიმართებაში ინვესტორები იყოფიან: ა) ინვესტორები რომლებიც ეგუებიან რისკს <<მზად არიან გადაიხადონ რისკის საფასური>>; ბ) რომლებიც არ ეგუებიან რისკს <<მზად არიან გადაიხადონ იმაში, რომ აიცილონ რისკი>>; გ) ნეიტრალურების რისკის მიმართ.

დამოკიდებულება რისკის მიმართ განისაზღვრება ინვესტირების მიზნებით, ასევე ინვესტორის ფინანსური მდგომარეობით. რისკის ანალიზი არის საინვესტიციო ექსპერტიზის აუცილებელი და მეტად მნიშვნელოვანი ეტაპი. წარმოშობის წყაროს მიხედვით რისკები იყოფა სისტემურ-მაკროეკონომიკურ და არასისტემურ-მიკროეკონომიკურ რისკებად.

სისტემური რისკები განისაზღვრებიან გარე გარემოებებით, არ არის დამოკიდებული სუბიექტებზე და არ იმართება სუბიექტის მიერ, ესენია: ქვეყნის რისკი, ფორსმაჟორულ გარემოებათა რისკი.

ქვეყნის რისკი უშუალოდ არის დამოკიდებული ბიზნესის ინტერნაციონალიზაციისთან. ის აქტუალური საგარეო ეკონომიკური საქმიანობის

ყველა მონაწილისათვის და დამოკიდებელია ქვეყნების პოლიტიკურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილიზაციაზე.

ეკონომიკური რისკი შეიძლება უკავშირდებოდეს ქვეყანაში შესაძლო მნიშვნელოვან არასახარბიელო ცვლილებებს ეკონომიკურ სფეროში. ეკონომიკური რისკი იყოფა ისეთ ძირითად ფაქტორებად, როდესაც სურვილი აქვთ იმუშაონ გარკვეულ ქვეყანაში შემდეგია: ეკონომიკის მასშტაბები; ეკონომიკური ზრდის რეალური ტემპები; გადასახადების განაკვეთები; ინფლაციის დონე; საგარეო ვალი; საგადასახადო ბალანსი; რეფინანსირების განაკვეთი; შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე და სხვ.

პოლიტიკური რისკი, როგორც წესი, უკავშირდება ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შედეგებს. პოლიტიკურ რისკებს განეკუთვნებიან: პოლიტიკური ცვლილებების შესაძლებლობა; სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ბუნდოვანება და არაპროგნოზირებადობა; კანონმდებლობაში შესაძლო არასახარბიელო ცვლილებები; გეოპოლიტიკური რისკები; სოციალური რისკები და სხვა.

ფორს-მაჟორულ გარემოებათა რისკი განსაზღვრავს ბუნებრივი კატაკლიზმების საშიშროების გამოვლენას პროექტის განხორციელების მსვლელობაზე.

დაფინანსების რისკი – ესაა ფულადი სახსრების უქონლობის რისკი, პროექტის განხორციელების მომენტში, აგრეთვე დაკრედიტების პირობების და პირდაპირი ინვესტიციების პირობების შეცვლა.

ტეგნოლოგიური რისკი – რისკი გამოწვეული შეცდომებით დაპროექტებაში, არჩეული ტექნოლოგიების ნაკლოვანებებით, არასაკმარისი კვალიფიციური მუშახელით, წარმოებული სამუშაოების ვადების შეუსრულებლობით და ფასების ზრდით ნედლეულზე და სხვა.

მარკეტინგული რისკი – ბაზრის გამოკვლევის დაბალი დონის რისკი.

ლიკვიდურობის რისკი – ესაა რისკი, რომელიც დაკავშირებულია აქტივების უუნარობასთან, მომგებიან ფასად.

რისკის შეფასება უნდა განხორციელდეს შემდეგი თანმიმდევრობით: 1) რისკის მიზეზების წყაროების გამოვლენა; 2) პროექტისთვის დამახასიათებელი ყველა შესაძლო რისკის იდენტიფიკაცია; 3) ცალკეული რისკის შეფასება, რომელიც მის ეკონომიკურ მიზანშეწონილობას განსაზღვრავს; 4) რისკის დასაშვები დონის განსაზღვრა; 5) რისკის შესამცირებელი ღონისძიებების შემუშავება.

საინვესტიციო პროექტის რისკის რაოდენობრივი ანალიზის ყველაზე ხშირად გამოყენებული მეთოდებია: შეფასების სტატისტიკური მეთოდი; ექსპერიმენტული შეფასების მეთოდების მეთოდი; ანალოგიების მეთოდი; ანალიტიკური მეთოდების ჯგუფი.

სტატისტიკური მეთოდი საშუალებას იძლევა შევაფასოთ როგორც პროექტის, ისე მთლიანად საწარმოს რისკი და რომელიც ეფუძნება საწარმოს წარსული საქმიანობის შესახებ არსებული მონაცემების სტატისტიკურ კვლევას;

ექსპერტული მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ექსპერტების გამოცდილების გამოყენების საშუალებას იძლევა;

ანალოგიების მეთოდის გამოყენებისას ხდება ყველა არსებული მონაცემების გაანალიზება, უკვე განხორციელებული საინვესტიციო პროექტისა, რომელიც შეფასებული პროექტის მსგავსია. ეს მეთოდი გამოიყენება ხშირად გამეორებადი ანალოგიური პროექტების რისკის შეფასებისას.

ანალიტიკური მეთოდების ჯგუფი იყოფა:

ა) მეთოდები ალბათობის განაწილების გათვალისწინების გარეშე, კერძოდ: მგრძნობიარობის ანალიზი; სცენარების ანალიზი; პროექტის ცალკეული პარამეტრების კორექტირების მეთოდი; ბ) მეთოდები ალბათობის განაწილების გათვალისწინებით, კერძოდ: მონტე-კარლოს მეთოდი; გადაწყვეტილების მიღების თეორიის გამოყენებაზე დაფუძნებული მეთოდები.

არსებობს მეთოდების ორი ჯგუფი – აგრეგირებული და კუმულატიური, რომლებიც შესაბამისად ითვალისწინებენ რისკს მაშინვე მთლიანად ან რისკის თითოეულ სახეს ცალკე-ცალკე.

აგრეგირებული მეთოდებია – „ბეტა“ კოეფიციენტის მეთოდი, რომელიც დისკონტის ნორმის გამოთვლისას იყენებს კაპიტალური აქტივების მოდელს <<CAPM>>.

კუმულატიური მეთოდი – ეფუძნება რისკის ფაქტორების განსაზღვრულ კლასიფიკაციას და თითოეულის შეფასებას. ანგარიშის ბაზად აიღება ურისკო განაკვეთი. რისკის შეფასების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩვენ განვიხილავთ რისკის ფაქტორს და შეფასებას კაპიტალდაბანდების ბიუჯეტის შემუშავებისას. აქედან გამომდინარე შესაძლებელია სამი მკვეთრად განსხვავებული ტიპის რისკის გამოყოფა: ა. ერთსულოვანი რისკი <<standart-alone risk>>; ბ) ფირმისშიდა რისკი <<within-firm risk>>; გ) საბაზრო რისკი <<market risk>> როცა პროექტის რისკი განიხილება საფონდო ბირჟაზე ფირმის აქციონერების კაპიტალის დივერსიფიკაციის კონტექსტში. კონკრეტული პროექტის შემოსავალი

შეიძლება საკმაოდ განუსაზღვრელი იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი პროექტის რისკი მაღალია.

ცალკეული ფულადი ნაკადების განაწილების ხასიათი და მათი კორელაცია ერთმანეთთან განსაზღვრავენ პროექტის NPV-ს და IRR-ს განაწილების ხასიათს და მის ერთეულოვან რისკს. არსებობს საინვესტიციო პროექტის ერთსულოვანი რისკის შეფასების ოთხი ძირითადი მეთოდი: 1) მგრძნობიარობის ანალიზი; 2) სცენარების ანალიზი; 3) იმიტაციური მოდელირება მონტე-კარლოს მეთოდით და 4) გადაწყვეტილების ხმის მეთოდი.

მგრძნობიარობის ანალიზი – იწყება საბაზისო ვარიანტის აგებით, რომელიც შემუშავებული შემავალი სიდიდეების მოსალოდნელი მნიშვნელობების საფუძველზე. შემდეგ მოსალოდნელი ანუ საბაზისო მნიშვნელობების გამოყენებით იანგარიშება საბაზისო ვარიანტის NPV-ს კი დავსვათ კითხვა „რა მოხდება თუ“. რა მოხდება თუ გაყიდვების მოცულობა ნატურალურ ერთეულებში მოსალოდნელთან შედარებით 20% შემცირდება. რა მოხდება თუ დაეცემა რეალიზებული პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება. რა მოხდება თუ ცვლადი დანახარჯები მოსალოდნელთან შედარებით 10%-ით გაიზრდება. მგრძნობიარობის ანალიზი შემუშავებულია იმისათვის, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირი უზრუნველყოფს ამ სახის კითხვებზე პასუხით.

სცენარების ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ მგრძნობიარობის ანალიზი, შესაძლებელია, ყველაზე ფართოდ გავრცელებული რისკის მეთოდია, მას მაინც გააჩნია რიგი შეზღუდვები. როგორც წესი, პროექტის ერთეულოვანი ერთსულოვანი რისკი დამოკიდებულია: 1) მისი NPV-ს მგრძნობიარობაზე ძირითადი ცვლადების ცვლილების მიმართ და 2) ამ ცვლადების მნიშვნელობების შესაძლო დიაპაზონზე, რაც მათი ალბათობების განაწილებებში გამოიხატება.

რისკის ანალიზის მეთოდი, რომელიც განიხილავს როგორც NPV-ს მგრძნობიარობას ძირითადი ცვლადების ცვლილების მიმართ, ასევე ცვლადების შესაძლო მნიშვნელობების დიაპაზონს, სცენარების ანალიზი ეწოდება. ამ დროს ფინანსური ანალიტიკოსი თხოვს პრაქტიკოს მენეჯერს ამოირჩიოს პირობების „ცუდი“ ერთობლიობა საშუალო, ანუ „ყველაზე ალბათური“ ერთობლიობა და „კარგი“ პირობებისა და აღარებენ „ყველაზე ალბათურ“ NPV-ს. აგრეთვე იანგარიშება NPV-ს მოსალოდნელი მნიშვნელობა, საშუალო კვადრატული გადახრა და ვარიაციის კოეფიციენტი. ამისათვის აუცილებელია თითოეული სცენარის განხორციელების ალბათობის შეფასება, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მატრიცულად შეფასება ძალიან რთულია.

საინვესტიციო პროექტის შეფასება შესაძლებელია სპეციალური კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით, რომლებიც MS Excel-ის ბაზაზეა შექმნილი. კერძოდ „ალტ-ინვესტი“, ესაა პროგრამა, რომელიც გამოიყენება, რათა გაანალიზდეს ინვესტიციის ეფექტიანობა, პროექტის ფინანსური მხარე პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკები.

თემა 7. საინვესტიციო პროცესებზე მოქმედი ადამიანისეული და კულტურული გარემო

უცხო ქვეყნის სპეციფიკის გააზრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანური და კულტურული გარემო. საერთაშორისო დონის ინვესტორები კარგად უნდა ფლობდეს ანთროპოლოგიას, რათა უკეთ აღიქვან ამა თუ იმ ქვეყნის მცხოვრებთა სოციალურ-კულტურული ფასეულობანი. სხვა და სხვა ეროვნების ადამიანებისათვის დამახასიათებელია გარკვეული ეროვნული თავისებურებანი, რომელთა შორის ყველაზე უფრო თვალსაჩინოა გარეგნობა. იგი ადვილად აღიქმება, მაგრამ გაცილებით უფრო ძნელად დგინდება ეროვნება. მაგალითად, რუსეთში ძნელად არჩევენ ერთმანეთისაგან კავკასიელებს, დასავლეთ ევროპაში – აზიელებს, რაც ყოველი მათგანის გულისწყრომას იწვევს.

ადამიანური თავისებურებები. გარეგნობა. ფიზიკური თავისებურებანი. აუცილებელია ყურადღების გამახვილება ფიზიკურ თავისებურებაზე, ვინაიდან ქვეყნის ბაზრისათვის განკუთვნილ პროდუქციას უნდა ჰქონდეს იქაური მომხმარებლისათვის მისაღები პარამეტრები. მაგალითად, ჩარხის მაგიდის ზომა თუ მისაღებია ევროპელებისათვის, იგი მიუღებელია იაპონელებისათვის. იგივე შეიძლება ითქვას ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე და ა. შ. აღნიშნულის გამო, ფიზიკური თავისებურების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია საერთაშორისო ინვესტირებაში წარმატების მიღწევა.

ეროვნული კულტურა. ადამიანის ფიზიკურ თავისებურებებთან ერთად მნიშვნელოვანია მისი ეროვნული კულტურა – ადამიანისა და საზოგადოების განვითარების ისტორიულად განსაზღვრული დონე, რომელიც გამოსახება ადამიანთა ცხოვრებისა და საქმიანობის ორგანიზაციის ფორმებში, მათ მიერ

შექმნილ სულიერ და მატერიალურ ფასეულობებში. ყოველი ქვეყნის კულტურა განსხვავდება ფასეულობებისა და სოციალური მიზანდასახულობის მიხედვით ერთმანეთისაგან. ამიტომ ინვესტორმა პატივი უნდა სცეს უცხო ქვეყნის კულტურას, გაითვალისწინოს მისი თავისებურებანი და არ დაუშვას მასთან წინააღმდეგობა.

მაგალითად, ირანში მოქმედმა ინვესტორმა უნდა იცოდეს, რომ იქაურ მამაკაცს არ შეუძლია მოკლესახელოიანი პერანგის გამოყენება. უფრო მკაცრი წესებია ქალის ჩაცმულობაში. ამ თითქოსდა უმნიშვნელო ფაქტორების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შეუძლებელია არა თუ რაიმე სახის ინვესტიციის დაბანდება, არამედ თვით ქვეყანაში ყოფნაც კი. სამაგიეროდ სულ სხვა მიდგომაა ამ საკითხებთან მიმართებაში ირანის მეზობელ და ასევე მუსულმანურ ქვეყანაში – თურქეთში. ყოველი ქვეყნის მოსახლეობა იყოფა სოციალურ ჯგუფებად და ყოველი ადამიანი ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის წევრია. ჯგუფის წევრობა შეიძლება იყოს შთამომავლობით, შექმნილი თვისებებით, რესურსების ფლობისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის მიხედვით.

„ჯგუფის წევრობა შთამომავლობით“ განსაზღვრულია დაბადებიდან. ასეთი ჯგუფები იქმნება სქესის, ოჯახის, ასაკის, რასის, ან ეროვნული წარმოშობის ნიშნის მიხედვით. ადამიანთა დაჯგუფება ითვალისწინებს ყოველ ქვეყანაში მამაკაცისა და ქალის მიმართ სპეციფიკური თავისებურებების გამოხატვას. მაგალითად, მთელ რიგ ქვეყნებში სამსახურში მიღებისას უპირატესობას მამაკაცებს ანიჭებენ ქალებთან შედარებით და მათი ანაზღაურებაც შესაბამისად მაღალია. ბევრ ქვეყანაში სამსახურეობრივი დაწინაურებისას ითვალისწინებენ ასაკს. საზოგადოებაში ამა თუ იმ პირის აღიარება ხდება მისი ოჯახის რეპუტაციის მიხედვით. მნიშვნელობა აქვს ასევე ადამიანის რასასა და ეროვნებას. მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ნ. მანდელას მმართველობამდე ამ ქვეყნის არაევროპულ მოსახლეობას ჩამორთმეული ჰქონდა სამოქალაქო უფლებები.

ჯგუფის წევრობა შექმნილი თვისებებით გულისხმობს რელიგიურ, პოლიტიკურ, პროფესიულ და სხვა სახის გაერთიანებას. ხშირად წევრობის ტიპი განსაზღვრავს ადამიანის ადგილს სოციალურ წყობაში, რომელიც გულისხმობს ინდივიდის საზოგადოებრივ მდგომარეობას. მაგალითად, ინჟინერი უფრო მეტად ფასობს, ვიდრე მუშა. ზოგიერთ ქვეყანაში, ადამიანის სამუშაოზე მიღებისას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიულ კომპეტენციას, რაც უფრო ცივილიზებულია საზოგადოება, მით უფრო ნაკლები ყურადღება ეთმობა შთამომავლობით განსაზღვრულ ჯგუფის წევრობას. მიუხედავად ამისა, მრავალეროვნულ კომპანიებს

ექმნებათ მთელი რიგი პრობლემები მუშაკთა დაქირავების დროს, რაც უცხო ქვეყნის წეს-ჩვეულებებითა და ქცევის ნორმებითაა განპირობებული. მაგალითად, აფრიკის ზოგიერთ ქვეყანაში ამა თუ იმ ადამიანის დაქირავებისას საჭიროა ტომის ბელადის თანხმობა.

მუშაკთა დაქირავებისას საერთაშორისო ინვესტორმა უნდა იცოდეს მოცემულ ქვეყანაში შრომისადმი ადამიანის დამოკიდებულება და მისი მოტივაცია. მაგალითად, მაღალგანვითარებულ ქვეყნებში ადამიანებისათვის სხვა საქმიანობის დაწყებისათვის უმჯობესია ძველ სამუშაო ადგილზე დაბალ ხელფასზე მეტი შრომის დახარჯვა. ბევრ ქვეყანაში შრომისადმი დამოკიდებულებას განსაზღვრავს რელიგია, მოთხოვნების სპეციფიკა და სხვა ფაქტორები.

ადამიანთა მოთხოვნების კომპლექსი ა. მასლიუმ დაჰყო ხუთ კატეგორიად: ფიზიოლოგიური, უსფრთხოების, სოციალური, აღიარებისა და თვითგამოხატვის მოთხოვნები. ყოველი ქვედა მოთხოვნების ნაწილობრივი დაკმაყოფილების შემდეგ უკვე ადამიანს უჩნდება ზედა დონის მოთხოვნების დაკმაყოფილების სურვილი. მასლიუს აზრით, ადამიანი არის იგივე ცხოველი, რომელსაც მუდამ რაღაც სურს. სწორედ ეს სურვილები უბიძგებენ მათ იმუშაონ იმაზე მეტი, ვიდრე ჭირდებათ მათ არსებობისათვის, რათა მიიღონ უფრო მეტი გასამრჯელო და დაიკმაყოფილონ სულ უფრო ბევრი მოთხოვნა. საინვესტიციო გარემოს შესწავლისას გასათვალისწინებელია დასვენებისადმი დამოკიდებულების განსხვავება ქვეყნების მიხედვით. მდიდარ ქვეყნებს შორის ყველაზე ნაკლებს ისვენებს იაპონელები. შრომისადმი დამოკიდებულებას განსაზღვრავს ანაზღაურების დონე, მართვის სტილი, მიღწეული წარმატებები და ა. შ. ამ სფეროში განსაკუთრებულ როლს ასრულებს კომუნიკაციის საშუალებები.

საინვესტიციო პროცესი უშუალოდაა დაკავშირებული ადამიანის ქცევის კულტურასთან. მსოფლიოში არ არსებობს უნივერსალური, საყოველთაოდ მიღებული მორალი. ის რაც მისაღებია ერთ ქვეყანაში, შეიძლება მიუღებელი აღმოჩნდეს მეორისათვის. ეთიკა და ეთიკეტი იმდენად მრავალფეროვანია ქვეყნების მიხედვით, რომ მათი აღწერა შეუძლებელია. რეციპიენტი ქვეყნის მუშაობის მეთოდების გამოყენებამ შეიძლება ისეთ დონეს მიაღწიოს, რომ საერთოდ დაიკარგება საკუთარი სიახლეები და უპირატესობები. შესაბამისად ფირმა აღმოჩნდება არაკონკურენტუნარიანი და დაკარგავს მის მიერ მიღწეულ წარმატებებს.

ეთნოცენტრისტები თავის მხრივ სხვა ჯგუფებზე მაღლა აყენებენ და უპირატესობას ანიჭებენ საკუთარ ეთნიკურ ჯგუფებს. ისინი უარყოფენ ყოველივე

ადგილობრივს და თვით უცხო გარემოს თავისებურებებს, დარწმუნებული არიან მუშაობის საკუთარი მეთოდების ეფექტიანობაში და მხოლოდ მათ იყენებენ. ეთნოცენტრისტები სხვა და სხვა ტიპისანი არიან. მათ შორის გამოყოფენ სამ ტიპს: 1. პირველი ტიპის ეთნოცენტრისტები თავიანთ ქვეყანაში მიჩვეული არიან მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს, ამიტომ მათი მხედველობის არიდან გამოდის მრავალი ფაქტორი და უცხოური სპეციფიკა გაუთვალისწინებელი რჩება.

ეთნოცენტრიზმის მეორე ტიპი აღიარებს უცხო გარემოს თავისებურებებსა და ცვლილებების აუცილებლობას, მაგრამ უცხოური, ან საერთაშორისო ინვესტირების ნაცვლად კონცენტრირებულნი არიან საკუთარ ეროვნულ მიზნებზე. აღნიშნულის გამო, ისინი დროთა განმავლობაში კარგავენ კონკურენტუნარიანობას. მესამე ტიპის ეთნოცენტრიზმი აღიარებს ქვეყანათა შორის სხვაობას და ცვლილებათა განხორციელების აუცილებლობას, მაგრამ თვლის, რომ ამ ცვლილებათა გატარება ადვილია. ასეთ თვითდარწმუნებას ხშირად ცუდი შედეგები მოაქვს. პოლიცენტრიზმი და ეთნოცენტრიზმი ორი უკიდურესი მდგომარეობაა. თანამედროვე პირობებში ისინი წმინდა სახით ნაკლებად გამოიყენება. ტრანსნაციონალური კორპორაციები ჩვეულებრივ იყენებენ ინვესტირების პიბრიდულ ფორმებს, რომლებიც განსხვავდებიან საბაზისო და რეციპიენტი ქვეყნის ოპერაციებისაგან. აღნიშნულის გამო უფრო ადვილია უცხო გარემოსთან ადაპტაცია.

თემა 8. საინვესტიციო კანონმდებლობის ჩამოყალიბება და ქვეყნის საინვესტიციო პოტენციალი

საქართველო, სხვა პოსტსაბჭოთა პერიოდის ქვეყნების მსგავსად, აღმოჩნდა საკამაოდ რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში. გატარებული რეფორმები, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში, მიზნად ისახავდნენ მოქმედი სამართლებრივი სისტემის შეცვლას ახლით, უფრო პროგრესულით, რომელიც შეესაბამება ახლადშექმნილი დამოუკიდებელი ქვეყნის მოთხოვნებს. მხოლოდ ეკონომიკაში ინვესტირებულ უცხოურ კაპიტალს შეეძლო დახმარებოდა ქვეყანას გადარჩენაში და შეევესო ის ვაკუუმი, რომელიც ჩამოყალიბდა ეკონომიკაში კაპიტალ დაბანდების სფეროში.

შედარებით სხვა შედეგი იქნა მიღწეული 1995 წლის 30 ივნისის კანონით **“უცხოური ინვესტიციების შესახებ”**, რაც მნიშვნელოვნად დაეხმარა ქვეყანას კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლასა და უცხოური ინვესტიციების შემოდინებაში, ხელი შეუწყო სახელმწიფო ფინანსური რესურსების ზრდას. ამ კანონით განისაზღვრა უცხოელი ინვესტორის უფლება-მოვალეობანი, უცხოური ინვესტიციების დაცვის გარანტიები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო

21 მუხლი, რომელიც განსაზღვრავდა იმ შედაგათებს, რომლითაც შეეძლოთ ესარგებლათ ინვესტორებს. ამ მუხლის შესაბამისად, ინვესტორი პირველი მოგების გამოცხადების პირველივე დღიდან თავისუფლდებოდა მოგებაზე გადასახადისგან ორი წლის განმავლობაში, ხოლო შემდგომი ექვსი წლის მანძილზე – 50%-ით თავისუფლდებოდა ყველა გადასახადისგან.

აღსანიშნავია, რომ კანონმა შეასრულა თავისი მისია, როგორც იტყვიან **“ყინული დაიძრა”** – ქვეყანაში დაიწყო უცხოეთიდან ინვესტიციების შემოდინება. შესაბამისად, ამ კანონით გათვალისწინებული მთავარი მიზანი მიღწეულ იქნა.

მაღევე, ქვეყანაში ჩამოყალიბებული გარემოებების გამო, აუცილებელი გახდა ახალი კანონის მიღება. მართლაც 1996 წლის 12 ნოემბერს დამტკიცდა კანონი **“საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ”**, რომელიც დღემდე ძალაშია და ყველა წინა, მასთან წინააღმდეგობაში მყოფი კანონი და კანონქვემდებარე აქტი ძალადაკარგულად ჩაითვალა.

დღესდღეობით საინვესტიციო კანონმდებლობა, მოქმედი მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში, არ ითვალისწინებს უცხოელ ინვესტორთა პრივილეგიებს. უცხოელი ინვესტორების მოზიდვის თვალსაზრისით ეფექტურ მეთოდს წარმოადგენს კანონმდებლობით არა პრივილეგიებისა და შედაგათების მინიჭება, არამედ მათთვის მისაღები საგადასახადო რეჟიმის შექმნა. გარდა ზემოთაღნიშნული კანონისა, საინვესტიციო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა მოიცავს რიგ ნორმატიულ აქტებს, შესაბამისად, სამოქალაქო, საგადასახადო, საბაჟო კოდექსს, **“დაზღვევის შესახებ”** კანონს, **“უცხოური სახელმწიფოსა და კომპანიებისთვის კონცესიის გადაცემის შესახებ”**, **“სამეწარმეო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ”**, **“კომერციული ბანკების საქმიანობის მარეგულირებელ”** კანონებს და სხვა.

მსოფლიო პრაქტიკაში საკმაოდ გავრცელებული ხასიათი აქვს ორმხრივი შეთანხმებების დადებას. ამგვარი შეთანხმებების მიზანს წარმოადგენს საინვესტიციო წახალისება შეთანხმებული სახელმწიფოს ტერიტორიაზე და ინვესტორთა ინტერესების დაცვის გარანტიების გაცემა. ასეთი სახის შეთანხმებები

ხელს უწყობს პარტნიორებს შორის ურთიერთმოგებიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, ეკონომიკური თანამშრომლობის ახალი ფორმების განვითარებასა და ე.წ. ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნას, რაც ქვეყანაში საზღვარგარეთიდან დამატებითი კაპიტალდაბანდების მოზიდვის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს.

საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიის კანონის თანახმად აღიარდება ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობების თუ სამართლის ყველა სახე, რომელიც ჩადებულია და გამოიყენება სამეწარმეო საქმიანობისთვის შესაძლო მოგების მიღების მიზნით.

უცხოელი ინვესტორის ინტერესის სფეროს წარმოადგენს პირველ რიგში რეციპიენტი ქვეყნის საინვესტიციო გარემო, კერძოდ თუ რა შეზღუდვები და გარანტიები გააჩნია მას ანუ ამ შეზღუდვების ამსახველი ნორმატიული აქტები, რომელთა კლასიფიკაცია შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ:

- ადგილობრივი საწარმოების საწესდებო კაპიტალში უცხოურ საკუთრებაზე პროცენტული შეზღუდვების დაწესება;
- პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე სალიცენზიო წესის მოქმედება;
- კაპიტალისა და მოგების საზღვარგარეთ გადაგზავნის შეზღუდვა;
- წარმოების მოცულობის შეზღუდვა;
- ტექნოლოგიების გადაცემოსას განსაზღვრული მოთხოვნების დაწესება;
- წარმოებული პროდუქციის გარკვეული ნაწილის ადგილობრივ ბაზარზე გაყიდვაზე მოთხოვნები;
- მოთხოვნები ვაჭრობის დაბალანსებულობაზე;
- საქონლის ექსპორტის გაფართოებაზე მოთხოვნები;
- საქონლის იმპორტის ჩანაცვლებაზე მოთხოვნები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში მოქმედებს თანასწორობის, ხელსაყრელობის პრინციპი, როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ინვესტორებისთვის, გარდა იმ აკრძალვებისა, რაც შეეხება ინვესტირებას იმ სფეროებში, როგორცაა ატომური, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნა/წარმოება; სხვა სახელმწიფოში ატომური და ტოქსიური ნარჩენების შეტანა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დროს მათი მოშორებისა და გაუვნებლყოფის მიზნით; ნარკოტიკული საშუალებების კულტივირება; ასევე საქართველოს მიერ მიღწეული საერთაშორისო შეთანხმებების მიხედვით აკრძალული საქმიანობა.

გარდა ამისა, გათვალისწინებულია უცხოური ინვესტირების შეზღუდვა ისეთ სფეროებში, როგორცაა – ფულადი ნიშნების, მონეტების, სახემწიფო ჯილდოების ნიშნების, საფოსტო მარკების წარმოება; ფსიქოტროპული პრეპარატების, რომელიც სპეციალურ კონტროლს ექვემდებარება, შექმნა, იმპორტი, ექსპორტი, გადაზიდვა.

ექსპერტების აზრით კანონი საინვესტიციო საქმიანობის გარანტიისა და თანამშრომლობის შესახებ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს, მაგრამ მიუხედავად ამისა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრობლემად.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში შექმნილია და ფუნქციონირებს საქართველოს საინვესტიციო ცენტრი, რომლის ამოცანებში შედის ინვესტორთა მომსახურება, მათ მიერ დაწვებულ სამეწარმეო საქმიანობაში, რეკომენდაციების მომზადება საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის, ინვესტიციების მოსაზიდად და სხვ.

ყველასათვის ცნობილია, რომ ინვესტიციების მოსაზიდად და შესაბამისი პირობების შესაქმნელად აუცილებელია ინვესტორთა სამართლებრივი დაცვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება და მიღება. საქართველოს “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და საქმიანობის შესახებ” კანონის მე-7 მუხლის მიხედვით ინვესტიციები მთლიანად დაცულია მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მაგრამ კანონის ეს მხარე არაა საკმარისი იმისთვის, რომ უცხოელი ინვესტორები იქნენ დარწმუნებული მათი საქმიანობის ხელშეუხებლობასა და დაცულობაში.

უცხოელი ინვესტორების სახელმწიფო გარანტიის ცენტრალურ კომპონენტად შეიძლება ჩაითვალოს მათი დაცვა ქონების შესაძლო ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციისაგან. აღნიშნული ნორმა, როგორც წესი, ასახულია ეროვნულ კონსტიტუციებში ან უცხოური ინვესტიციების შესახებ სპეციალურ საკანონმდებლო აქტებში. სწორედ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად, საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება. აღნიშნული საკონსტიტუციო ნორმა ვრცელდება როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე. უცხოელი ინვესტორებისთვის კანონმდებლობით უზრუნველყოფილია ინვესტიციების არასამართლებრივი ჩამორთმევისგან დაცვა. კანონში მოცემულია პირობა (დანართი), რომ გადაუდებელი საჭიროებისას მხოლოდ სასამართლო გადაწყვეტილებით შეიძლება და ისიც შესაბამისი ანაზღაურებით. კომპენსაცია, გაცემული ინვესტორებისთვის, უნდა შეესაბამებოდეს

ამოღებული ინვესტიციების ამოღების მომენტში არსებულ რეალურ საბაზრო ღირებულებას. კომპენსაცია ასევე უნდა მოიცავდეს ინვესტორის ზარალს, ამოღების მომენტიდან კომპენსირებული თანხის გადახდამდე.

დაცვის გარანტიებს ემსახურება კანონის მე-14 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს, რომ თუკი უცხოელმა ინვესტორმა მიიღო ზარალი საომარი მდგომარეობის თუ შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად, არ შეიძლება მიეცეთ ადგილობრივ ინვესტორთან შედარებით უარესი პირობები ზარალის ასანაზღაურებლად.

საინვესტიციო საქმიანობის რეგულირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს 1995 წლის კანონის მდგომარეობა. კერძოდ, უცხოური ინვესტიციებით შექმნილ საწარმოებს, რომლებმაც ლიცენზია მიიღეს, 5 წლის განმავლობაში უნარჩუნდებთ ამ კანონში აღნიშნული შეღავათები, ხოლო ახალი საკანონმდებლო აქტი, რომელიც აუარესებს ინვესტიციებისთვის პირობებს, მისი მიღებიდან 10 წლის მანძილზე, არ ვრცელდება უკვე განხორციელებულ ინვესტიციებზე. ასეთ შემთხვევაში ინვესტორი ახორციელებს თავის საქმიანობას იმ კანონმდებლობის შესაბამისად, რაც მოქმედებს ახალი კანონის მიღებამდე.

მუხედავად იმისა, რომ ამ კანონის მე-7 მუხლის თანახმად, “ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით”, ქვეყანაში გარკვეული უარყოფითი გამოცდილება დაგროვდა – ინვესტორი არაა დარწმუნებული განხორციელებული ინვესტიციების ხელშეუხებლობაში. ამის გამო დღის წესრიგში დადგა ამ პროცესში მონაწილე ქვეყნების ვალდებულებათა იურიდიული დაფიქსირების აუცილებლობა, რამაც სათავე დაუდო ორმხრივი, რეგიონული და მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმებას.

საქართველოს კანონი “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიის შესახებ” ასევე არეგულირებს უცხოელ ინვესტორსა და საქართველოში დარეგისტრირებულ საწარმოს შორის წამოჭრილ დავასთან დაკავშირებულ საკითხს, რომლის გადაჭრა ხდება დადგენილი ურთიერთშეთანხმების შედეგად ან საქართველოს სასამართლოს მიერ. ხოლო თუკი ურთიერთშეთანხმება არ ითვალისწინებს, წყვეტს ან საქართველოს სასამართლო ან საინვესტიციო დავების გადაჭრის საერთაშორისო ცენტრი (International Center for the Resolution of Investment Disputes). თუკი დავა არ განიხილება აღნიშნულ ცენტრში, უცხოელი ინვესტორი უფლებამოსილია მიმართოს ცენტრის დამატებით ინსტიტუტს ან ნებისმიერ საერთაშორისო საარბიტრაჟო ორგანოს, რომელიც დაარსებულია გაეროს

საერთაშორისო სავაჭრო სამართლის კომისიის მიერ (United Nations Commission for International Trade Law Uncitral) საარბიტრაჟო და საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესების შესაბამისად, ხოლო აღნიშნული საარბიტრაჟო ორგანოების გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

ამავდროულად აღსანიშნავია, რომ საქართველო ჯერ კიდევ განიცდის ფინანსური რესურსების ნაკლებობას ეკონომიკის ბევრ სექტორში. ფინანსურ ინსტიტუტებს, ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს საქართველოში საქმიანობის წარმართვისას საკმაოდ მაღალი რისკის ქვეშ უწევთ მუშაობა. შესაბამისად, ასევე მაღალია სესხის საპროცენტო განაკვეთებიც. აქედან გამომდინარე, თანხების გამონახვა ახალი პროექტებისთვის ან სულაც ჩვეულებრივი საქმიანი ოპერაციებისთვის, ჩვენთან უფრო ძვირადღირებულია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. ქართული კომერციული ბანკების კრედიტები მოკლევადიანია (კრედიტის მაქსიმალური ვადა 5 წელი), სესხის მოცულობა შეზღუდულია (სესხის მაქსიმალური ოდენობაა 1 მლნ აშშ დოლარი), ხოლო საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალი – წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 15-20% (პროექტის სპეციფიკისა და რისკის მიხედვით). ასეთ პირობებში ადგილობრივი კერო სექტორი მხოლოდ მოკლევადიან პროექტებში რისკავს ფულის დაბანდებას.

ქვეყანაში დაწყებული ეკონომიკური რეფორმების გატარება, შესაძლებელი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების დახმარებით. ამ წლებში ინვესტიციების უდიდესი ნაწილი მოდის თურქეთსა და აშშ-ზე. თურქული კრედიტის ძირითადი მოცულობა მოდიოდა კავშირის საკომუნიკაციო სისტემაზე, ხოლო საერთაშორისო ბანკის კრედიტები – მუნიციპალურ განვითარებაზე. ინვესტიციების დიდი ნაწილი ჩადებულ იქნა საწარმოთა ტექნიკურ გადაიარაღებასა და რეკონსტრუქციაზე ისეთ დარგებში, როგორცაა – ენერჯეტიკა, გადამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი და კომუნიკაციები.

იაპონელი ინვესტორების დახმარებით ხორციელდება პროექტები ენერჯეტიკის სფეროში, რომლებიც ითვალისწინებენ ჰიდრო და ელექტროსადგურებზე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების დახმარებით ხორციელდება პროექტები ჯანდაცვის, განათლების, ეკოლოგიის სფეროებში, რომელთა დასრულება განაპირობებს ეკონომიკურ განვითარებასა და ცხოვრების დონის ამაღლებას.

თემა 9. უცხოური ფულადი ინვესტიციების როლი საქართველოში

საქართველოს ეროვნული მეურნეობის განვითარებისათვის უმთავრესი პრობლემა უცხოური ინვესტიციების მოზიდვაა. მათი ეროვნული მეურნეობის სფეროებში გამოყენება წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის კომპლექსურ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას. საქართველო, ისევე როგორც განვითარებადი ქვეყნები, მწვავედ განიცდიან უცხოური ინვესტიციების სიმცირეს. საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დინამიკა 90-იანი წლების შუა პერიოდიდან დაახლოებით 2002 წლამდე არცთუ დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ პერიოდამდე შეინიშნება ზრდის ტენდენცია. კერძოდ, 1995 წ.-33,25 მლნ. აშშ. დოლარი, 1996 წ.-68,46 მლნ. აშშ. დოლარი, 1997 წ.-138,6 მლნ. აშშ. დოლარი, 1998 წ.-288,04 მლნ. აშშ. დოლარი, 1999 წ.-83,65 მლნ. აშშ. დოლარი, ხოლო 2000 წ.-სულ 60,14 მლნ. აშშ. დოლარი.

2006 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 133,8 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, რაც 1,5-ჯერ მეტია 2005 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში უცხოურმა ინვესტიციებმა გარკვეულწილად იმატა, „ღომის წილი“ მაინც ორ ძალზე სერიოზულ ინვესტიციაზე, „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანსა“ და სამხრეთ კავკასიის გაზსადენზე მოდის, რომელთაც ეკონომიკურზე უფრო მეტად პოლიტიკური ხასიათი აქვთ.

რთული საგარეო ეკონომიკური ფონის პირობებში განვითარებულმა საგადამხდელო და საფინანსო-საბიუჯეტო კრიზისმა, ეროვნული ვალუტის კურსის მკვეთრმა მერყეობამ და ინფლაციური მოვლენების გაძლიერებამ მძიმე დარტყმა მიაყენა ქვეყნის მეურნეობის აღორძინების პროცესს, მეტად დაძაბა სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია სახელმწიფოში. ასეთ პირობებში პოლიტიკური, სავალუტო და საფინანსო რისკის ზრდას, ცხადია, თან მოჰყვა არსებული საინვესტიციო პირობების გაუარესება და როგორც ამის ლოგიკური შედეგი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი შემცირება. მდგომარეობა არც 2002 წ.-ს არ გაუმჯობესებულა. ამ წელს, საბაზრო ურთიერთობების პირობების გათვალისწინებით, ინვესტიციები საერთო დანახარჯებში იყო ყველაზე ცვალებადი კომპონენტი, რომლის გააქტიურებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენდა: პოლიტიკური არასტაბილურობა, ეროვნული ვალუტის ინფლაცია, ქვეყანაში არსებული განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, ჩამოუყალიბებელი და

ცივილიზებული ქვეყნისათვის არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, ძალზე მოუწესრიგებელი საგადასახადო სისტემა და ფრიად მაღალი გადასახადები, მოსახლეობის უადრესად დაბალი შემოსავლიანობა, ზედა და საშუალო რგოლის მენეჯერების არასაკმარისი პროფესიონალიზმი და სხვა ხელისშემშლელი პირობების სიმრავლე.

ექსპერტები საქართველოში ყველაზე პერსპექტიულ დარგებად ასახელებდნენ ტურიზმს, ტრანსპორტს, კვების მრეწველობასა და კომუნიკაციებს. თუმცა, ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ ტურისტულ ბიზნესში ინვესტიციები ნაკლებად ხორციელდება—საერთო მოცულობის 1,23% ასევე საკმაოდ მცირე კაპიტალდაბანდებები იყო ტრანსპორტში—1,86%. აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ პერსპექტიული დარგები საჭიროებენ სახელმწიფოს მხარდაჭერას, რაც, პირველყოფლისა, უნდა გამოვლინდეს მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნაში უცხოელი ინვესტორების მოზიდვის მიზნით. სახელმწიფოს როლი საინვესტიციო გარემოს შექმნაში მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც, ის იცავს უფლებებს საკუთრებაზე, ახორციელებს სამართლებრივ რეგულირებას და ბიზნეს დაბეგვრას, ქმნის ფინანსური ბაზრისა და შრომის ბაზრის ფუნქციონირების პირობებს, საბაზრო ინფრასტრუქტურას. სახელმწიფოს როლი ასევე მნიშვნელოვანია ისეთი საერთო პრობლემების გადაწყვეტისას, როგორცაა კორუფცია, დამნაშავეობა, პოლიტიკური არასტაბილურობა. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება უნდა იყოს ნებისმიერი სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანა.

2006 წელს საქართველოში დაბანდებული უცხოური ინვესტიციების მიხედვით, ყველაზე მაღალი ხვედრითი წილითაა წარმოდგენილი დიდი ბრიტანეთი, რომლის წილიც ქვეყანაში დაბანდებულ მთელ უცხოურ ინვესტიციებში შეადგენდა 17,7%. ამ მხრივ მეორე ადგილი დაიკავა აშშ-მ, რომლის წილადაც მოდიოდა უცხოური ინვესტიციების 16%-ზე მეტი, მესამე ადგილზე იყო რუსეთი—15,5%-ით და ა.შ. თუმცა ბოლო სამი წლის შემაჯამებელი მაჩვენებლის მიხედვით ლიდერობდა აშშ—259612 მლნ. აშშ. დოლარით, მეორე ადგილზე იყო დიდი ბრიტანეთი—145413 მლნ. აშშ. დოლარით, ხოლო მესამეზე—რუსეთი 106875 მლნ. აშშ. დოლარით. აქვე უნდა ითქვას რომ, აშშ-ს ასეთი დიდი კაპიტალდაბანდება არ გაუღია არცერთი ქვეყნისათვის, გარდა ისრაელისა.

2005 და 2006 წლებში უცხოური ინვესტიციების გარკვეულ ზრდას ჰქონდა ადგილი, კერძოდ 2005 წელს წინა წელთან შედარებით უცხოურ ინვესტიციათა მოცულობები გაიზარდა 2-ჯერ და მეტად, ხოლო 2006 წელს 2005 წელთან

შედარებით მისი ზრდა შეადგენდა 46.7%-ს, რაც შეეხება 2006 წელს 2004 წელთან შედარებით, იგი თითქმის 3-ჯერ გაიზარდა.

აგვისტოს ომმა და მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა გააუარესა ქვეყანაში უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შემოდინება. შედეგად, მართალია 2009 წელს ქვეყანაში დაიგეგმა 1,7 მლრდ აშშ დოლარის უცხოური ინვესტიცია (რაც გაცილებით ნაკლებია 2007 წლის ფაქტიურად დაბანდებულ ინვესტიციებზე – 2,1 მლრდ დოლარი. ამ წელს ინვესტიციები შეადგენდა მშპ-ს 17%-ზე მეტს.), მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მაჩვენებელიც არ შესრულდება და მთავრობამ შესაძლო ინვესტიციები 1,1 მლნ-მდე გაითვალისწინა.

აქვე აღსანიშნავია, რომ მსგავს სიტუაციას ჰქონდა ადგილი 2008 წელსაც, როდესაც მთავრობის მიერ დაგეგმილი იყო 2 მლრდ-მდე უცხოური ინვესტიცია, მაგრამ, ზემოაღნიშნულ მიზეზების გამო იგი მილიარდნახევრამდე დაეცა, ანუ თითქმის 25%-ით შემცირდა წინა წელთან შედარებით.

2009 წლის I კვარტალში შემოსულმა უცხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა 124,7 მლნ დოლარი, ნაცვლად 537,6 მლნ-სა 2008 წელს, ანუ შემცირებულია 4-ჯერ და მეტად.

ჩვენი აზრით, ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლის შემაფერხებელ გარემოებად პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა და ასევე კანონების ხშირი ცვლილებებია. გარდა ამისა, შეიძლება დასახელდეს სხვა მიზეზებიც, რომელთა გამოც უცხოელი თავს შეიკავებდა ჩვენს ქვეყანაში კაპიტალის დაბანდებისაგან. ასეთებს მიეკუთვნება მაგალითად, საგარეო ვალის სწრაფი ზრდა, ეროვნული ვალუტის კურსის მერყეობა და ა.შ. ასევე შეიძლება დასახელდეს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული კადრების სიმცირე და სხვ.

ინვესტიციების მოზიდვის დამატებით ღონისძიებად შეიძლება გამოდგეს ასევე ქვეყანაში თავისუფალი ზონების შექმნა.

ცხადია, ის გარემოება, რომ ბიზნესის წამოწყების სიადვილის მიხედვით საერთაშორისო სავალუტო ფონდისა (სსფ) და მსოფლიო ბანკის (მბ) მიერ ჩატარებული რეიტინგების მიხედვით საქართველომ დაიკავა 11 ადგილი, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ჩვენს ქვეყანას, როგორც უცხოელი კაპიტალისტებისათვის, ისე ადგილობრივი მეწარმეებისათვის.

მაგალითად, თუ 2005 წელს ქვეყანაში ბიზნესის წამოსაწყებად (ანუ მის დასარეგისტრირებლად) საჭირო იყო საშუალოდ 21 დღე და ამისათვის აუცილებელი საბუთების გასაფორმებლად ადამიანს უნდა დაეხარჯა საშუალოდ წლიური შემოსავლის 47%, ამჟამად საჭიროა 3 დღე, ხოლო ამისათვის

აუცილებელი ხარჯი შეადგენს საშუალო წლიური შემოსავლის 3,7%-ს. ექსპორტის განსახორციელებლად საჭიროა 10 დღე, ნაცვლად ადრინდელი 44 დღისა, ხოლო იმპორტისათვის 13 დღე, ნაცვლად უწინდელი 39 დღისა.

საქართველოს გეოსტრატეგიული მსოფლიო პოლიტიკური მდგომარეობა პოლიტიკური სტაბილურობის შემთხვევაში იძლევა იმის საშუალებას, რომ აქ დიდი მოცულობის უცხოური ინვესტიციები იყოს მოზიდული. გარკვეული მასშტაბით ეს ხორციელდება კიდევ. მაგალითად, ბოლო წლებში მხოლოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის ნავთობისა და გაზსადენების მშენებლობაში 1 მლრდ დოლარზე მეტი ჩაიდო.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მთლიანი სიგრძე 1768 კმ შეადგენს, საიდანაც 249 კმ ანუ 14%–ზე მეტი საქართველოზე მოდის. ამ გაზსადენის მშენებლობა 2006 წელს დასრულდა და მისი მშენებლობის მთლიანმა ღირებულებამ 3,9 მლრდ შეადგინა. მილსადენი ეკუთვნის: ბრიტიშ პეტროლიუმს (30,1%), აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას (25%), შვედონს (8,9%), სტატოილჰიდროს (8,71%), თურქეთის პეტროლიუმ ანონიმ ორგანიზაციას (6,53%), ენი-აგიფს (5%), ტოტალს (5%), იტორუს (3,4%), იმპექსს (2,5%), კონოკოფილიპს (2,5%) და ჰესკორპორაციას (2,36%).

მეორე სტრატეგიული ენერჯო (გაზის) გამტარია ბაქო-თბილისი-ერზრუმი, რომელსაც მეორენაირად სამხრეთ კავკასიის მილსადენს უწოდებენ. ამ გაზსადენის საერთო სიგრძეა 692 კმ, საიდანაც 248 კმ საქართველოზე გადის. ამ გაზსადენის აქციების 25,5% ეკუთვნის ბრიტიშ პეტროლიუმს და ამდენივე სტატოილჰიდროს.

აღსანიშნავია, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს მნიშვნელობა, როგორც გაზის გამტარი ქვეყნისა, კიდევ უფრო გაიზრდება. ჩვენ მხედველობაში გვაქვს 2009 წლის 2 ოქტომბერს ბაქოში ყაზახეთის ყაზმუნაი გაზის სახელმწიფო კომპანიასა და აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიას (SOCAR) შორის დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ყაზახეთი აზერბაიჯანს მიაწვდის გაზს, ნავთობს და ასევე დაეხმარება ინფრასტრუქტურის მსენებლობაში. ცხადია, ამ ღონისძიებების გატარების შემდეგ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენიც კიდევ უფრო ეფექტური გახდება.

ბოლო ოთხ წელიწადში საქართველოში ყველაზე მეტი ინვესტიცია განახორციელა გაერთიანებულმა სამეფომ – 626,1 მლნ; მას მისდევენ შეერთებული შტატები და ნიდერლანდები – 493 მლნ და 437 მლნ დოლარი შესაბამისად.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს კავშირები კიდევ უფრო განმტკიცდება ნაბუკოს (NABUECO) მწყობრში ჩადგომის შემდეგ. ამ პროექტის

მშენებლობა დაიწყო 2010 წელს და დასრულდება 2015 წლისათვის. ექსპლუატაციაში შესვლის პირველსავე მილსადენში გაივლის 8 მლნ კუბური მეტრი ბუნებრივი გაზი, ერაყის ქურთისტანიდან და აზერბაიჯანიდან.

არაბეთის გაერთიანებული საამიროების კორპორაცია RAK ინვესტმენტმა ფოთის პორტის აქციების 51% შეიძინა. ესაა საქართველოს უდიდესი პორტი, რომელმაც მხოლოდ 2007 წელს გაატარა 7,7 მლნ ტონაზე მეტი ნედლი ნავთობი. იგივე კორპორაცია ფლობს ყაზმენაიგაზის აქციებსაც, სადაც მან 80 მლნ-ზე მეტი დააბანდა.

ქვეყნის სატელეკომუნიკაციო ბაზარზე აქტიურად მოქმედებს ტელეასონერა (თელეასონერა), რომელმაც ამ ბოლო ხანებში თავისი წილი ჯეოსელში გაზარდა 83%-დან 98%-მდე. ეს შესყიდვა განხორციელდა კონცერნ ფინტურის (ინტურ) საშუალებით, რომლის აქციების 74% ტელეასონერა ფლობს.

ამ სფეროში 33 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადებული აქვს ერთ-ერთ ლიდერ რუსულ კომპანია ვილპელკომს. იგი ფლობს ქართული მობიტელის (Mobitel) ნაწილს, რის საფასურადაც მან 2006 წელს გადაიხადა 12,6 მლნ დოლარი. დღემდე ვილპელკომს საქართველოში დაბანდებული აქვს 78 მლნ-მდე დოლარი და ემსახურება 60,0 აბონემენტამდე.

ქვეყნის საბანკო სფერო განსაკუთრებით მიმზიდველია უცხოური კაპიტალისათვის. ეს გასაგებიცაა: უცხოელი ინვესტორები ჯერ-ჯერობით ფრთხილობენ კაპიტალის დაბანდებას ისეთ სექტორში, რომლებიც საბოლოო ფინანსურ შედეგს შედარებით ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ იძლევიან. 2004 წელს კომერციულ ბანკებში დაბანდებულ უცხოურ კაპიტალს მთელს საბანკო კაპიტალში 30.4% ეკავა, ხოლო 2005 წელს - 47.4%.

2006 წელს ფრანგულმა ფინანსურმა ჯგუფმა Societe Generale-მ შეიძინა სიდიდით მესამე ქართული ბანკის, ბანკი რესპუბლიკა-ს აქციების საკონტროლო პაკეტი, ანუ ბანკის მთელი აქციების 60%. შედეგად ბანკის სააქციო კაპიტალი გაიზარდა 68 მლნ დოლარამდე, ხოლო მისმა აქტივების ღირებულებამ 416 მლნ დოლარს გადააჭარბა.

2007 წელს HSBC-მ შეიძინა ქართულ ბაზარზე საქმიანობის ლიცენზია. ამჟამად მისი აქტივების ღირებულება შეადგენს 32 მლნ დოლარს, ხოლო სააქციო კაპიტალი 11 მლნ დოლარს.

საქართველოს საფინანსო ბაზარზე შემოვიდა ასევე VTB, ერთ-ერთი უდიდესი ბანკი რუსეთსა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში (დსთ). მან შეიძინა გაერთიანებული ქართული ბანკის აქციების 51%. ამჟამად ამ ბანკს უკავია

მესამე ადგილი ქვეყანაში საბანკო აქტივების მაჩვენებლის მიხედვით, რომლის მოცულობაც შეადგენს 272 მლნ დოლარს, სხვა ორ უდიდეს ბანკს დსთ-დან, რივატბანკ-სა და აზაკჰ თ ბანკს შექმნილი აქვს საკონტროლო პაკეტი ქართულ ბანკებში – ტაოპრივატბანკსა და BTA bank საქართველოში. 2007 წელს ეროვნული ბანკიდან ლიცენზია აიღო და ქართულ საბანკო ბაზარზე შემოვიდა კიდევ ერთი ყაზახური ბანკი, ხალიკბანკი.

საკონტროლო პაკეტი არა აქვს, მაგრამ ქართულ ბაზარზე საქმიანობენ შემდეგი ევროპული ბანკები – კომერცბანკი (Comerrbank), KBW, ავსტრიის ბანკი (Bank Austria) და ა.შ. ყოველივე ამის შედეგად, საქართველოს ბანკების საწესდებო კაპიტალის 85%-ზე მეტი უკვე უცხოურ კაპიტალს წარმოადგენს.

საბანკო სექტორის გარდა, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები შემოსულია ასევე ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე. კერძოდ, Vienna Insurance Group-ს აქვს GPI ჰოლდინგის, ქვეყნის სიდიდით მეორე სადაზღვევო კომპანიის აქციების 50%, ხოლო 90% სადაზღვევო კომპანია ირაოში (თავისი სიდიდით მესამე სადაზღვევო კომპანიაში). ქვეყნის სადაზღვევო ბაზარზე საქმიანობს ასევე ევროპული სადაზღვევო კომპანია AIG Europe.

ყაზახურმა ნავთობისა და გაზის სახელმწიფო კომპანიამ შეიძინა გაზის გამანაწილებელი კომპანია – თბილგაზი. ეს უკანასკნელი დედაქალაქის მოსახლეობას ამარაგებს გაზით. ამ გარემოებაში ყაზახურმა კომპანიამ გადაიხადა 12,5 მლნ დოლარი და გეგმავს საქართველოში დააბანდოს 100 მლნ დოლარზე მეტი.

აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანიამ, – SOKAR-მა, რომელიც ფლობს ყულევის ტერმინალს შავ ზღვაზე, უკვე დააბანდა 380 მლნ დოლარზე მეტი ამ ტერმინალის რეკონსტრუქციაში. სოკარი გეგმავს ასევე 100 მლნ დოლარზე მეტის დაბანდობას ნავთობის საცავის მშენებლობაში და ასევე 15 გაზის გასამართი სადგურის მოწყობაში.

გერმანულმა კონცერმა ჰეიდელბერგცემენტმა შეიძინა ქართული ცემენტის აქციების 51%, რის შედეგადაც იგი გახდა პირველი გერმანული ცემენტის მწარმოებელი ქარხანა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად კავკასიის რეგიონში. ამავე კომპანიას აქვს ასევე აქციების 75% სხვა ქართული ცემენტის მწარმოებელი ქარხნისა – საქცემენტის. კომპანიას საქართველოში უკვე დაბანდებული აქვს 150 მლნ ევროზე მეტი და გეგმავს უახლოეს პერიოდში კიდევ დააბანდოს 40 მლნ ევრომდე.

ლუდის მწარმოებელ FES რეწერიეს International-ს აქვს ლუდსახარში ნატახტარის, ჩვენი ქვეყნის ამ ტიპის ყველაზე დიდი ქარხნის, აქციების 100%. შედეგად, EFES აკონტროლებს საქართველოს ლუდის ბაზრის 40%-ზე მეტს.

თურქეთის მინის მწარმოებელი კონცერნი 1997 წლიდან ფლობს საქართველოს JSC მინის აქციების 81%-ს. განვლილ 12 წელიწადში ამ თურქულმა კომპანიამ საქართველოში დააბანდა 40 მლნ დოლარზე მეტი. 2007 წელს აღნიშნულმა ქარხანამ აწარმოა 223 მლნ ბოთლზე მეტი, რის შედეგადაც ამჟამად ფლობს ადგილობრივი მინის ბოთლის ბაზრის 60%-ზე მეტს.

იტალიის საკონდიტრო კონცერმა ფერერომ დასავლეთ საქართველოში შეიძინა 1,235 ჰა მიწა, სადაც იგი თხილის მოშენებასა და წარმოებას აპირებს. კომპანიამ 2008 წელს ქვეყანაში დააბანდა 20 მლნ ევრო და ააშენა თხილის გადამამუშავებელი ქარხანა, რომელსაც შეუძლია წელიწადში 4000 ტ თხილის გადამამუშავება. ყოველივე ამის შედეგად საქართველო შეძლებს დაიკავოს თხილის მსოფლიო ბაზრის 10%, ნაცვლად ამჟამინდელი 5%-სა.

2006 წელს საქართველოს სამშენებლო ბაზარზე შემოვიდა rakiini (Rakeen) – არაბთა გაერთიანებული ემირატების დეველოპერული კომპანია. მან განაცხადა თავისი ამბიციური გეგმების შესახებ – აეშენებინა მაღალი კლასის სავაჭრო ობიექტები, ბიზნეს-ცენტრები და საოფისე შენობები. უკვე განხორციელებულ პროექტებში მას დაბანდებული აქვს 170 მლნ დოლარი. ეს არის იმ თანხის ნაწილი, რომლის დაბანდებაც ამ კომპანიას განზრახული აქვს საქართველოში უახლოეს ხუთ წელიწადში და რომელიც შეადგენს 1,5 - 2,0 მლნ დოლარს.

საქართველოში საქმიანობს ასევე GRDC, მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი მსხვილი დეველოპერული კომპანია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მსხვილი სამშენებლო კომპანიების განხორციელებას შეუდგა. კერძოდ, მან თბილისის სარკინიგზო სადგურის რეკონსტრუქციაში ჩადო 105 მლნ დოლარი. ეს კომპანია აშენებს ასევე საოფისე, სავაჭრო ფართებს და ა.შ.

დასაფიქრებელია, რომ მას შემდეგ, რაც საქართველოში დაიწყებს შემოსვლას ის თანხები, რომელიც საქართველოს ფინანსური მხარდაჭერის მიზნით უკვე გამოყვეს განვითარებულმა ქვეყნებმა (4,55 მლრდ დოლარი), უცხოური ინვესტორები კიდევ უფრო გაბედულად შემოვლენ ჩვენს ქვეყანაში და კიდევ უფრო გაიზრდება იმ სამეურნეო ობიექტების რაოდენობა, რომლებიც ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ბაზარზე იქმნება.

უცხოური ინვესტიციების სტიმულირების თვალსაზრისით, ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს უცხოელ ინვესტორთათვის გარკვეული

გარანტიების უზრუნველყოფა, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს უცხოელი ინვესტორების უფლებებისა და ინტერესების დაცვას. ეს გარანტიები, როგორც წესი, ასახულია რეციპიენტი ქვეყნის ნორმატიულ აქტებში. უცხოელი ინვესტორების სახელმწიფო გარანტიის სისტემის ცენტრალურ კომპონენტად შეიძლება ჩაითვალოს მათი დაცვა ქონების შესაძლო ექსპროპრიაციისა და ნაციონალიზაციისაგან. უცხოელ ინვესტორთაგან გარანტიების უზრუნველყოფის მნიშვნელოვან ფორმას წარმოადგენს მოგებისა და სხვა შემოსავლების საზღვარგარეთ შეუფერხებელი გადაგზავნა, თუმცა საგანგებო სიტუაციებში, როგორცაა საგადამხდელო ბალანსის ქრონიკული დეფიციტი, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შეუძლიათ დროებით შეზღუდონ უცხოელთა შემოსავლების გადაგზავნა დონორ ქვეყნებში. ამგვარი სიტუაცია რეგულირდება უცხოური ინვესტიციების დაცვისა და წახალისების შესახებ ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე.

ვფიქრობთ, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტიმულირების პროცესში, პრიორიტეტული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს არა რომელიმე მასტიმულირებელ ფორმას, არამედ ქვეყანაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ფორმირებას, რომელიც მრავალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ფაქტორზეა დამოკიდებული

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის აუცილებელია ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რამაც უნდა უზრუნველყოს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ქვეყნის შემოსავლის ზრდა, რისთვისაც საჭიროა ქვეყანამ ინვესტიციების სფეროში გონიერი და მოზომილი პოლიტიკა განახორციელოს. უცხოური ინვესტიციების გარეშე ქვეყანა ვერ მოახერხებს ეროვნული მეურნეობის დარგების სათანადო ტემპით განვითარებას.

თემა 10. ქვეყანაში მიმდინარე საინვესტიციო პროცესები, სტრუქტურა და დინამიკა

საინვესტიციო პროგრამების გააქტიურება საქართველოში 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან შეინიშნება. ეს ის პერიოდია, როდესაც მიღწეულ იქნა შედარებითი პოლიტიკურ-ეკონომიკური და ფინანსური სტაბილიზაცია და თავი იჩინა უცხოელი ინვესტორების ინტერესმა, განსაკუთრებით იმ პროექტების მიმართ, რომლებშიც გარანტირად სახელმწიფო გამოდიოდა. დაიწყო ისეთი საინვესტიციო პროგრამების განხორციელება, როგორცაა ბაქო-სუფსის ნავთობსადენისა და სუფსის ტერმინალის მშენებლობა. აღნიშნული პროცესების შედეგად 1998 წელს საქართველოში უცხოურმა ინვესტიციებმა საკმაოდ დიდ მაჩვენებელს მიაღწია (265 მლნ დოლარი).

2003 წლამდე საქართველოს ეკონომიკის განვითარება ხასიათდებოდა არათანაბრობით, ძალადობრიობით, კორუფციით, არასაიმედო ენერგორესურსებით. სურათი მნიშვნელოვანწილად შეიცვალა უკეთესობისკენ. 2004 წლიდან საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა ინსტიტუციური რეფორმები, რომლებიც მოიცავდნენ მსხვილი სახელმწიფო ობიექტების პრივატიზაციას, კორუფცია აღმოფხვრას, გადასახადების ოდენობისა და საპროცენტო განაკვეთების შემცირებით, საგადასახადო და ფისკალური ადმინისტრაციის გაუმჯობესებით, ლიცენზირების მოთხოვნების რაციონალიზაციით, რეგულირების შეწყვეტით, საბაჟო გადასახადების და დადგენილი სასაზღვრო ნორმების გამარტივებით, სხვა მრავალი ღონისძიებების ჩატარებას იმისთვის, რომ საქართველო იყოს მიმზიდველი ქვეყანა ნებისმიერი ბიზნესისთვის.

საინვესტიციო აქტივობამ საქართველოში ახალი ტემპებით იჩინა თავი 2003-2004 წლებში, როდესაც უცხოური ინვესტიციების რაოდენობამ 500 მილიონ დოლარს მიაღწია. თუმცა ამ შემთხვევაშიც ისევე, როგორც 1998 წელს, ძირითადი საინვესტიციო აქტივობა ასახავდა უცხოელი ინვესტორის მიერ ცალკეული დარგებით დაინტერესებას და არა სახელმწიფოს მთელ სამრეწველო სექტორში საინვესტიციო პროცესების დაწყებას. ამ წლებში შემოსული უცხოური ინვესტიციები ტრანსპორტის სექტორზე ნაწილდებოდა, რომელშიც ძირითადი წილი კვლავ ნავთობისა და გაზსადენის მშენებლობაზე მოდიოდა.

საქართველო იღებს დიდი ოდენობის დახმარებას აშშ, ევროკავშირის და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. აშშ დახმარება ემყარება სახელმწიფო ეკონომიკური და ფინანსური ინსტიტუტების მმართველობის და ადმინისტრაციის,

გადამწვევები ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, კონკურენტუნარიანი კერძო სექტორის გაზრდის მიზანს და მხარს უჭერს თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებას. 2006 წელს საქართველომ ჩაატარებული რეფორმის შედეგად, ერთ-ერთმა პირველმა დადო ხელშეკრულება U.S. Millennium Challenge Corporation–თან, რომლის მიხედვითაც ინვესტირების ღირებულებამ ინფრასტრუქტურასა და საშუალო და პატარა საწარმოებში, რომელიც დასაქმებული არიან ტურიზმითა და სოფლისმეურნეობით, შეადგენა 295 მლნ \$.

ინვესტიციური აქტივობის ახალი და მნიშვნელოვანი ეტაპი დაიწყო 2006 წლიდან, დაიწყო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი აეროპორტის მშენებლობა ტენდერში გამარჯვებული კომპანიის TAV URBAN-ის მიერ. ამ მშენებლობა-რეკონსტრუქციის პროექტში ჩაიდო 62 მლნ დოლარის ინვესტიცია.

ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკურმა ზრდამ ინტერესი გაუღვივა უცხოელ ინვესტორებს, გაფარდოვდა პეტენციურ ინვესტორთა წრე, შესაბამისად გაიზარდა შემოსული კაპიტალის მოცულობაც. აქტიურად გაგრძელდა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესი, რომლის შედეგად ბიუჯეტის მნიშვნელოვანი თანხებით შეესებას ჰქონდა ადგილი.

საქართველოში მიმდინარე პოზიტიური ძვრების საფუძველზე ინვესტირების 10 ძირითადი მიზეზი სახელდება:

1. პოლიტიკური და ლიბერალური ეკონომიკური რეფორმები;
2. მიმზიდველი მაკროეკონომიკური გარემო;
3. კონკრეტული სავაჭრო წესები;
4. ლიბერალური საგადასახადო კოდექსი;
5. სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია;
6. ბიზნესის ლიცენზირების მოდერნიზებული სისტემა;
7. რეფორმირებული ტექნიკური რეგულირების სისტემა;
8. სტრატეგიული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა;
9. კონკრეტული საბანკო სექტორი;
10. საქართველო – უძველესი კულტურისა და ტრადიციების მქონე ქვეყანა.

საქართველოს უზარმაზარი პოტენციალი გააჩნია ტურიზმისა და აგრობიზნესის სექტორის განვითარებაში, მხოლოდ საჭიროა მათი მაღალი ხარისხის პროდუქტებად გადაქცევა. ამ მხრივ დახმარებას პირდება კერძო სექტორს ფონდი “ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს” (MCG) ფარგლებში შექმნილი საქართველოს რეგიონული განვითარების ანუ საინვესტიციო ფონდი, რომლის მართვას საერთაშორისო ტენდერის გზით გამარჯვებული ამერიკული

საინვესტიციო SEAF განხორციელებს. ამ პროექტის ფარგლებში კაპიტალდაბანდება მოხდება მცირე და საშუალო საწარმოებში, უპირველესად რაიონებში, თანამონაწილეობის და/ან შეღავათიანი სესხის გზით (ინვესტიციის მაქსიმალური ოდენობაა 3 მლნ აშშ დოლარი), გათვალისწინებულია ასევე 15 მლნ დოლარი გაიცეს ტექნიკური დახმარებისა და გრანტების სახით ფერმერებისთვის და აგრობიზნესისთვის, რომლებიც ადგილობრივ ბაზარს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ამარაგებენ.

ინტერესს იჩენენ გერმანელი ინვესტორებიც – გერმანული კომპანია Kutter უახლოეს 1 წელში საქართველოში განხორციელებს 100 მლნ დოლარის ინვესტიციას – განაცხადა ამ კომპანიის წარმომადგენელმა ონურ ერსენმა. საინვესტიციო პროგრამის ფარგლებში მოხდება ბეტონისა და ცემენტის მწარმოებელი ქარხნების, ასევე ინფრასტრუქტურის ობიექტების და გზების მშენებლობა. აღნიშნული კომპანია გეგმავს მიიღოს მონაწილეობა სამცხე-ჯავახეთის გზების მშენებლობაში მონაწილეობის ტენდერში, ფონდის „ათასწლეულის გამოწვევა საქართველო“ (MCG) ფარგლებში.

ევროკავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველო ენერგოსექტორში ყველაზე მნიშველოვანი ინვესტიცია არის ჩეხური კომპანია Energo-Pro მიერ განხორციელებული 100 მლნ დოლარის ოდენობით, ელექტროქსელების მოდერნიზებაში. გარდა ამისა, გათვალისწინებულია 85 მლნ დოლარის ინვესტირება უკვე პრივატიზებული ჰესების რეაბილიტაციაში.

საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებულია ქუვეითის ხელისუფლებაც ისეთ პროექტებში, როგორცაა პიდროელექტროსადგურის მშენებლობა. GulfNews ინფორმაციით, შეთანხმება მოხდა რას ალ-ხაიმას საამაიროსთან, რომელიც ქონების სფეროში 817 მლნ დოლარის ინვესტირებას გეგმავს, რომელიც ასევე ითვალისწინებს ინვესტიციებს ტურიზმის სფეროში.

განსაკუთრებულ მხარდაჭერას მოითხოვს ჯერ კიდევ განვითარების პროცესში მყოფი სადაზღვევო ბაზარი, ამიტომ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ სფეროში ინვესტიციები. ამ მხრივ აღსანიშნავია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ ქართული სადაზღვევო კომპანია „იმედი L“-ის აქციათა 34% შეძენა. ეს პირველი ინვესტიციაა საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე, რომლის შედეგადაც გარადუვალია ამ სექტორის განვითარება.

რეფორმების შედეგად გაიზარდა სახელმწიფო საგადასახადო შემოსავლები, სახელმწიფო ინვესტიციების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი სექტორის დანახარჯები სიღარიბის დასაძლევად.

მიზანშეწონილმა ფისკალურმა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ ხელი შეუწყო შედარებით სტაბილურ მაკროეკონომიკურ განვითარებას და საშუალება მისცა სახელმწიფოს შემდგომი რეფორმების ანაზღაურებისთვის. 2005 წელს დანაზოგები გაიზარდა 9,3%, 2006 წელს – 8%, მსოფლიო სავალუტო ფონდის მონაცემებით კი 2007 წელს 6,5% მიაღწევს. მიუხედავად 2006 წელს რუსეთის ეკონომიკური სანქციებისა, საქართველო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საექსპორტო ბაზარია. საინტერესოა სტატისტიკური მონაცემები საქართველოში ექსპორტ-იმპორტის განვითარების შესახებ, რომლის მიხედვითაც მიუხედავად მანქანების ზრდისა, ჯეროვნად არაა გამოყენებული ქვეყნის შესაძლებლობები:

2010 წელს იგეგმებოდა 2,7 მლრდ აშშ დოლარის უცხოური ინვესტიციების განხორციელება, რომელიც მთლიანი შიდა პროდუქტის 21% იქნება და რაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის შემდგომ განვითარებაში. 2006 წელს განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1,12 მლრდ დოლარი, მშპ-ს 14,5% შეადგინა. ხოლო ინვესტორ ქვეყნებს შორის ლიდერობენ: აშშ, დიდი ბრიტანეთი და ყაზახეთი. ამ მხრივ, მნიშვნელოვან როლი დაეკისრა ქვეყანაში საინვესტიციო ფორუმების ჩატარებას და ამ გზით უცხოელი ინვესტორებისთვის საქართველოს რეკლამირებას.

რაც შეეხება ხელისუფლების მიერ აღებულ კურსს, რეიტინგული ინვესტორების მოზიდვის მიმართულებით, მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- მაღალი კლასის სასტუმროების მშენებლობა და მართვა;
- პრივატიზაციის გზით სახელმწიფოს ხელში არსებული არაეფექტურად მართვადი ქონების უცხოელებზე გაყიდვა;
- ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- საერთოდ მშენებლობის განვითარების ხელშეწყობა და ინიცირება;
- საბანკო სექტორში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;
- ისეთი საერთაშორისო პროექტების განვითარების ხელშეწყობა, როგორცაა ბაქო-ჯეიჰანი, შაჰდენიზის გაზსადენი, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზა, ტრანსკავკასიური მაღალგადამცემში ხაზები რუსეთიდან თურქეთისკენ და ა.შ.

აღსანიშნავია ლარის კურსის შემცირება 1,8-დან 1,7-მდე 2010 წელს, ჩამოყალიბებული დოლარის გლობალური შემცირების ზეგავლენით, რამაც განაპირობა უცხოური ინვესტიციების შემოდინება და ცენტრალური ბანკის მიერ ინფლაციის წერტილის გაზრდა.

მიუხედავად ეკონომიკაში ზემოთხსენებული გაუჯობებისა, მოსახლეობის 50%-ზე მეტი ცხოვრობს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ. უწყვეტი განვითარების

ძირითადი წყარო, რომელიც ამცირებს სიღარიბესა და უმუშევრობას, არის კერძო ინვესტიციები – უცხოური და ადგილობრივი. მაგრამ აქვე არ უნდა დაგვაგიწყდეს, რომ როდესაც საუბარია ორმაგ სარგებელზე, რომელსაც ინვესტიციების განხორციელებით ღებულობს, როგორც ინვესტორი, ასევე ქვეყანა, სადაც ეს ინვესტიციები იქნა ჩადებული, უნდა გვახსოვდეს, რომ სარგებელი, რომელსაც იღებს ინვესტორი გაცილებით დიდია, ვიდრე სარგებელი რომელსაც ღებულობს განვითარებადი ქვეყანა. საჭიროა განვითარებადი სამყაროს მრავალფეროვანი სპექტრის საფუძველზე შემუშავდეს ის საინვესტიციო სტრატეგია, რომელიც მოიზიდავს საჭირო ინვესტიციებს საჭირო პირობებით კონკურენტულ გარემოში.

საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული 2007 წლის საინვესტიციო გეგმა მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

1. ელექტროკავშირის (ყაზახების მიერ შექმნილი) რეგიონებში საჰაერო ხაზების გაყვანისა და თბილისში ტექნიკური გადაიარაღებისათვის 80 მილიონი დოლარი

2. მთაწმინდის პარკის რეკონსტრუქციისათვის პატარაკაციშვილის პროექტით პირველ ეტაპზე 60 მილიონიანი ინვესტიციაა გათვალისწინებული

3. „ჭიათურ-ზესტაფონის მანგანუმის“ რეკონსტრუქციისათვის 100 მილიონი ინვესტიციაა გათვალისწინებული

4. ტრანსკავკასიური ელექტროგადამცემი ხაზისათვის, რუსეთი-საქართველო-თურქეთის, ახალციხეში 120 მილიონიანი ინვესტიცია, რითაც ერთიანი ენერჯო ბლოკი იქმნება. პროექტი 2 წლიანია და ჯამში მილიარდი დოლარი დაჯდება

5. 2007 წელს ყაზახი ინვესტორები 200 მილიონს დებენ სასტუმრო კომპლექსებსა და მთლიანად ინფრასტრუქტურაში

6. ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის რეკონსტრუქციისათვის 200 მილიონი

7. „პატარა იურმალის“ მშენებლობისათვის ბიძინა ივანიშვილის მიერ ურეკში, 100 მილიონიანი ინვესტიციაა გათვალისწინებული, ნავსადგომები, საკონცერტო დარბაზებიცა და სასტუმროებით

8. კუვეიტის პროექტით გორამდე ავტობანის მშენებლობისათვის 60 მილიონი

9. ყაზგაზის ჯგუფი გაზის სექტორის გადაიარაღებისა და ლიკანის რეკონსტრუქციისათვის 70 მილიონს ითვალისწინებს

10. ყაზახური ჯგუფი „ალიანსის“- მშენებლობაში: პურის მოედანი, იპოდრომი, ქობულეთში, ბათუმში ინტურისტის გვერდით ახალი სასტუმროს აშენება 60 მილიონიანი პროექტები

11. საბანკო ინვესტიციები: ბანკ „რესპუბლიკას“- იპოთეკური კრედიტი 30 მილიონიანი ხაზი; „ბტა ბანკი“- კრედიტი 50 მილიონი და 10 მილიონი საწესდებო და არაპირდაპირი გზით, ქართულ ფირმებზე 20 მილიონი; თი-ბი-სი-ს ახალი ხაზი 30 მილიონი, „ტაო“ ბანკში აგრიკოლეს კრედიტი 20 მილიონი

12. ქალაქის სამსენებლო ბიზნესში 50-70 მილიონი, შინდისის, ტაბახმელას პროექტის ჩათვლით

13. მილენიუმის პროგრამით 150 მილიონი გაზსადენის რეკონსტრუქციისა და სამცხე-ჯავახეთში გზების მშენებლობისათვის

14. ბაქო-ჯეიჰანის შემოსავალი 50 მილიონი

15. წვრილი ინვესტიციები 50 მილიონი

ჯამში ინვესტირება იქნება 1 მილიარდ 300 მილიონი; მოქალაქეების ტრანსფერი უცხოეთიდან 600 მილიონი; ექსპორტი 1 მლრდ სულ სავალუტო შემოსავლების საგადასახდლო ბალანსში 3 მილიარდ დოლარამდე.

თემა 11. უცხოური ფულადი ინვესტიციების მნიშვნელობა

ცნობილია, რომ ინვესტირება არის ერთ-ერთი იმ სამ კომპონენტთან (ინვესტიცია, მოხმარება და დაგროვება), რომელიც თამაშობს ერთ-ერთ უმთავრეს როლს ქვეყნის ეკონომიკის წარმოებაში. რაც უფრო მეტ ინვესტიციებს ახორციელებს ქვეყანა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ძირითადი კაპიტალის აკუმულირებისათვის, ”მით უფრო მაღალია დონე წარმოების, დასაქმების, შემოსავლების, მსყიდველობითუნარიანობის, მოხმარების და დაგროვების“ (L, 2003:2). შესაბამისად, კაპიტალი (ინვესტიცია) წარმოადგენს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის არსებით და მამოძრავებელ ძალას.

უცხოური ფულადი ინვესტიციების მიერ გადახდილი გადასახადებიდან მიღებული ახალი შემოსულობები ზრდის საშემოსავლო კალათას და ეს იძლევა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და არსებული ადამიანის კაპიტალის გაძლიერების შესაძლებლობას. ამრიგად, უცხოური კაპიტალის შემოდინების მნიშვნელობა და განსაკუთრებით გრძელვადიანი და სტაბილური პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა, იძენს განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ასეთი ქვეყნებისთვის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თავისთავად მხოლოდ კაპიტალის შემოდინება როგორც ასეთი, როდი უზრუნველყოფს ყოვლისშემძველ პანაცეურ გადაწყვეტას წარმატებული განვითარებისთვის. ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გარდა, წარმატებული განვითარების პარადიგმა მოითხოვს უახლეს ტექნოლოგიებსა და მოწინავე მენეჯერულ გამოცდილებას, რასაც შეუძლია განაპირობოს მიმღები ქვეყნების წარმოების დონის, მათი შრომის ნაყოფიერებას ზრდა განვრცობითი ეფექტებისა და პოზიტიური გარე ფაქტორების (ექსტერნალიები) საშუალებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეს კომპონენტი – ე.წ. ექსტრა-ფინანსური სარგებელი - შესაძლოა, ყველაზე უფრო ფასეულია გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისთვის.

უცხოური ფულადი ინვესტიციები წარმოადგენს ე.წ. ტექნოლოგიურ დიფუზიას, რაც გულისხმობს იდეების და მოწინავე ტექნოლოგიების, პროდუქტიულობის ზრდის მასტიმულირებელი განვრცობითი ეფექტების ტრანსმისიას, ნოუ-ჰაუების გაზიარებასა და დანერგვას, ცოდნაზე დაფუძნებული კაპიტალისა და გამოცდილების შექმნას, რაც წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორებს ეკონომიკური განვითარებისათვის. უპი-სთვის და მახასიათებელი პოზიტიური სპილოვერებისა და გარე ეფექტებისა გამოისობით, ამგვარი ტექნოლოგიური დიფუზიიდან გამომდინარე სარგებლის ბენეფიციარი ხდება არა მარტო ამ ტიპის ინვესტიციის მიმღები კონკრეტული ფირმა, არამედ მთლიანობაში მოცემული ქვეყნის მთელი ეკონომიკა.

უცხოური ფულადი ინვესტიციები წარმოადგენს პროდუქტიულობის გაუმჯობესების მძლავრ ინსტრუმენტს ერთის მხრივ, განვითარებული ტექნოლოგიების ტრანსფერის გზით, და, მეორეს მხრივ, დადებითი გარე ეფექტების უცხოური ინვესტიციებით გამოწვეული ზრდის ანალიზი ხდება სტანდარტული ნეოკლასიკური ზრდის მოდელის ჩარჩოში, ეს უკანასკნელი განიხილავს მას, როგორც მიმღები ქვეყნის ეკონომიკის ძირითად კაპიტალზე დანამატს. უპი განიხილება თანაბრად ადგილობრივ ინვესტიციებთან ერთად და შესაბამისად ისინი არ მოიაზრება რამდენადმე განსხვავებული ეფექტის მატარებლად.

უცხოურ ფულადი ინვესტიციებს აქვს პერმანენტული ხასიათის ზემოქმედება ზრდაზე. კამპოსის (Campos, 2002) აზრით, მოსახერხებელია თუკი ვიფიქრებთ განსხვავებულ ეფექტებზე იმის გააზრებით თუ როგორ ზემოქმედებს უპი წარმოების ფუნქციის თითოეულ ცვლადზე. ამ მიდგომაზე დაყრდნობით, უცხოური ფულადი ინვესტიციები, პირველ რიგში, ზემოქმედებენ პროდუქციის გამომწევაზე ძირითადი კაპიტალის გაფართოების მეშვეობით. ამ კონტექსტში,

უცხოური და ადგილობრივი კაპიტალი შეიძლება განვიხილოთ, როგორც დანამატი ან შემცველი. თუკი ამ ინვესტიციებს განვიხილავთ, როგორც დანამატს, მაშინ უპი-ს საბოლოო ზეგავლენა პროდუქციის გამომუშავებაზე მოსალოდნელია იყოს უფრო დიდი მისი თანმდევი ეგზოგენური ფაქტორების (ექსტერნალების) გათვალისწინებით.

თემა 12. ინვესტირებისათვის საჭირო სამართლებრივი გარემოს ზოგადი დახასიათება

კანონშემოქმედება რეგლამენტირებულია საკონსტიტუციო უფლებებით, სახელმწიფო მართვა ადმინისტრაციული სამართლით. ცალკეულ პირთა სამოქალაქო-სამართლებრივი პრეტენზიებისა და დასჯადი ქმედებების სამართალწარმოება ხორციელდება საკონსტიტუციო სამართლის საფუძველზე, რომელიც ყოველ სამართალს აძლევს დამოუკიდებლობასა და გადაწყვეტილების მიღების თავისუფლების გარანტიას. ცალკეულ სახელმწიფოთა ეროვნული კანონები უშუალოდ მოქმედებენ საინვესტიციო პროცესების წარმართვაზე. საინვესტიციო საქმიანობაში გასათვალისწინებელია სამართლებრივი ზემოქმედების შემდეგი სფეროები: კომერციული, ხელშეკრულებითი სამართალი, ზოგადსამართლებრივი გარემო (კანონი გარემოს დაცვის შესახებ, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და უსაფრთხოების ტექნიკის წესები), ახალი ინვესტირების პროცესი, შრომითი კანონმდებლობა, ანტიტრესტული კანონმდებლობა, კანონები კარტელის შესახებ, ფასწარმოქმნა და დაბეგვრა.

ზემოთ აღნიშნულ სფეროებში სხვადასხვა სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობა განსხვავებულია. ამიტომ, ინვესტირების პროცესში ფართოდ იყენებენ საერთაშორისო სამართალს, რომელიც არ-ეგულირებს სუვერენულ სახელმწიფოთა შორის დამყარებულ საინვესტიციო ურთიერთობას საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და კა-პიტალის მოძრაობის საკითხებში. საერთაშორისო სამართლის გამოყენების დონეზე უშუალოდ ზემოქმედებს ეროვნული კანონმდებლობანი, საერთაშორისო ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები

საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის უნიფიკაციასა და ჰარმონიზაციაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს საერთაშორისო სავაჭრო პალატა, გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისია და ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია. საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული საერთაშორისო კოდექსები ხელს უწყობენ საერთაშორისო ინვესტორებში ერთიანი წესების, აგრეთვე საქმიანი ურთიერთობების გარკვეული სტანდარტებისა და ნორმების დამკვიდრებას. კეთილსინდისიერი კომერციული პრაქტიკის განმსაზღვრელი საერთაშორისო კოდექსების შინაარსი დისპოზიტიური ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, ეროვნული, სპეციალიზირებული ორგანიზაციების მიერ მათი აღიარების შემთხვევაში ხდება ამ კოდექსების პრაქტიკული გამოყენება.

საინვესტიციო გარემოზე საერთაშორისო კოდექსების გავლენით იზრდება ინვესტორთა პასუხისმგებლობა მომხმარებელთა და მთლიანად საზოგადოების წინაშე. გამოირიცხება კონკურენციის არაკეთილსინდისიერი მეთოდები, კანონიერ ფარგლებში რეგულირდება სამეწარმეო საქმიანობა. გარდა ამისა, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო კოდექსები საქმიანი აქტივობის თვითრეგულირების მნიშვნელოვანი ელემენტია, ვინაიდან ამ დოკუმენტებით დადგენილი წესები შემუშავებულია თვით მეწარმეთა მიერ და სამეწარმეო საქმიანობის ინტერესებს ემსახურება.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული დოკუმენტებიდან განსაკუთრებით ფასდაუდებელია „სავაჭრო ტერმინების განმარტებათა საერთაშორისო წესები“, რომელიც გამოიყენება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების გაფორმებისას. საერთაშორისო სამართლის უნიფიკაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გაერო-ს საერთაშორისო ვაჭრობის სამართლის კომისიას. მის მიერ შემუშავებული დოკუმენტებიდან აღსანიშნავია კონვენცია საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვაში სასარჩელო ხანდაზმულობის შესახებ, საარბიტრაჟო რეგლამენტი, კონვენცია ტვირთების საზღვაო გადაზიდვების შესახებ და ა. შ.

გარდა საერთაშორისო სამართლისა რომელიც არეგულირებს ინვესტორთა უფლებებსა და მოვალეობებს არსებობს რასაკვირველია, ასევე სახელმწიფო სამართალი რომელიც არეგულირებს ქვეყანაში ინვესტორთა მოქმედების ნორმებს. ინვესტიციებთან დაკავშირებით საქართველოში სხვადასხვა წლებში მიღებულ იქნა შემდეგი კანონები: ”1996 წელს – საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გრანტების შესახებ”, ”2002 წელს – კანონი ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ”, ”2002 წელს – კანონი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს

შესახებ”, ”2001 წელს – კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეკრულებებისა გრანტების შესახებ”. მაგრამ აქვევე იბადება კითხვა: რამდენად შესრულებადია ეს კანონმდებლობა? სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს რომ ეს კანონმდებლობა უფრო ფარსი არის ვიდრე, ქვეყნის ინტერესებზე დამყარებული. ამის მრავალი მიზეზი არსებობს რომელთაგან აღვნიშვნის ღირსია: სახელმწიფო ჩინოვნიკების პირადი ინტერესები, ისინი ამ ინტერესებს სწორავენ ქვეყნის მომავალსა და პოტენციალს, რომელიც ჩვენს ქვეყანას უთუოდ გააჩნია. უნდა აღინიშნოს რომ დღესაც, ჩვენთან მოუგვარებელ პრობლემას წარმოადგენს, ინვესტორთან ურთიერთობა რომელიც დამყარებული იქნება ქვეყნის ინტერესებზე.

მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ბრაზილია: მან განსაზღვრა თავისი ქვეყნის პრიორიტეტები, ანუ რომელ დარგშიც შეძლებდა ის დამოუკიდებლად განვითარებას (უცხოური კაპიტალისაგან დამოუკიდებლად) ასეთ დარგებში უცხოური კაპიტალის შედინება დაბლოკა, ხოლო ინვესტორებს შესთავაზა ის დარგები, რომელსაც მოცემულ მომენტში სახელმწიფო მოცემულ ვერა აღორძინებდა. სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულმა ასეთმა სვლამ, ქვეყანას შეუნარჩუნა ეროვნული წარმოება და თვითმყოფადობა.

ასევე, ჩვენც იმისათვის რომ შევინარჩუნოთ ეროვნული წარმოება და სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგები, საჭიროა ვარეგულიროთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების ძირითად ფორმას საერთაშორისო დონეზე საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებები წარმოადგენს. მათში შეთანხმებული და მიმაგ-რებულია შესაბამის ქვეყნებს შორის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების ღონისძიებები. ასეთ შეთანხმებებს შეიძლება ჰქონდეს როგორც ორმხრივი, ისე მრავალმხრივი ხასიათი. ამასთან, ისინი შეიძლება იყოს რეგიონული და რეგიონთაშორისი. საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმების წევრებად გამოდიან ეროვნული მთავრობები, ზოგჯერ – სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური ორგანიზაციები. მაგალითად: მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია.

განსაკუთრებით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ორმხრივ საინვესტიციო შეთანხმებებს. პირველი ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმება გასული საუკუნის 50-იან წლებში დაიდო, მაგრამ იქიდან მოყოლებული ამგვარი შეთანხმებების შინაარსი პრინციპულად დღემდე არ შეცვლილა. ორმხრივი საერთაშორისო შეთანხმების ძირითადი ელემენტებია: მხარეთა დეკლარაცია

საინვესტიციო სფეროში მათი ურთიერთდამოკიდებულების პრინციპებთან დაკავშირებით; პირდაპირი უცხოური ინვესტიციის საერთო განმარტება; ორმხრივი თანამშრომლობის ფორმები; შეთანხმების განხორციელების ეტაპები; ინვესტიციების დაცვის მექანიზმი. შეთანხმებებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინვესტიციების დაცვის მექანიზმებს, რომელთაც მიეკუთვნება სახსრების გადატანის პირობები, გარანტიები არაკომერციული რისკების წინააღმდეგ, შესაძლო უთანხმოებათა გადაჭრის წესი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციის დაშვების პირობები ეკონომიკაში ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობით განისაზღვრება. უფრო მეტიც, დებულებები, რომლებიც უცხოელი ინვესტორების იურიდიულ დაცვასა და გარანტიებს უზრუნველყოფს, მხოლოდ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებულ ან მიმდები ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ ნებადართულ ინვესტიციებზე ვრცელდება. ორმხრივ შეთანხმებაში იშვიათად ზუსტდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მასტიმულირებელი ღონისძიებები ან სახელმწიფოს ჩარევის პირობები. მიუხედავად იმისა, რომ ორმხრივი შეთანხმება პირდაპირ სტიმულირებაზე არის მიმართული, მათში ხანდახან საპორტფელო ინვესტიციებსაც ეხებიან.

ორმხრივი შეთანხმების დადების პროცესმა ბოლო ათწლეულში მკვეთრი ინტენსიფიკაცია განიცადა. 2000 წლის ბოლოს ამგვარი შეთანხმებების რიცხვმა 2000-ს მიაღწია, ამასთან, მათი ორი მესამედი XX საუკუნის 90-იან წლებში დაიდო. თავდაპირველად ორმხრივი შეთანხმება უპირატესად განვითარებად ქვეყნებს შორის ფორმდებოდა. თუმცა ამ ქვეყნებში საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებასთან ერთად და კაპიტალის მოძრაობის გზაზე ბარიერების მოშლის კვალობაზე ამ-გვარი შეთანხმებების დადების აქტუალობა შემცირდა. ამავე დროს, მკვეთრად გაძლიერდა ორმხრივი შეთანხმების დადების პროცესი, რომელშიც მონაწილეობის მიღება დაიწყო განვითარებადმა ქვეყნებმაც. ერთი მხრივ, ისინი ამგვარ შეთანხმებებს ერთმანეთთან დებენ, მეორე მხრივ – განვითარებულ ქვეყნებთან. ამ უკანასკნელთათვის მნიშვნელოვანია განსაზღვრული გარანტიები, რადგანაც საინვესტიციო კლიმატი სწორედ განვითარებად ქვეყნებშია ნაკლებად კეთილსასურველი. ამავე დროს, თვით განვითარებადმა ქვეყნებმა დაიწყეს პოლიტიკის შერბილება პუი-სთან მიმართებაში. ზოგიერთი ეს ქვეყანა კაპიტალის ექსპორტიორად გადაიქცა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სფეროში ორმხრივი შეთანხმების მეორე ტიპია შეთანხმება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ. ამგვარი

შეთანხმებების რიცხვმა 2001 წელს 1900-ს გადააჭარბა. ისევე, როგორც ბიტსის შემთხვევაში, ასეთი შეთანხმებების ძირითად მონაწილეებად განვითარებადი ქვეყნები გვევლინება. ამის მიზეზები ანალოგიურია. პირდაპირი უცხოური ინვესტიციის მასტიმულირებელი ყოველისმომცველი შეთანხმებების დადების მცდელობებს, რაც მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობას მოიცავდა, წარმატება ჯერ კიდევ არ მოუტანია. ამგვარ მცდელობებს ადგილი ჰქონდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ჩარჩოებში 1995 წელს, სადაც გათვალისწინებული იყო მრავალმხრივი შეთანხმების დადება ინვესტიციებთან დაკავშირებით, მაგრამ ამ შეთანხმების პროექტი დაიწუნეს. ერთ-ერთი ყველაზე არსებითი მიზეზი უცხოური ფირმების საქმიანობისათვის დამახასიათებელი განსახლებული მოთხოვნების გამოყენებაზე უარის თქმა აღმოჩნდა.

ეროვნული მთავრობები ამუშავებენ თავიანთ ეკონომიკაში უცხოელი ინვესტორების დაშვების პირობებს, რომელთა დაყოფაც შეიძლება შემდეგი ძირითადი კატეგორიების მიხედვით: მოთხოვნა უცხოური კომპანიების ეროვნულ ბაზარზე გაყიდვების მთლიან მოცულობაში ექსპორტის მაქსიმალურ წილთან დაკავშირებით; ფირმის ვალდებულება ადგილობრივი სამუშაო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით; ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში შექმნილი საწარმოების კაპიტალში უცხოური კომპანიების მონაწილეობის მაქსიმალური და მინიმალური წილის დადგენა; მოთხოვნები ტექნოლოგიების გადაცემაზე; ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების განხორციელების ვალდებულება. ასეთი მოთხოვნების შემოღება მნიშვნელოვნად ზღუდავს ეროვნული მთავრობების უფლება-მოსილებას პირდაპირი უცხოური ინვესტიციის რეგულირებასთან დაკავშირებით საკუთარ ქვეყანაში, რაც ყველა ქვეყნისთვის როდია ხელსაყრელი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასტიმულირებელი ყოველისმომცველი შეთანხმებები იდება ან მუშავდება, ძირითადად, რეგიონულ დონეზე. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ შემდეგი: ჩარჩო ხელშეკრულებები საინვესტიციო ზონის შესახებ, ხელშეკრულების პროექტი ცენტრალური აზიის ქვეყნების ჯგუფის ორმხრივი ინვესტიციების სტიმულირებისა და დაცვის შესახებ, სამხრეთაფრიკული განვითარების გაერთიანების ოქმი ფინანსებისა და ინვესტიციების შესახებ და ზოგი-ერთი სხვა. ამგვარი შეთანხმებების ჩარჩოებში დეკლარირებულია საინვესტიციო პოლიტიკის საერთო მიზნები, აგრეთვე, გათვალისწინებულია ზოგიერთი დონისძიება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეჟიმების შეთანხმების შესახებ.

მაგალითად შეიძლება გამოდგეს: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების წესების უნიფიკაცია; პრივატიზაციის პროცესის დაჩქარება და ერთობლივი კერძო-სახელმწიფო ფირმების შექმნის სტიმულირება; ფართო თავისუფლების მინიჭება კაპიტალის, ტექნოლოგიების, კვალიფიციური სამუშაო ძალისა და სპეციალისტების მოძრაობისათვის; ეროვნული და უცხოური ინვესტორების საქმიანობისათვის თანაბარი სამართლებრივი პირობების უზრუნველყოფა; ღონისძიებების შემუშავება უცხოელი ინვესტორებისათვის ზარალის ასანაზღაურებლად და სხვა.

სახელმწიფოთაშორის დონეზე ინვესტიციების ნაკადის სტიმულირებისათვის წევრ ქვეყნებს შორის, განსაკუთრებით, განვითარებად ქვეყნებში, არსებით როლს ინვესტიციების დაზღვევის მრავალმხრივი სააგენტო ასრულებს, რომელიც მსოფლიო ბანკის ჯგუფის ერთ-ერთ წევრად გვევლინება. ამ სააგენტოს დაფუძნების კონვენცია ძალაში 1988 წელს შევიდა. სააგენტოს ძირითადი ფუნქციაა ინვესტიციების დაზღვევა არაკომერციული რისკებისაგან, რომლებიც ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში ხორციელდება. სააგენტო დაზღვევას გასცემს დამოუკიდებლად ან სხვა ორგანიზაციებთან ერთად. უცხოურ ინვესტიციებზე პირველი გარანტიის გაცემასთან ერთად ინვესტიციების დაზღვევის მრავალმხრივი სააგენტო არაკომერციული რისკების გადაზღვევასაც ახორციელებს. სააგენტო განსაკუთრებით მიისწრაფვის, გასცეს გარანტია კაპიტალდაბანდებებზე, რასაც საჭირო დაცულობით ვერ უზრუნველყოფენ კერძო სადაზღვევო ან გადამზღვევი ფირმები.

არაკომერციულ რისკებს, რომელთა მიხედვითაც ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია გარანტიებს გასცემს, მიეკუთვნება: შეზღუდვები ვალუტის გადარიცხვაზე; ექსპროპრიაცია და ანალოგიური ღონისძიებები, რომელთა გატარების შედეგადაც გარანტიის მფლობელი საკუთარ კაპიტალდაბანდებებზე საკუთრების უფლებას, მასზე კონტროლს ან მისგან მნიშვნელოვან შემოსავალს კარგავს; ხელშეკრულებათა დარღვევა; ომი ან სამოქალაქო აშლილობები.

გაცნობიერებული ქმედებების მიღმა, რაც უცხოელ ინვესტორებს ზარალს აყენებს, ინვესტიციების მიმღებ ქვეყანაში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის გარანტიები ეროვნული მთავრობების უმოქმედობის შემთხვევებზეც ვრცელდება, როდესაც მათი ჩარევა აუცილებელი იყო. ამავე დროს, გათვალისწინებულია სხვადასხვა სახის დათქმა, რაც უცხოელი ინვესტორების საქმიანობაში უარყოფითი შედეგების განხილვის შესაძლებლობას

იძლევა, ეს კი საერთოეკონომიკური მდგომარეობითაა განპირობებული. მაგალითად, უცხოელმა ინვესტორმა უნდა დაამტკიცოს, რომ მან დანაკარგები განიცადა მთავრობის დისკრიმინაციული პოლიტიკის შედეგად და არა ეკონომიკის რეგულირების საერთოეკონომიკური ზომების გატარების გამო.

გარანტიები აღმოცენებად რისკებზე გაიცემა მხოლოდ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ქვეყნებში. გარანტიის ობიექტია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მათ შორის ისეთი ინვესტიციებიც, რომლებიც მიმღები ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული კომპანიის აქციების შესყიდვით ხორციელდება. სგენტომ, აგრეთვე, ხელი უნდა შეუწყოს ბარიერების აღმოფხვრას კაპიტალის მოძრაობის გზაზე, მათ შორის, ერთმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების ხელმოწერას პირდაპირი უცხოური ინვესტიციის სტიმულირებასთან და ინვესტორებსა და მიმღებ ქვეყნებს შორის აღმოცენებული დავების დარეგულირებასთან დაკავშირებით.

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ბევრმა განვითარებადმა ქვეყანამ, განვითარებული ქვეყნების კვალდაკვალ, დაიწყო უცხოური ინვესტიციების რეგულირების რეჟიმების ლიბერალიზაცია საკუთარ ქვეყანაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით მსოფლიო ბაზრებზე გამაფრებული კონკურენციული ბრძოლის პირობებში. ამავე დროს, მიმღები ქვეყნები იძულებული არიან, ანგარიში გაუწიონ უცხოელი ინვესტორების საქმიანობის უარყოფით შედეგებს, რომლებიც დაკავშირებულია ე.წ. მსხვილი კორპორაციების შემზღვეველ პრაქტიკასთან, რასაც „გამოძევების ეფექტს“ უწოდებენ. აღნიშნულ ეფექტს ორი ძირითადი ფორმა აქვს: პირველი დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ მსხვილი უცხოური კორპორაციები კონკურენტული უპირატესობით სარგებლობენ და შეუძლიათ ბაზრიდან გამოაძევეონ ეროვნული კომპანია; მეორე ფორმა ასეთი კორპორაციების მიერ ეროვნულ ბაზრებზე რესურსების, მათ შორის, ფინანსურის, მნიშვნელოვანი ნაწილის გადაქაჩვაში მდგომარეობს. მიუხედავად იმისა, რომ მსხვილი უცხოური კორპორაციები საკუთარ სახსრებსაც იყენებენ პუი-ის განსახორციელებლად, სესხების გაცემის დროს ეროვნული ბანკები მათ უპირატესობას ანიჭებენ, ეროვნულ კომპანიებთან შედარებით, მათი მაღალი გადახდისუნარიანობის გამო.

თემა 13. საინვესტიციო გარემოზე მოქმედი პოლიტიკური და მეცნიერულ-ტექნიკური გარემოს გავლენა

საინვესტიციო პროცესებზე მნიშვნელოვნად მოქმედებენ პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები, რომელიც ნებისმიერი საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. პოლიტიკური სისტემა ემსახურება საზოგადოების ინტეგრაციას, ხოლო ეკონომიკური სისტემა – შეზღუდული რაოდენობის რესურსების განაწილებასა და მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური სისტემები განსხვავდებიან ქვეყანათა მიხედვით. ამასთან თანამედროვე პირობებში ეს სისტემები იმდენად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ საკმაოდ რთულია ან საერთოდ შეუძლებელია მათი განცალკევება. მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ინვესტიციებში მიზანშეწონილია ყოველი მათგანის როლის ცალკე-ცალკე გამოკვლევა.

§ II. 4. ა) იდეოლოგია. დემოკრატიული სისტემა.

პოლიტიკურ სისტემას განსაზღვრავს იდეოლოგია. იდეოლოგია შეხედულებებისა და იდეების, თეორიებისა და მიზნების ერთობლიობაა, რომელიც აღიქმება და ფასდება ადამიანთა მიერ, განსაზღვრავს ქვეყნის მართვის ფორმასა და საბოლოოდ აყალიბებს სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკურ პროგრამას. თანამედროვე მსოფლიო ხასიათდება პოლიტიკურ იდეოლოგიათა მრავალფეროვნებით, რომელთა შორის ჩვეულებრივ გამოყოფენ ორ ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგიასა და შესაბამისად პოლიტიკურ სისტემას: დემოკრატიულსა და ტოტალიტარულს. დემოკრატიულ სისტემაში უმაღლეს ხელისუფლებას ირჩევს ხალხი. შესაბამისად, რიგითი მოქალაქეები მონაწილეობენ სახელმწიფო გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში.

წარმომადგენლობითი დემოკრატია. რეალურ პირობებში ასეთი მონაწილეობა ფაქტობრივად შეუძლებელია. ამიტომ დემოკრატიის მიმდევარი ქვეყნების უმრავლესობა იყენებს წარმომადგენლობითი დემოკრატიის სხვადასხვა ფორმას. წარმომადგენლობითი დემოკრატია გულისხმობს უმრავლესობის მართვის პრინციპის განხორციელებას, პერიოდული არჩევნების ჩატარების გზით. დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა აღიარებს პლურალიზმს – სახელმწიფოს მართვის მრავალპარტიულ სისტემას. მისთვის დამახასიათებელია სიტყვის, პრესის, რწმენის, აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციაში გაწევრიანების თავისუფლება, თავისუფალი არჩევნები და არჩეულ თანამდებობაზე ყოფნის შეზღუდული ვადა.

დემოკრატიული პოლიტიკური სისტემისაგან განსხვავებით ტოტალიტარიზმი ეყრდნობა სახელმწიფო დირექტივებს. ამ სისტემაში ყველა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სახელმწიფო. მისი მაგალითია ყოფილი სსრკ, რომლის იდეოლოგია იყო კომუნიზმი. დასავლეთში აღიარებულია ტოტალიტარიზმის სხვა ფორმებიც: თეოკრატიული ტოტალიტარიზმი – ირანსა და ახლო აღმოსავლეთის ემირატებში, საერო ტოტალიტარიზმი –ერაყში, ეგვიპტესა და ტაივანში.

უთუოა ის ფაქტი რომ, იმ სახელმწიფოებში სადაც დამყარებულია წარმომადგენლობითი დემოკრატია შესაბამისად, ასეთი ქვეყნების ბიზნეს გარემო უფრო მიმზიდველია ინვესტორებისათვის რადგანაც მათ მიერ დაბანდებული კაპიტალი მაქსიმალურად დაცულია და ხელშეუხებელია, რადგანაც ამას უზრუნველყოფს როგორც სახელმწიფო თავისი მართველობის პრინციპებიდან გამომდინარე, ასევე საერთაშორისო სამართალი რომელიც დამყარებულია დემოკრატიულობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. გარდა ამისა საინვესტიციო გარემო ასეთი სახის ქვეყნებში იმიტომაც არის მიმზიდველი, რომ ინვესტორის მიერ დაბანდებული კაპიტალი არ არის დამოკიდებული რომელი კონკრეტულ ადამიანებზე, როგორც ეს ტოტალიტარული მოწყობის სახელმწიფოებში ხდება, რომლის ძალიან ბევრი მაგალითი არსებობს. (ერაყის შემთხვევა, სადამ ხუსეინის მართველობის პერიოდში, სადაც მრავალი ინვესტორის უფლებები შეილახა). რაც უფრო მყარია ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობა, როგორც შიდა ისე მსოფლიო მასშტაბით, მით უფრო მიმზიდველია ის ინვესტორებისათვის.

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოში ხდება დიდი ოდენობით ინვესტიციების შემოდინება, რაც განაპირობა: 1) პოლიტიკურმა სტაბილურობამ; 2) კრიმინოგენული მდგომარეობის გაუმჯობესებამ; 3) პოლიტიკურმა სვლებმა საერთაშორისო მასშტაბით; ეს არის ძირითადი სამი პოლიტიკური რამაც ასე შეუწყო ხელი საქართველოში ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესებას. მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი დემოკრატიის თვალსაზრისით, რადგანაც დღესაც ხდება კერძო პირების უფლებების შელახვა,ეს განსაკუთრებით ეხება მსხვილ ბიზნესმენებს და თანა ქართველებს, რომლებიც ისევ იმყოფებიან სახელმწიფო წნეხის ქვეშ და ეს ძირითადად გამოხატულებას პოულობს საგადასახადო რევიზიების დროს.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას რომ სახელმწიფო დგას სწორი განვითარების გზაზე და ეს შეურყეველი პროცესია, მიუხედავად გარე ძალების უარყოფითი ზემოქმედებებისა.

საინვესტიციო გარემოზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენა ეს არის რთული და მრავალმიმართულებიანი პროცესი, რომელიც მიზნად ისახავს პრაქტიკული პრობლემების გადაჭრას, მანქანებისა და სხვა საწარმოო საშუალებების საცდელი ნიმუშების შექმნას, ახალი ტექნიკური საშუალებების მასობრივ წარმოებასა და პრაქტიკაში მათ ფართო დანერგვას, წარმოების ტექნოლოგიისა და ორგანიზაციის სრულყოფას, შრომითი რესურსების კვალიფიკაციის ამაღლებას და ა. შ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ვითარდება ორი – ევოლუციური და რევოლუციური მიმართულებით. საწარმოო ძალები ყოველთვის თანდათანობით ვითარდება, წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფა თანმიმდევრულად ხდება, მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა თანდათანობით გროვდება. ეს მოვლენები ექვემდებარება ევოლუციურ პროცესებს. ასეთი თანდათანობითი გაუმჯობესების ბაზაზე მეცნიერებასა და ტექნიკაში თვისებრივი ცვლილებები ხდება. დგება მომენტი, როცა არსებული ტექნიკური საშუალებები ამოწურავს თავის შესაძლებლობებს. ძველის საფუძველზე მისი თანდათანობითი გაუმჯობესება ვეღარ აკმაყოფილებს მზარდ მოთხოვნებს, წარმოების ინტენსიური განვითარების ამოცანებს.

თანდათანობითი ცვლილებების საფუძველზე ხდება თვისებრივი ნახტომი მეცნიერებასა და ტექნიკაში, რაც უკავშირდება ენერჯის, მასალებისა და ტექნიკა-ტექნოლოგიების ახალი სახეობების გამოჩენას. ამ პროცესს ეწოდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია. რევოლუციური ცვლილებები მეცნიერებაში დაიწყო ჯერ კიდევ 1930-იან წლებში. ამის შემდეგ თვისებრივად იცვლება წარმოების პროცესის ყველა ელემენტი. ენერგეტიკაში მექანიკური შრომა სულ უფრო ცვლის ადამიანის შრომას. ტრადიციული ენერგეტიკული რესურსები იცვლება ახლით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე გარდაიქმნა შრომის იარაღები, თვისობრივად გაუმჯობესდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, იქმნება ახალი მანქანები, რომლებიც ასრულებენ კომპლექსურ სამუშაოებს, ხდება კომპლექსურ მექანიზაციაზე გადასვლა.

მელორაციის შედეგად არსებითად უმჯობესდება მიწის რესურსები, იცვლება მინერალური სასუქები, მიწათმოქმედების სხვა საშუალებები. დიდი ცვლილებები ხდება ბიოლოგიური ფაქტორების მხრივაც. პრაქტიკაში დაინერგა უხვმოსავლიან

მცენარეთა ჯიშები, რომლებიც პასუხობენ ინდუსტრიალიზაციის თანამედროვე მოთხოვნებს. აგრარული სექტორის ღრმა ცვლილებებს თან ახლავს ორგანიზაციული ფორმების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებაც. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ წარმოების სხვა და სხვა სფეროს კოოპერაციისა და ინტეგრაციის გზით.

ასე ვითარდება ინვესტირების ახალი პირობები. მათი შექმნა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ერთ-ერთი შედეგია, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის თანამედროვე მოთხოვნებს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მრავალმხრივ გავლენას ახდენს საინვესტიციო გარემოს განვითარებაზე. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ შემდეგი:

1. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი საშუალებას იძლევა ინვესტირების სფეროში წამოჭრილი პრობლემები გადაწყდეს გრძელვადიანი განვითარების პროგნოზების შესაბამისად;
2. მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხარჯზე არის შესაძლებელი მაღალხარისხიანი პროდუქციის ჭარბად წარმოება;
3. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ეკოლოგიური პრობლემების აღმოფხვრის ერთ-ერთი რეალური საშუალებაა.

ისეთი ქვეყანა როგორცაა საქართველო, მოცემულ მომენტში ვერანაირ ტექნოლოგიურ რევოლუციას ვერ განახორციელებს, რისი მრავალი მიზეზიც არსებობს, ერთ-ერთია არასაკმარისი კაპიტალი.— თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხდება სხვადასხვა ქვეყანათა ბაზრებს შორის კაპიტალის დენადობა, ეს კი გვაძლევს საშუალებას მოვიზიდოთ საჭირო ოდენობის კაპიტალი, მაგრამ პრობლემა იმაში მდგომარეობს თუ როგორ მოვიხმართ არსებულ ფულად სახსრებს? ჩვენდა სამწუხაროდ დღესაც ხდება სახსრების არამიზნობრივად ხარჯვა, რომელსაც უფრო კონკრეტულად თემის სხვა ნაწილში განვიხილავთ. უცხოური ინვესტიციების შემოდინება საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს საქართველოსათვის რათა განვითარდეს ტექნოლოგიური თვალსაზრისით, საქმე იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც უცხოელი ინვესტორი აბანდებს თანხას საქართველოში თავისი ბიზნეს ინტერესებიდან გამომდინარე, მას ასევე შემოაქვს თანამედროვე ტექნოლოგიები, ეს კი ხელს უწყობს: 1) ადგილობრივი ბაზრის სრულ გადაიარაღებას (ტექნოლოგიური თვალსაზრისით). 2) ადგილობრივი კადრების დასაქმება-გადამზადებას. 3) ქართული საწარმოების იძულებით გადაიარაღებას (კონკურენციის საფუძველზე).

როგორც წესი ინვესტიციებს გააჩნია თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები, მაგრამ მეცნიერულ-ტექნოლოგიური თვალსაზრისით, უცხოური პირდაპირი ინვესტიციები წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას იმისათვის რათა საქართველომ დაეწიოს არსებულ რეალობას, ტექნოლოგიური თვალსაზრისით.

თემა 14. პოლიტიკურ-ეკონომიკური სინთეზი და ინვესტიციების მართვის შესაძლებლობები საქართველოში

ტოტალიტალური საზოგადოება ნაწილობრივ ხასიათდება მბრძანებლური ეკონომიკით და საზოგადოებრივი საკუთრებით. დემოკრატიული მმართველობა აისახება კერძო საკუთრებისა და რესურსების კონტროლში. სოციალურ-დემოკრატიულ საზოგადოებაში ხალხის მიერ არჩეული მთავრობა უნდა ფლობდეს ეკონომიკურ რესურსებს და მართავდეს მათ. ბევრ ქვეყანაში, სადაც ადგილი აქვს სახელმწიფო საკუთრებას ხორციელდება პრივატიზაცია.

სულ უფრო რთულდება ეკონომიკის მართვა და სახელმწიფო კომპანიებისაგან ადექვატური მხარდაჭერა. ეს კომპანიები ხშირად მოქმედებენ პოლიტიკური, და არა საქმიანი, მოსაზრებით, ხოლო რესურსები მათ მიერ გამოიყენება არა ისე ეფექტიანად, როგორც ეს შესაძლებელია კერძო სექტორში. ფირმები, რომლებიც ხვდებიან სხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში აუცილებლად უნდა გაერკვნენ საკვანძო საკითხებში. ასეთებს განეკუთვნება: 1. ქვეყნის პოლიტიკური სტრუქტურა; 2. ეკონომიკური სისტემების ტიპი; 3. რომელ სექტორს ეკუთვნის დარგი; 4. შესაძლებელია თუ არა კერძო კონკურენცია, თუ დარგი სახელმწიფო მონოპოლიას ექვემდებარება; 5. თუ იგი კერძო სექტორშია, გადადის თუ არა სახელმწიფო საკუთრებაში; 6. უყურებს თუ არა ხელისუფლება უცხოურ კაპიტალს, როგორც კონკურენტს, ან პარტნიორს ადგილობრივი საწარმოებისათვის; 7. როგორი მეთოდებით აკონტროლებს სახელმწიფო კერძო მეწარმეობას; 8. რა როლი აქვს კერძო სექტორს საერთო ეკონომიკური მიზნების ფორმირების სტადიაში. უცხოურმა ფირმებმა უნდა განსაზღვრონ, თუ რით განსხვავდება ახალი სფერო ეროვნულისაგან და როგორ უნდა შეცვალოს ფირმამ სტრატეგია ახალ სფეროში ადაპტირებისათვის.

პოლიტიკურ-ეკონომიკური სინთეზის ნათელ მაგალითს წარმოადგენს – თურქეთი. იბადება კითხვა თუ რაში პოულობს გამოსატყულებას თურქეთის მაგალითი?

1) ამყარებს კავშირს, გამიზნულად ისეთ ქვეყნებთან, სადაც ეკონომიკის დაბალი განვითარების დონეა.

2) შექმნა თავისუფალი მიმოსვლის ზონა საქართველოსთან (გამარტივებული საბაჟო რეჟიმი).

3) აპირებს კავშირის აღდგენას, ყოველმხრივ ჩაკეტილ სასომხეთთან.

4) ქვეყნის კანონმდებლობა მაქსიმალურად მოირგებულება თურქულ საზოგადოებასა და ეროვნულ ბიზნეს საქმიანობაზე (წარმოებაზე).

5) შეზღუდულია თურქეთში ისეთი სახის საქონლის შეტანა, როგორცაც თავად აწარმოებენ.

ეს გახლავთ არასრული ჩამონათვალი იმ დონისძიებებისა, რომელსაც ატარებს თურქეთის სახელმწიფო, იმისათვის რათა მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ეროვნული ეკონომიკის აღორძინებას.

თურქეთის მაგალითი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად განუყოფელ სისტემებს წარმოადგენს პოლიტიკა და ეკონომიკა, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით ინვესტიციების განხორციელება შეუძლია როგორც რეზიდენტ, ისე არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტი შეიძლება იყოს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი ინვესტორი. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში არსებულ უმუშევრობის მაღალ დონეს, მხოლოდ მკაცრი საბანკო-საკრედიტო პოლიტიკის მეშვეობით შენარჩუნებული ეროვნული ვალუტის დაუსაქონლებელი მასის მოსალოდნელი ინფლაციური რყევების შიშს, მაშინ ყოველმხრივ უნდა შევეცადოთ, რომ იგი გადავაქციოთ ინვესტიციებისათვის მიმზიდველ ქვეყნად, რათა საინვესტიციო საქმის გაშლის ხელშეწყობისათვის გზა გაეხსნათ როგორც ეროვნულ, ისე უცხოელ ინვესტორებს.

ინვესტიციების ქვეყანაში მოზიდვისათვის საჭიროა ინვესტორთა ინტერესების დაკმაყოფილება, რასაც შემდეგი ოთხი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს: 1. ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება; 2. კრიმინოგენული სიტუაციის რეგულირების დონე; 3. მყარი საკანონმდებლო ბაზა, რამაც უნდა დაიცვას ინვესტორის საკუთრების უფლება; 4. საგადასახადო ტვირთის სიმსუბუქე. ჩვენს ქვეყანაში სამწუხაროდ ჯერ კიდევ საომარი ვითარებაა, არასტაბილურია

პოლიტიკური ვითარება, გაუარესებულია სოციალური ფონი, დაბალია მოსახლეობის გადახდისუნარიანობა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის საინვესტიციო რისკს და ზღუდავს ინვესტიციების მოზიდვას საქართველოში.

საქართველოს საინვესტიციო საქმიანობის სფეროში შექმნილია სათანადო საკანონმდებლო ბაზა, სადაც რეგულირდება ინვესტორთა უფლება-მოვალეობების ფართო სპექტრი, უცხოური ინვესტიციების დაცვის სახელმწიფო გარანტიები და „დამატებითი ხელშეწყობის პირობები“, როგორცაა ინვესტირებული საწარმოს საჭიროებისათვის შემოტანილი ძირითადი საშუალებების, საწარმო მასალების, ნახევარფაბრიკატებისა და ნედლეულის საბაჟო გადასახდელებისა და მასთან გათანაბრებული მოსაკრებლების გათავისუფლება. იმავდროულად თუ სამომავლოდ გამკაცრდა ინვესტირების პირობები და არსებული შეღავათები გაუქმდა, კანონს უკუქმედების ძალა არ ექნება და კანონის შემოღებამდე დაბანდებულ ინვესტიციებზე მინიჭებულ შეღავათებზე იგი არ გავრცელდება, აქტის მიღებიდან ხუთი წლის განმავლობაში. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებულ დაბეგვრის რეჟიმსა და მის ხელშეწყობ პირობებს არეგულირებს საქართველოს საგადასახადო კოდექსი. დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი რეგიონში შემავალი ალტერნატიული (ახერბაიჯანის, სომხეთის, უკრაინის, თურქეთის და სხვა) ქვეყნების კოდექსებთან შედარებით საკმაოდ მძიმეა. ამას ემატება არასტაბილური სამხედრო და პოლიტიკური ვითარება, რის გამოც მსხვილი ინვესტორები ჯერ კიდევ თავს იკავებენ საქართველოში მსხვილი კაპიტალის დაბანდებაზე.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზებისა, ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის დადგენილი ინვესტიციურ დანახარჯებზე მოქმედი ფაქტორები. ინვესტიციურ დანახარჯებს განსაზღვრავს წმინდა მოგების მოსალოდნელი ნორმა და ბანკის საპროცენტო განაკვეთი. როგორც წესი, ინვესტიციურ დანახარჯთა მინიმუმაციის მამოძრავებელი მოტივი მოგების ზრდაა. ყოველი ინვესტორი აკეთებს გათვლას წმინდა მოგების მოსალოდნელ ნორმაზე. ინვესტიციებზე არსებული საერთო მოთხოვნა პირდაპირპროპორციულ კავშირშია წმინდა მოგების მოსალოდნელ ნორმასთან და უკუპროპორციულ კავშირშია ბანკის პროცენტთან.

მაშასადამე ინვესტირებას მაშინ აქვს აზრი, როცა კაპიტალდაბანდება უფრო მეტ მოგებას იძლევა, ვიდრე მისი ბანკში დეპოზიტად განთავსება. ე. ი. ინვესტირება მომგებიანია მხოლოდ იმ მომენტამდე, ვიდრე ინვესტირებიდან მისაღები წმინდა მოგების ნორმა მეტია ან ტოლია ბანკის პროცენტის განაკვეთზე. ნებისმიერი ფაქტორი, რომელიც ზრდის ინვესტიციების მოსალოდნელ წმინდა

მოგებას, იწვევს საინვესტიციო მოთხოვნის ზრდას და პირიქით. მაშასადამე ინვესტიციებზე ყოველგვარი გადასახადის დაწესება უარყოფითად იმოქმედებს წმინდა მოგების ნორმაზე.

თემა 15. ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირება, გადასინჯვა და საბროკერო ფირმების ფუნქციონირების მექანიზმი

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქვეყანაში ინვესტორთა საქმიანობის მიზნისა და ინვესტირებული თანხის რაოდენობის განსაზღვრა, რომელიც საინვესტიციო პორტფელის მომზადების აუცილებელი წინაპირობაა. საინვესტიციო გარემოს შესწავლის მეორე ეტაპია ფასიანი ქაღალდების ბაზრის კვლევა ფასიანი ქაღალდების ცალკეული სახეების მიხედვით. ამ თვალსაზრისით არსებობს ორი ძირითადი მიდგომა: 1. ტექნიკური და 2. ფუნდამენტალური ანალიზი.

ტექნიკური ანალიზი სააქციო ბაზრის კონიუნქტურის შესწავლის მარტივი ფორმაა, აქციების კურსის შესახებ დინამიკაში პროგნოზის მისაღებად. ფუნდამენტალური ანალიზი ეყრდნობა ყველა ფინანსური აქტივის საბაზო, შიდა ღირებულებას. შესაბამისად ინვესტორი ცდილობს განსაზღვროს ნაღდი ფულადი ნაკადების დრო და სიდიდე, მისი ღირებულება და გამოყენების ნორმა. ე. ი. მან არა მარტო უნდა შეაფასოს დისკონტირების ნორმა, არამედ უნდა მოახდინოს დივიდენდების სიდიდის პროგნოზირებაც, რომელიც გადახდილი იქნება მომავალში ამ აქციებში.

ფასიანი ქაღალდების პორტფელის ფორმირება განსაზღვრავს კონკრეტული აქტივების შესატან ჯამს და საინვესტიციო კაპიტალის განაწილების პროპორციას. ამიტომ იგი იყენებს სხვა და სხვა სახის ოპერაციებს, ისეთებს, როგორცაა: სელექციურობა (მიკროპროგნოზირება), ოპერაციის დროის ამორჩევა (მაკროპროგნოზირება) და დივერსიფიკაცია, რაც ნიშნავს საინვესტიციო პორტფელის ფორმირებას ისე, რომ რისკი განისაზღვროს ცალკეული ორგანული შემადგენლობის მიხედვით.

პორტფელის გადასინჯვა ნიშნავს საინვესტიციო პროცესის პერიოდულ გადასინჯვას, ვინაიდან იგი სხვა და სხვა პერიოდის მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარად განვითარდეს. პორტფელის გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილება დამოკიდებულია სააქციო ხარჯების სიდიდესა და ბრუნვაზე.

პორტუგელის ეფექტურობის შეფასება ითვალისწინებს როგორც შემოსავლის, ისე რისკის სიდიდეს, რასაც აწყდება ინვესტორი. ამიტომ გამოყენებული უნდა იქნეს განცდილი რისკისა და მიღებული შემოსავლების მაჩვენებლები, მოქმედი შესაბამისი სტანდარტები ეტალონი შედარებისათვის.

ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვისას ინვესტორები აფორმებენ ხელშეკრულებას ადგილობრივ მეწარმეებთან ბროკერების, დილერებისა და საფონდო ბირჟების დახმარებით. ბროკერი ინვესტორის აგენტის როლს ასრულებს, მოქმედებს მისი სახელითა და დავალებით, რაშიც გარკვეულ ანაზღაურებას იღებს. საბროკერო ფირმა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ინვესტორის მომსახურებაზე. ინსტიტუციური ინვესტორები სარგებლობენ უფრო პატარა ფირმების მომსახურებითაც, რომელთაც გააჩნიათ ინსტიტუციონალურ ინვესტორთა ერთი ან ორი განყოფილება.

განასხვავებენ რეგიონალურ და შემცირებული კომისიების მქონე საბროკერო ფირმებს. ამათგან პირველი ძირითადად დაკავებულია ამათუიმ გეოგრაფიული ზონის ხელშეკრულებათა შედგენაზე, მეორე კი სთავაზობს მომსახურებას შედარებით დაბალ ფასებში ან ასრულებს შედარებით მცირე სამუშაოს მომსახურების სრული კომპლექსის მქონე რეგიონულ საბროკერო ფირმებთან შედარებით. ადმინისტრატორთა წახალისება ძირითადად განისაზღვრება კლიენტის მიერ გადახდილი საკომისიო მომსახურების სიდიდით.

თუ ადმინისტრატორები შეეცდებიან ბოროტად გამოიყენონ კლიენტთა ნდობა, მაშინ ეს გამოიწვევს მათ მიერვე კლიენტურის დაკარგვას. საბროკერო ფირმაში ანგარიშის გასახსნელად საკმარი-სია დაუკავშირდეთ ადგილობრივ საბროკერო განყოფილებაში, სათანადო დოკუმენტაციის გასაფორმებლად. ინვესტორის მასალები უზრუნველყოფს საბროკერო ფირმას ახალი ინფორმაციით. იგი ივსება შემდეგი კითხვებით: 1. საბროკერო ფირმის დასახელება; 2. ეხება თუ არა მოცემული განაცხადი აქციების ყიდვა-გაყიდვას; 3. განაცხადის ზომა; 4. განაცხადის შესრულების დრო; 5. განაცხადის ტიპი.

განაცხადის სიდიდის განსაზღვრისას ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვის დროს მყიდველი აქციებს ავრცელებს განაცხადის მიხედვით (სრული ან არასრული) ან ორივე ფორმის გამოყენებით. სრული განაცხადი გაიცემა 100 აქციაზე და მასზე ზევით, არასრული განაცხადი კი – 1-დან 99 აქციამდე. საჩქარო განაცხადში ინვესტორმა უნდა აჩვენოს მისი შესრულების დრო. თუ განაცხადი ვერ შესრულდა დათქმულ ვადაში, მაშინ იგი უქმდება. თუ განაცხადში არაა ნაჩვენები დრო, მაშინ იგი ერთდღიანია. ასევე არსებობს თვიური და კვირეული

განაცხადი. განაცხადის გახსნა ძალაში რჩება მის შეცვლამდე, ანუ მანამდე, სანამ არ შესრულდება იგი ან არ შეცვლის მას ინვესტორი. ღია განაცხადისაგან განსხვავებით არსებობს ისეთი განაცხადებიც, რომლებიც აუცილებლად უნდა შესრულდეს და თუ არ მოხდა მისი შესრულება ბროკერები ამისათვის ჯარიმდებიან. განაცხადის სახეებიდან განასხვავებენ საბაზრო განაცხადს, რომლის დროსაც ბროკერს ეძლევა განკარგულება დაუყონებლივ იყიდოს ან გაყიდოს აქციების განსაზღვრული რაოდენობა.

ეს რაც შეეხებოდა თვით საფინანსო დარგის სამართლებრივად ფუნქციონირებას, ხოლო რაც შეეხება საფინანსო დარგს, კონკრეტულად კი საფონდო ბირჟას, საქართველოში ის არსებობდა მაგრამ უფრო ფიქტიური სახით, ვიდრე რეალური ამბიციებით. ამის მიზეზი კი რასაკვირველია გახლავთ: ეკონომიკის დაბალი დონე, არასასურველი ბიზნეს კლიმატი და ძლიერი ქართული კომპანიები, რომლებიც ასე ვთქვათ რეკლამას გაუკეთებდნენ საქართველოს, საერთაშორისო მასშტაბით. საქართველოში არსებობდა კავკასიაში ყველაზე დიდი: “კავკასიის საფონდო ბირჟა”, მისი პრეზიდენტის თქმით ის გაგდა ლამაზად მორთულ სუპერმარკეტს, რომელშიც არავინ არ შედიოდა. მართლაც ამ ბირჟამ თავისი ფუნქციონირება მაღევე შეწყვიტა, რის მიზეზად მრავალი ფაქტორი სახელდება, მაგრამ მთავარი მაინც ამიერ კავკასიის ქვეყნების, ეკონომიკური განვითარების დაბალი დონე გახლდათ. უნდა აღინიშნოს რომ მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, საბირჟო ოპერაციების ყველაზე დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება, ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, რომელთა შორისაც გამოყოფენ კიდევ ქვედა დონეს, რომელთა შორისაც მოხვდა საქართველო. ეს ყოველივე უთუოდ მიუთითებს იმაზე თუ რამდენი რამ არის გასაკეთებელი კიდევ ჩვენს ქვეყანაში, რათა შეიქმნას სასურველი ბიზნეს და საინვესტიციო გარემო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბასარია ვ, ეკონომიკაში საგადასახადო წნეხის ოპტიმალურობის საკითხებისთვის, თბ., 2001წ;
2. გამსახურდია გ, საქართველოს საფინანსო პოლიტიკის ძირითადი პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ., გამომცემლობა “მერიდიანი”, 1995წ;
3. გამსახურდია გ, ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი”, 1997წ;
4. გამსახურდია თ, საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თბ, 2003წ;
5. გრიშიაშვილი ა, გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და ევროპული ინტეგრაცია, თბ, გამომცემლობა შპს “პდპ”, 2005წ;
6. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ, გამომცემლობა “ინოვაცია”, 2005წ;
7. კაკულია რ, ფინანსების ზოგადი თეორია, თბ, გამომცემლობა “ფინანსები” 2001წ;
8. მენქიუ გ., ეკონომიკის პრინციპები, თბ, 2000წ;
9. როგავა ზ, გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი, თბ, 2002წ;
10. ქოქიაური ლ, ინვესტირების საფუძვლები, თბ, გამომცემლობა “ფინანსები”, 2001წ, გვ 14-25, გვ 37-38;
11. ჩხარტიშვილი ი, მცირე და საშუალო მეწარმეების ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებანი, თბ, 2002წ;
12. ცაავა გ, უცხოური საბანკო კაპიტალი საქართველოს ეკონომიკაში, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო-სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, გარდამავალი პერიოდის საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები საქართველოში, (ტ.V), თბ, გამომცემლობა “ფინანსები”, 2001წ.